პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

[illegible]

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში 4.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—4 500.000 კოლექტ. ხელის მოწ. 3.000 000 მანეთი განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დ ღ ი უ რ ი

— კომინტერნმა და პროფინტერნმა წინადადება მისცეს მეორე ინტერნაციონალს გერმანიის მუშებისათვის დახმარების შეთანხმებით გაწევის შესახებ.

— ს. ს. რ. კ. საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა გაუგზავნა ფინეთის მთავრობას ფინეთის პოლიციის მოქმედების გამო რუსეთის მოქალაქეთა და სრულუფლებიან წარმომადგენლების მიმართ.

— საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი დიდ ინტერეს იჩენს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ცხოვრებისადმი.

— ირლანდიაში საპარლამენტო არჩევნების გამო დიდი არეულობა ხდება.

№ 199 პარასკევი, 31 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 175,000 მან. № 199

მენშევიკური პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობამ,
დიდის უმრავლესობით, სამი ხმის წინააღმდეგ და რამდენიმეს თავის შეკავებით,
დაშლილათ გამოაცხადა
საქართველოს მენშევიკური პარტია*)

დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს

ვის ეხმარებიან მენშევიკები

როდესაც ჩვენ ამა თუ იმ (სამწუხაროთ საკმაოთ ხშირი) შემთხვევის გამო ვლაპარაკობთ ხოლმე სოციალ-დემოკრატიის, მენშევიკების ღალატზე მუშათა კლასის მიმართ,—ზოგიერთი გულუბრყვილოები ხედავენ ამაში უბრალო ფანატიკური ჯიუტობის ან და კიდევ ვულგარული დემაგოგიის ნიმუშს. ასეთ პირებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ძველი რეჟიმის დროს რევოლიუციონურ ბრძოლაში მონაწილე მოღვაწეები, რომლებსაც გარდა ამისა სოციალისტებათ მოჰქონდათ თავი და ამავე არწმუნებენ ყველა გამგონ-გამგონს დღესაც—რომ ასეთი მოღვაწეები ასცდებოდნენ მშრომელთა ბრძოლისა და განთავისუფლების გზას და მოღალატურათ თავს ამოჰყოფდნენ პროლეტარიატის მტრების ბანაკში. მაგრამ ეს ფაქტია და რაზომ დაუჯერებელი არ უნდა იყოს ის ზოგიერთ „ურწმუნო თომასათვის", ამ ფაქტს უნდა გაეწიოს ანგარიში და პირველ ყოვლისა ის უნდა იქნეს შენიშნული, კარგათ დანახული.

სოციალ-დემოკრატიის, დღეს იგივე მენშევიკების ასეთ მოღალატურ მუშაობას ყველა ქვეყნებში აქვს ადგილი, მაგრამ არსად ისეთი სიცხადით არ წამოჭრილა ეს ფაქტი ყველას დასანახათ, როგორც ეს მოხდა საბჭოთა ქვეყნებში ან იქ, სადაც მენშევიკები ცოტათ თუ ბევრათ მოიპოვებენ სახელმწიფო ხელისუფლებას ან იღებენ ამ ხელისუფლებაში უშუალო მონაწილეობას, როგორც მაგალითად გერმანიაში.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიას კიდევ აქვს იმდენი გავლენა მუშათა მასებში, რომ ის სასურველი მოკავშირე ხდება ძარგამომჰალი ბურჟუაზიის და მისი რეჟიმის დროებით მაინც გასამაგრებლათ.

იქ, სადაც ამ ბურჟუაზიის სიტყვა არ გავა მუშებში, განსაკუთრებით რევოლიუციონური კრიზისების დროს —რომელსაც განიცდის კერძოთ დღეს ცენტრალური ევროპის ეს დამარცხებული სახელმწიფო—მქონებელი კლასები იყენებენ სწორეთ სოციალ-დემოკრატიას, რომლის ნდობა წარსული ტრადიციის გამო ისევ ცოცხლობს მასების ზოგიერთ ნაწილში და მიმართავენ ამ მასებს სოციალ-დემოკრატიის პირით. და ის ზომები ამ კლასების ბატონობის შესანარჩუნებლათ, რომლებიც მხოლოთ აღშფოთების გამომწვევი იქნებოდენ პროლეტარიატისათვის, შედარებით ადვილათ, თუმცა ხშირათ სისხლის ღვრით, ტარდება ცხოვრებაში.

ყოფ. მენშევიკების დღეს მიმდინარე ყრილობაზე ერთმა დელეგატმა მუშამ, თავისებურათ, მუშურათ, მოხერხებული დახასიათება მისცა სოციალ-დემოკრატიის ასეთ როლს. მისი სიტყვით—და ეს ყოველთვის გვითქვამს ჩვენ კიდევ უფრო გადაჭრით —სოციალ დემოკრატია შეიქნა „ტორმაზი" პროლეტარიატის გამანთავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობისათვის. ეს არის სრული ჭეშმარიტება, დადასტურებული თვით ყოფილ მენშევიკ—მუშისაგან, რომელიც თავის საკუთარი პრაქტიკით, პირადი გამოცდილებით საქართველოს მენშევიკური პარტიის რიგებში მუშაობის დროიდან, მივიდა ამ ნათელ დასკვნამდე. ეს ამხანაგი და ისინიც, რომლებიც მისი თანამოაზრეები, ჩვენი თანამოაზრეები არიან დღეს, უხვ მასალას იპოვიან იმ ამბებში, რომლის ასპარეზია რევოლიუციის პროცესში მყოფი გერმანია. კოალიციონური მთავრობა გერმანიის, სოციალ-დემოკრატების მონაწილეობით, ის „საკენკი" იყო, რომელიც აუსროლა გერმანიის დამშეულ-დარბეულ მასებს ბურჟუაზიამ. საბოტაჟი საყოველთაო გაფიცვ, ნოსკე-ზევერინგების რეპრესიები იმავე დროს დაპირებები მუშებისათვის—ამ გზით, სოციალ-დემოკრატიის ასეთი დახმარებით, სურს გა[illegible] ფონს დღეს გერმანიის ბურჟუაზია. ამნაირათ მენშევიკური სოციალ-დემოკრატია შეიქნა გაბატონებული კლასების უკანასკნელი რეზერვი, მისი უკანასკნელი ყავარჯენი.

ყოველივე ეს—რაც შეეხება ევროპის მენშევიკების „მოღვაწეობას" მაგალითად აღებულ ერთ ქვეყანაში—გერმანიაში.

შევეხოთ ეხლა საქართველოს მენშევიკებს, ავიღოთ ამისათვის ერთი [illegible]ხოდი, თუმცა უაღრესათ დამახასიათებელი უკანასკნელი წლების მათი მოღვაწეობისა.

ყველამ, ვინც ქურში არ ზის და თვალყურს ადევნებს უცხოეთის ცხოვრების მიმდინარეობას, იცის, რომ რუსეთი, განსაკუთრებით ამიერკავკასია და კერძოთ საქართველო, შეიქნენ მათი სიმდიდრისა და სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდგომარეობის გამო სანუკვარ ლუკმათ მსოფლიოს იმპერიალისტური მტაცებლებისათვის. ამ გარემოებას სათანადო ანგარიშს უწევენ უცხოეთში „გაფრენილი" საქართველოს მენშევიკებიც. ისინი არც ისე გულუბრყვილონი არიან (პირიქით!), რომ სჯეროდეთ ამ მტაცებლების უანგარობა. დარწმუნებულნი იმაში, რომ ეს უკანასკნელები ყოფ. მენშევიკური მთავრობის „შელახული უფლებების" აღსადგენათ თითსაც არ გაანძრევენ, მენშევიკების ბელადები ჰპირდებიან მათ საქართველოს „ოქროს მთებს" ოღონდ მათ კეთილ ინებონ და აღადგინონ ჩვენში „წესიერება" ე. ი. მენშევიკების აზრით, მენშევიკური სახელმწიფოებრიობა. საბჭოთა კავშირისადმი ამ მტაცებლების იხრივ მტრობის ატმოსფერაში ჟორდანია ჩხეიძეების „წინადადება" არც ისე მიუღებელია გარკვეულ, მათთვის „მომარჯვებულ" დროსა და შემთხვევაში. პირიქით, ის ფორმალურათ საკმაოთ ხელსაყრელი საბაბია. და ასეთი მდგომარეობით სარგებლობის წინ, უკან არ დაიხევენ არა მარტო დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები, თუ ხსენებულ ხელსაყრელ შემთხვევას შეესწრნენ, არამედ სხვა უფრო პატარა ტანის იმპერიალისტური ნაგაზებიც, რომლებიც ისევ იმავე შემთხვევას ელიან „ანგარიში გაუსწორონ" მშრომელთა სახელმწიფოების კავშირს.

სასაცილოა, მაგალითად, სატირალი, რომ არ იყოს, თუ რას ფიქრობენ „დაპყრობილ და ძალათ შეერთებულ" საქართველოზე პოლონეთის იმპერიალისტები, იმ პოლონეთის, რომელმაც ანექსია უყო აღმოსავლეთ გალიციას, ბელორუსიას, ლიტვის ნაწილს და სადაც საქართველოს მენშევიკების ყოფილი ბელადები „ამუშავებენ", რამდენადაც შეუძლიათ, „საზოგადოებრივ აზრს" თავიანთ სასარგებლოთ. აი რასა სწერს მათი ზრახვების შესახებ პოლონეთის ერთი გაზეთი, „კურიერ პორანნი":

თუ პოლონეთი აღძრავს საკითხს კავკასიის რესპუბლიკების შესახებ—ეს იქნება პოლიტიკურათ ფრიად ხელსაყრელი. გეოგრაფიული მდგომარეობა საქართველოსი და მისი სიმდიდრენი ინტერესს მოკლებული არ არის ინგლისისათვის. ინგლისი თანდათან რწმუნდება იმაში, რომ ის ვერ ისარგებლებს კავკასიის სიმდიდრით, სანამ იქ იქნებიან ბოლშევიკები. ამიტომ რუსეთთან ჩვენი ომის შემთხვევაში ჩვენი დაინტერესება კავკასიით უზრუნველგვყოფს ინგლისის დახმარებისაგან. აჯანყებას კავკასიაში ექნებოდა იგივე მნიშვნელობა, როგორც ისეთ დივერსიას, რომელიც დააკავებდა რუსეთის ძალებს თუ მოხდებოდა რუსეთ პოლონეთის ომიო.

მკითხველი ხედავს რა მოსაზრებები „უხ ცინებს" საქართველოს „განმათავისუფლებელ" პოლონეთის შავრაზმელებს და რა ნიადაგზე ხვდება იქ მოყიალე მენშევიკურ „აგიტატორების" (გაიხსენეთ ჩხეიძის მოგზაურობა) სიტყვები.

აჯანყება კავკასიაში, აჯანყება საქართველოში, მოწყობილი, როგორც ვუწყით, მენშევიკ-ავანტიურისტების მიერ ჩოლოყაშვილისებური ბანდიტების დახმარებით, საქართველოს „განთავისუფლების" მიზნით „წითელ იმპერიალისტებისაგან" და მის ჩასაბარებლათ ინგლისისათვის და „სხვათა შორის", ასე ვთქვათ, „en passant", პოლონეთის იმპერიალისტურ მისწრაფებათა განსახორციელებლათ, როდესაც ომს აუტეხს მთელი ფედერაციის მშრომელთ და მით საქართველოს მუშებს და გლეხებსაც.

აი ამ საერთაშორისო ბანდიტიზმის, საქართველოს მუშებისა და გლეხების ასაწიოკებლათ, მათ სისხლის დასაღვრელათ არის ფაქტიურათ მომართული მენშევიკების ავანტიურისტულ „ცეკა"-სი და მისი დამქაშების დაბნელებული, გაბორეტებული ჭკუაგონება.

აი ვის ეხმარებიან საქართველოს მენშევიკები.

და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობა, რომელიც მიუახლოვდა უკვე თავისი მუშაობის დასასრულს, სათანადო დასკვნას გააკეთებს თავისი ყოფილი ბელადების მოღვაწეობიდან, იმ დასკვნას, რომელიც უკვე გამოიტანა საქართველოს რევოლიუციონურმა მუშათა

ორიოდე სიტყვა მოხალისე კორესპონდენტებზე

საქართველო ეკუთვნის იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც უდიდესი ნაწილი მოსახლეობისა სასოფლო მეურნეობას მისდევს.

ჩვენი ერის მომავალიც, მისი მატერიალური კეთილდღეობა სავსებით დამოკიდებულია მეურნეობის განვითარებასა და მისი პროდუქციის გადიდებაზე. ამით აიხსნება მთავრობის ღონისძიებანი და ყურადღება ამ მიმართულებით. ყოველ საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროა უწინარეს ყოვლისა არსებულ პირობების დეტალური შესწავლა. სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსაც მხოლოდ ამ მიზნით დაევალა სასოფლო-სამეურნეო აღწერის წარმოება, რომელმაც უნდა მოგვცეს, ასე ვსთქვათ, ფოტოგრაფიული სურათი ჩვენი გლეხობის ცხოვრებისა. ყველა საყურადღებო მხარე ჩვენი მეურნეობისა ამ სურათზე აღიბეჭდება და ამრიგად საშუალება მოგვეცემა მისი დანამდვილებითი შესწავლისა.

ეს ასეა, მაგრამ აღწერა მაინც ვერ მოგვცემს ყოველივე იმას, რაც ჩვენთვის საჭიროა, ვინაიდან რაც უნდა დიდი იყოს აღწერის პროგრამა, შეუძლებელია ერთი დაკვრით ყველა საკითხის ამოწურვა.

სასოფლო-მეურნეობის საფუძვლიან შესწავლისა და მისი განვითარების ხაზის გათვალისწინებისათვის არ არის საკმარისი გვქონდეს მარტო ის ფოტოგრაფიული სურათები, რასაც იძლევა საზოგადოთ ყოველი აღწერა—ამისათვის საჭიროა არსებობა ისეთ აპარატის, რომლის დანიშნულება იქნება მუდმივი დაკვირვება და შესწავლა სამეურნეო ხასიათის ყველა კითხვებისა და მოვლენათა. თუ დავაკვირდებით სამეურნეო ხასიათის მოვლენებს, მაგალითად—მიწის აგარაკებად დანაწილებას, სამუშაო იარალების რიცხვს, ხარისხს და სხვა—ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მოსავალს, რომელიც დამოკიდებულია ამინდზე, თესლის ხარისხზე და სხვა —ჩვენ შევამჩნევთ, რომ ერთნი იცვლებიან შეუმჩნევლად, მთელი წლობით, მეორე კი უფრო ცვალებადია დროთა ვითარებაში. ამ ორ სხვადასხვა სახის მოვლენათა შესასწავლად საჭიროა სხვადასხვა საშუალება და ორგანო.

აღწერა თუ საზოგადოთ ეხება მოვლენათა იმ ჯგუფს, რომელიც ნაკლებად ცვალებადია დროთა დენაში, იმ მოვლენათა შესასწავლად და აღსანუსხავად, რომელიც იცვლება ყოველ წლიურად ან რამდენიმეჯერ ერთი წლის განმავლობაში არსებობს განსაკუთრებული აპარატი ეგრეთწოდებული მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა.

მიმდინარე სტატისტიკა არის სტატისტიკის ერთი უსაჭიროესი და უძლიერესი ნაწილთაგანი, რომლის ორგანიზაცია და სათანადო სიმაღლეზე დაყენება კარგა ხანია დასახული აქვს მიზნად სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს, მაგრამ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ-ჯერობით მან ვერ შესძლო ამ დარგის ჯეროვან სიმაღლემდე დაყენება.

მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ამ დარგის მოუწყობლობისა ის არის, რომ საქართველოში არ არსებობს მოხალისე კორესპონდენტთა ქსელი და თუ არსებობს მხოლოდ აქა-იქ და ისიც მცირე რიცხოვანი.

ვინ არიან მოხალისე კორესპონდენტები და რა არის მათი მოვალეობა?

მოხალისე კორესპონდენტია ყველა ის სოფლის მეურნე, რომელიც თავის ნებით, უსასყიდლოთ თანხმდება მიაწოდოს ყოველგვარი ცნობები სტატისტიკის სამმართველოს.

სტატისტიკის სამმართველო კი უგზავნის მათ ანკეტებს, სადაც მათ მიერ დაწვრილებით უნდა იქნას მოცემული საჭირო ცნობები მეურნეობის მდგომარეობისა და მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

მეტ წილად სამმართველოს მიერ შედგენილ ანკეტებში ჩამოთვლილია დაახლოვებით შემდეგი კითხვები: როგორი იყო წლეულს ამინდი, საგაზაფხულო სამუშაოს დასაწყისი მინდვრად, ვენახებში; ბაღებში, ვენახებისა და პურეულისათვის საზიანო პირობების ჩამოთვლა, იყო თუ არა მცენარეულობათა ავადმყოფობა, ქონდა თუ არა გლეხობას საკმაოდ თესლი და მავნებლების საწინააღმდეგო წამალი, რაოდენობა პურეულით დათესილ სივრცისა, მიწების დაუმუშავებლად დატოვების მიზეზები, მოსავლის რაოდენობა მიმდინარე წელს, ეყოფა თუ არა წლევანდელი მოსავალი გლეხობას მომავალ წლის მოსავლამდე, თუ არ ყოფნის რამდენ თვეს დააკმაყოფილებს, რა მდგომარეობაშია საქონელი, აქვთ თუ არა მისთვის საკვები მასალა და სხვა და სხვა.

ზემო ჩამოთვლილი კითხვები შეეხებიან სოფლის მეურნეობის ყველა მხარეებს ადგილობრივ პირობებთან დაკავშირებით და აღნუსხვენ მოვლენათა იმ ჯგუფს, რომელიც ეგზომ ცვალებადია დროთა სვლაში.

ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხის გაცემა რა თქმა უნდა მეურნისათვის არ წარმოადგენს სიძნელეს, პირიქით მხოლოდ სოფლის მეურნის მიერ გაცემული პასუხი იქნება ჩვენი სოფლის მდგომარეობის ნამდვილი გამომხატველი. ამ მოსაზრებით უნდა აიხსნას სტატისტიკის სამმართველოს მიმართვაც შეგნებულ მეურნეებისადმი მოხალისე კორესპონდენტების ქსელის მოსაწყობად.

და როცა მოხალისე კორესპონდენტები ყველა კუთხიდან გადმოგზავნიან შევსებულ ანკეტებს ჩვენ შევძლებთ ცხადათ დავინახოთ, თუ რა მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობა, რა გვაქვს და რას უნდა ველოდეთ ახლო მომავალში. ამის მიხედვით შეგვეძლება ყოველ წუთს დახმარება გაუწიოთ მოსახლეობას საჭიროების დროს. მაგალითად: თუ რესპუბლიკის რომელიმე რაიონში არ იქნება მოსავალი და მოსახლეობას სიმშილი მოელის, სახელმწიფოს, შეუძლია რა ისარგებლოს სტატისტიკის სამმართველოს მიერ მიღებულ ცნობებით, ეცოდინება რომელ რაიონში შეიძინოს ხორბალი დამშეულ რაიონის დასაკმაყოფილებლად და სხვა.

ნათქვამიდან ცხადად სჩანს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოხალისე კორესპონდენტს, როგორც სტატისტიკურ აგენტს, რომელიც აწვდის სტატისტიკის სამმართველოს მეურნეობის და მეურნეთა საჭიროების შესახებ უტყუარ და ნამდვილ ცნობებს.

საქართველოში კარგა ხნის წინეთაც არსებობდა მოხალისე კორესპონდენტთა ქსელი, განსაკუთრებით კი ზოგიერთ მაზრებში. პირველ ხანად მოხალისე კორესპონდენტის მოვალეობას ასრულებდენ ადგილობრივი მოხელენი, სოფლის მწერლები, მღვდლები და მასწავლებელნი. მეფის დროს ისინი ცნობებს გზავნიდენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, შემდგომ უგზავნიდენ აგრეთვე ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ტფილისში და ბოლოს საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს.

მაგრამ მათი რიცხვი ძლიერ უმნიშვნელო იყო. მთავარი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი უმეტესად სოფლის მეურნეობას არ იცნობდენ და რა საკვირველია, რომ ასეთ პირობებში მათ ცნობებზე დამყარება თავის მოტყუება იქნებოდა.

ამჟამად კი მოხალისე კორესპონდენტთა ქსელის საჭიროება ეგზომ დიდია.

პირველ ხანად მთელ საქართველოში დაგვჭირდება 500-800-მდე კორესპონდენტი, რომელიც ზედმიწევნით ეცოდინებათ ადგილობრივი პირობები, ჩვენი გლეხისა და მისი მეურნეობის მდგომარეობა.

მოხალისე კორესპონდენტთა რიცხვი ყოველ წლიურად უნდა იზრდებოდეს, სანამ ყოველ სოფელში არ გვეყოლება ერთი კორესპონდენტი მაინც. აუცილებელ პირობას წარმოადგენს აგრეთვე, რომ მოხალისე კორესპონდენტი იყოს ადგილობრივი ელემენტი. კორესპონდენტთა ქსელის შექმნის მიზნით უნდა ეწყობოდეს სტატისტიკოთა მივლინება მაზრებსა და სამაზრო პუნქტებში მოხალისე კორესპონდენტთა საინსტრუქციოთ, საჭიროა კონფერენციები, სადაც ვრცლად იქნება განმარტებული კორესპონდენტის მნიშვნელობა, მისი დანიშნულება და სარგებლიანობა სახელმწიფოს და ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

ასეთ გზით შესაძლებელია მოხალისე კორესპონდენტების ქსელის შექმნა, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება სტატისტიკურ ორგანიზაციასთან და შეგნებული საკუთარი დანიშნულებაც სოფლის მდგომარეობის შესწავლის საქმეში. მოხალისე კორესპონდენტის მხოლოდ ასეთ ქსელის შემწეობით ჩვენ შევძლებთ მიმდინარე სტატისტიკის ორგანიზაციასაც.

ჩვენ მოუწოდებთ ყველას ამ საქმეში დახმარების მსურველთ, ჩაეწერონ სამაზრო სტატისტიკურ ბიუროებში მოხალისე კორესპონდენტად.

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკის სამმართველო ვერ დაპირდება მათ მატერიალურ უზრუნველყოფას, რადგან ეს შეუძლებელი ხდება ჩვენი უსახსრობის გამო. სამაგიეროდ სტატისტიკის სამმართველო მიაწოდებს მათ საკანცელარიო ნივთებს, გაზეთებს და აგრეთვე სტატისტიკურ ხასიათის ყველა გამოცემებს.

სტატისტიკოსი.

ყალბი დოლარები და ჩვენი საზოგადოება

ამერიკიდან მოსული ცნობები ამბობენ ყალბი ფულების მჭრელთა „მუშაობის" გაცხოველებაზე. ალბად ყველა მკითხველმა არ იცის, რომ ამერიკაში აღნიშნული „ხელობაც" ძლიან განვითარებულია და ცდილობს არაფრით არ ჩამორჩეს ამერიკის ძლევამოსილ მრეწველობას.

ამ მოღვაწეობის შედეგად ამერიკის ფულის ბაზარი ნელ-ნელა და სისტემატიურათ ივსება ხსენებულ თავისებურ „ემისიით", რომელიც მედგარ მეტოქეობას უწევს ამერიკის ხაზინას. რამდენათ სერიოზულად უცქერიან პრაქტიკული ამერიკელები ამ საქმეს იმ გარემოებიდან სჩანს, რომ ნიუიორკში გამოდის ყოველთვიური 64 გვერდიანი მთელ მსოფლიოში ერთად-ერთი ჟურნალი, რომელსაც მიზნად მხოლოდ ყალბი ფულების მოჭრა-გავრცელებასთან ბრძოლა აქვს დასახული მიზნათ.

ამ ჟურნალის უკანასკნელი (№ 5) ნომერი და ამერიკის ხაზინის საიდუმლო ცირკულიარები (1 და 7 ივნისისა) საქმე სხვადასხვა კუპიურის დოლარების ყალბი ბანკნოტების თვისებების და ნიშნების აღწერით.

იმ მღელვარებას, რომლითაც ამერიკელები სწერენ ყალბ ფულებზე, თეორეტიული ინტერესი ექნებოდა მთელი ევროპისათვის ომამდის.

ეხლა კი ეს ასე არ არის. ამერიკულმა დოლარმა განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა მსოფლიოს—უმეტესათ კი, ევროპის ბაზარზე. ფრიად პოპულიარული შეიქნა დოლარი იმ ქვეყნებში, სადაც საკუთარი ვალიუტა მერყეობს.

რადგანაც თვით ამერიკელები, ეჭვს გარეშეა, სხვებზე ბევრათ უკეთესათ არჩევენ ყალბ დოლარს, ნამდვილი დოლარისაგან, ამიტომ ამ ყალბი დოლარების ნაკადი ბუნებრივად გაემართა ამერიკის გარეშე ბაზარზე, სადაც ენის უცოდინარობა, რომელზედაც შედგენილია ბანკნოტის ტექსტი და საზოგადოთ დოლარების თვისებებთან გაუცნობელობა, უკეთესი რეალიზაციის გარანტიებს ქმნიან.

ჩვენი საზოგადოებისათვის ყალბი დოლარების საშიშროება უფრო დიდია, რადგანაც საზოგადოთ ცნობილია, რომ ხშირად დოლარები ისეთი პირების ხელში მოხვდებიან ხოლმე, რომელთაც სრულიად არ იციან ნამდვილი დოლარის თვისებები და ნიშნები, რომლითაც იგინი ირჩევიან ყალბი დოლარისაგან. მცხოვრებთა მიერ ინგლისური ენის უცოდინარობა უფრო მეტს შესაძლებლობას ქმნის ყალბი დოლარების გავრცელებისას. ყოველივე ეს გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ საქართველოში და საზოგადოთ ამიერ კავკასიაში გავრცელებულ დოლარების უდიდესი ნაწილი ყალბი არის. რუსეთის კერძო ბანკების და სახელმწიფო ბანკის პრაქტიკაში ხშირად ყოფილა შემთხვევა ყალბი დოლარების მასიური წარდგენისა. ამავე დროს ყალბ დოლარებს ადგენენ ბანკებში სრულიად სხვადასხვა კლასის და მდგომარეობის პირები, რაიც მაჩვენებელია იმ მოვლენისა, რომ ყალბი დოლარები საკმაო მრავლად არის გავრცელებული. დაბეჯითებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ის პირები, რომლებიც გულმოდგინეთ ინახავენ დოლარებს არა ფიქრობენ, რომ ასე სიფრთხილით შენახულ ვითომდა ძვირფას ქაღალდთა შორის ბევრი სრულიად უბრალო ქაღალდია, მხოლოდ ამერიკელ ყალბ ფულების დამამტკიცებელი.

ცხადია, უნდა იქმნას მიღებული სასტიკი ზომები ყალბი დოლარების შემოტანა-გავრცელების წინააღმდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მოვლენა საზოგადოებრივ ბოროტებად იქცევა და ჩვენი ფულის ბაზარს დიდს საფრთხეში ჩააყენებს. საზოგადოება ფრთხილად უნდა მოეპყრას ამერიკულ დოლარებს და განსაკუთრებით ვაჭრობა-მრეწველობაში ჩართული წრეები, რომ დოლარებისადმი განუსაზღვრელ ნდობის გამო საკუთარი ქონება არ დაკარგონ.

ხ.

ლენინზე თავდასხმიდან ხუთი წლის შესრულების გამო

„იზვესტია"-ს წერილი.

მოსკოვი. 30 აგვისტო. „იზვესტია"-ს 30 აგვისტოს ნომერში ამხ. ზინოვიევი მოწინავე წერილში სწერს: „დღეს სრულდება ხუთი წელი ვლადიმირ ილიჩზე თავდასხმის მოწყობის დღიდან. პირველი თავდასხმა ვლადიმირ ილიჩზე მოვლენათა ქარტეხილში ადრე იქნა მივიწყებული. საჭიროა მოვიგონოთ ამის შესახებ. 1918 წელს 1-ლ იანვარს, როდესაც ამხ. ლენინი მიხაილოვის მანეჟზე გამართულ მიტინგიდან მიემგზავრებოდა მის ავტომობილს ზურგიდან სროლა აუტეხეს. ავტომობილის უკანა ნაწილი ზოგიერთ ადგილას აღმოჩნდა ტყვიით გახვრეტილი. ამხ. პლატენი, რომელიც ავტომობილში იჯდა ამხ. ლენინთან, დასჭრეს ხელში; ცხადია, რომ პირველი თავდასხმა ფაქტიურად მოწყობილი იყო ესერების მიერ.

ესერები ცინიკურად გაიძახოდენ, რომ ბოლშევიკებმა თვითვე მოაწყვეს თავდასხმა. 1918 წელს 30 აგვისტოს ესერები კვლავ დაესხენ თავს ამხ. ლენინს. სამოქალაქო ომი უმწვერვალეს ფაზისში იყო. ნორჩი წითელი არმია იბრძოდა მრავალ ფრონტზე. ეკატერინბურგი, უკრაინა და ჩრდილოეთ ს და ვოლგის ნაწილი თეთრ გვარდიელებს ეჭირათ.

30 აგვისტოს დილით პეტროგრადში მოკლული იქნა ამხ. ურიცკი, საღამოს დასჭრეს ვლადიმირ ილიჩი. რამოდენიმე დღის განმავლობაში ის სიკვდილ-სიცოცხლის შუა იმყოფებოდა. მხოლოდ 6 სექტემბერს გამოირკვა, რომ ის არ მოკვდებოდა. მუშებმა სიხარულით ამოისუნთქეს. 5 წელი გავიდა მას შემდეგ. ამ ხუთი წლის განმავლობაში ამხ. ლენინმა გადაატარა თავისი ხომალდი ყველაზე უფრო საშიშარ ადგილებზე, პარტია, რომელმაც მოაწყო თავდასხმა, პარტია, რომელიც ოდესღაც „ყველაზე ძლიერი" იყო რუსეთში, დაიშალა და იქცა მუქთახორების და იმპერიალიზმის ლაქიების უმნიშვნელო ჯგუფად. ყველაზე უფრო სალი და პროლეტარული ნაწილი ესერების პარტიიდან გადმოვიდა ჩვენს მხარეზე. ამხ. ლენინზე მოწყობილმა თავდასხმამ თვალი აუხილა მუშაესერებს. თავდამსხმელები შევიდენ ისტორიაში, როგორც გაკიცხულები ზიზღითა და სიძულვილით, ხოლო ამხანაგმა ლენინმა გამოიყვანა სახელმწიფო ფართო გზაზე, შექმნა ს. ს. რ. კავშირი და ახალი გზა გაუხსნა კაცობრიობას. ცნება „ლენინიზმი" იქცა კომუნიზმის სინონიმად. ვლადიმირ ილიჩის გენია სცოცხლობს რუსეთის და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატში.

ეხლა, როდესაც ისმის გერმანიაში მოახლოვებულ მოვლენათა ჭექა-ქუხილი, ვის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ გერმანიის მუშათა მოძრაობის საუკეთესო ძალები იმოქმედებენ ისე, როგორც ასწავლიდა ამხ. ლენინი. შეისწავლეთ ლენინი, ვეტყვით ჩვენ მუშებს და პირველ ყოვლისა ჩვენს ახალგაზრდობას. ლენინიზმი არის რევოლიუციონური მარქსიზმის საუკეთესო მიღწევა და უბადლო იარაღი პროლეტარიატის ხელში, რომლის შემწეობითაც ის დაუძლეველი იქნება. ლენინიზმი (გამოტოვებულია...) მსოფლიო პროლეტარიატის დახმარებით, რომელსაც ისტორიამ უანდერძა ბურჟუაზიის მესაფლავეობა. მსოფლიო ისტორიაში არ არის სხვა ისეთი ხალხის ბელადის სახელი, რომელიც ასე უსაზღვროდ უყვარდეს მასებს, როგორც ამხ. ლენინის სახელია. ამხ. ლენინის ჯანმრთელობის გაუმჯობესება გულწრფელ სიხარულს იწვევს მთელს მსოფლიოში. დროა ბელადი დაუბრუნდეს საქმეს.

ამ ხუთი წლის განმავლობაში ლენინიზმის იდეებმა დიდი ნაყოფი მოიტანეს პროლეტარულ ევროპაში და გერმანიის კომუნისტური პროლეტარიატის ძლევამოსილ მოძრაობაში. გაივლის კიდევ ხუთი წელი და დიადი მთესველის თესლი ამოვა მთელს აღმოსავლეთში. დღევანდელ დღეს მილიონიან პროლეტარების მთელი სიყვარული -ვლადიმირ ილიჩს, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გენიას!"

„პრავდა"-ს წერილი.

„პრავდა"-ს მოწინავე წერილში „ხუთი წლის შემდეგ"—ამხ. რადეკი სწერს: „ხუთი წელი გავიდა ამხ. ლენინზე თავდასხმის შემდეგ, რომელიც მოწყობილი იყო ესერების ცეკას მიერ. ამ წლის თავს ჩვენ ჯეროვნად ვერ ვდღესასწაულობთ, რადგანაც ამხ. ლენინი ჯერ კიდევ არ არის ჩვენთან. მაგრამ ხალხის ფართო მასებისათვის ყველაზე უფრო სამწუხაროა ამხ. ლენინის ავადმყოფობა, რაც წარმოადგენს საბჭოთა რუსეთის ძლიერების უდიდეს გამოცდას. წელიწადზე მეტია, რაც კომუნისტური პარტია უმისოთ უძღვება სახელმწიფოს. მტრები ფიქრობდენ, რომ მუშებსა და გლეხებს შორის, მუშათა კლასის და კომუნისტური პარტიის ბანაკებში მოხდებოდა არევ დარევა და განხეთქილება მაგრამ ეს ტყუილი ოცნება გამოდგა: კომუნისტურმა პარტიამ შესძლო—(გამოტოვებულია)... რუსეთი ეხლა უფრო ძლიერია, ვინემ წინად იყო (დასასრული არ არის მიღებული).

„საგადასახადო ამოცანები"

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი. 29 აგვისტო. „იზვესტია"-ს მოწინავე წერილში „საგადასახადო ამოცანები"—სტოკლიცკი სწერს:

„საგადასახადო კამპანია, მოსავლის რეალიზაციასთან დაკავშირებით, იწყებს განვითარებას. ჩვენმა მუშაკებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა დეტალები დეკრეტისა ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და არ უნდა დაივიწყონ პარტიის მე-12 ყრილობის დადგენილებები: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ აპარატის შემადგენლობის ღირსებას, რომლის საშუალებითაც საბჭოთა ხელისუფლება ჰკრებს გადასახადს. ადგილობრივმა მუშაკებმა სისწორით უნდა დაიცვან სრულიად რუსეთის საბჭოთა მეათე ყრილობის დადგენილება, რომელიც „კატეგორიულად უკრძალავს ყველა საბჭოთა ორგანოებს და მთავრობის წარმომადგენლებს ისეთი გადასახადების აკრეფას, რომლებიც არ არიან აღნიშნულ სათანადო კანონში".

ჩვენი გლეხობა სიხარულით შეხვდა ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღებას. მას ესმის, რომ გადასახადის გვერდის ახვევა შეუძლებელია, მაგრამ სამართლიანად მოითხოვს მთავრობის წარმომადგენლებისაგან სერიოზულ და დაკვირვებულ მიდგომას მათი საჭიროებისა და მოთხოვნილებებისადმი. ოქტომბერმა გლეხობას მისცა 40 მილ. დესიატინა მიწა, 5 მილიარდი ოქროს მანეთის ღირებულების და გაანთავისუფლა ისინი საადგილ-მამულო ვალისაგან, რომელიც შეადგენდა ნახევარ მილიარდ ოქროს მანეთს.

გლეხობის განკარგულებაში გადავიდა კერძო მესაკუთრეების ინვენტარის დიდი რაოდენობა, რაც უდრის 350 მილ. მანეთს ოქროთი. ეს მონაპოვარი წარმოადგენს სამეურნეო კაპიტალს ჩვენი სასოფლო მეურნეობის მომავალი განვითარებისათვის. მიმდინარე წელს სასოფლო-მეურნეობის მთელი პროდუქციის ღირებულება უდრის 4 მილიარდ ოქროს მანეთს. თანხა, რომელიც უნდა შემოვიდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საშუალებით, უდრის სულ 400 მილიონ მანეთს, ანუ მთელი პროდუქციის 10 პროცენტს.

მეფის მთავრობა კი აძლევინებდა გლეხობას მეურნეობის პროდუქციის 20 პროცენტს. საგადასახადო ტვირთი გლეხობას მშვიდობიან დროსთან შედარებით შეუმცირდა ორჯერ. ერთიანი გადასახადის რეალიზაციის საქმის მუშაკებს მართებთ დაკვირვებული მიდგომა გლეხობის საჭიროებისადმი და იმედი გვაქვს, რომ სოფლების მცხოვრებლები წესიერად გადაიხდიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს და მით მოიხდიან მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე."

საფრანგეთის პრესა საბჭოთა კავშირის შესახებ

პარიზი. 28 აგვისტო. საფრანგეთის საქმიანი წრეები სცდილობენ დეტალურად გაეცნონ ს. ს. რ. კავშირის ეკონომიურ და საერთაშორისო მდგომარეობას. კომერციული და ფინანსიური ორგანოები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს რუსეთის ეკონომიურ განვითარებას. ყოველდღიური ბიულეტენი „სოსიეტე დ' ეტიუდ ე დ' ენფორმასიონ ეკონომიკი", რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული მსხვილ მრეწველობასთან, ყოველდღე ათავსებს წერილებს და შენიშვნებს ს. ს. რ. კავშირის ფინანსიურ, სავაჭრო, სამრეწველო და პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. ამ წერილებს და ეტიუდებს, რომელთათვისაც რედაქტორები სესხულობენ მასალებს უმთავრესად საბჭოთა წყაროებიდან, აქვთ საკმაოთ ობიექტიური ხასიათი, თუმცა, საბჭოთა წესწყობილებისათვის არასასურველ ფაქტებს გულმოდგინეთ უსვამენ ხაზს. რადგანაც საფრანგეთის პრესა სარგებლობს ბიულეტენის მასალებით, გაზეთებში ხშირად იბეჭდება ეკონომიური ხასიათის წერილები და შენიშვნები, რომელნიც ს. ს. რ. კავშირს ეხებიან. ასე მაგ. საფინანსო ორგანო „კაბლოგრამი" და სპეციალური სავაჭრო გაზეთი „ბიულეტენ დე ჰალლი" სესხულობს ბიულეტენიდან დიდძალ მასალებს რუსეთის შესახებ. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენითაც ფართოთ სარგებლობენ ფრანგული გაზეთები და უმეტესია იწვევენ დიდ ინტერესს რუსეთის საქმეებისადმი. გავლენიანი დეპეშათა სააგენტო „აჟანს ეკონომიკ ე ფინანსიერი" დროგამოშვებით უშვებს სპეციალურ რუსულ ფურცლებს, რომელიც ეხება უმთავრესად სხვა და სხვა ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხების (რუსეთის საქმეების, რუსეთის საბჭოთა ოქროს, ჩერვონეცის და საქონლის მან. შესახებ). თუ უკანასკნელ ხანებამდე ს. ს. რ. კავშირთან ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენაზე ლაპარაკობდენ მხოლოდ მემარცხენე პოლიტიკური გაზეთები, ამიერიდან ამ საგანზე ხშირად (თუმცა არაპირდაპირ) სწერენ ეკონომიური ორგანოებიც. ასე მაგ. „კურიერ დეპეტროლი", რომელიც დიდათაა დაინტერესებული ბაქოს ნავთით, ერთი წერილი მოათავსა ამის შესახებ, რომელშიაც გამოსთქვამს აზრს, რომ საჭიროა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დაჭერაო. ბურჟუაზიული ფრანგული პრესა ხშირად სტოვებს „ავი ძაღლის" შთაბეჭდილებას; იგი თვალყურს ადევნებს იმას, რომ სხვა ქვეყნებმა არ მოაგვარონ საქმე ს. ს. რ. კავშირთან. განსაკუთრებით აწუხებს მას ამ მხრივ გერმანიის და რუსეთის დაახლოვება, ამით აიხსნება, სხვათაშორის, ის ფაქტი, რომ „ტანმა", რომელიც იშვიათად სარგებლობს რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობებით, მოათავსა მოსკოვში მყოფ გერმანელ ელჩის ბროკდორფ რანცაუს საუბარი, მოსკოვის გამოფენის შესახებ ამ საუბრის ტექსტი პარიზის დეპეშათა სააგენტომ გაავრცელა პარიზის პრესაში და საქმიან წრეებში, მაგრამ საუბარი ამერიკელ წარმომადგენელთან „ტანმა" აღარ დაბეჭდა. რუსეთ-გერმანიის დაახლოვების შიშით შეიძლება აიხსნას ის ინტერესიც, რომელსაც იწვევს საფრანგეთის პრესაში რუსეთის საჰაერო ფლოტის განვითარება. ლოზანას ხელშეკრულების გამო, პრესა ხაზს უსვამს ს. ს. რ. კავშირის მიერ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ს. ს. რ. კავშირის მოწვევა საერთაშორისო აქტებში მონაწილეობის მისაღებად არის მისი ერთგვარად დეიურედ ცნობა. მხოლოდ ერთმა გაზეთმა „ეკო ნაციონალმა" პროტესტი განაცხადა ამ საკითხის ამგვარად გაგების წინააღმდეგ.

---

*) ცნობის გვიან მიღების გამო სათანადო

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გერმანიის ამბები

კომინტერნისა და პროფინტერნის მოწოდება ყველა ქვეყნის მუშებისა და მუშა ქალების მიმართ

გერმანიის მშრომელები — განსაცდელში არიან.

„გერმანიის მუშათა კლასი და მთელი მშრომელი ხალხი უკიდურეს განსაცდელს განიცდის.

საფრანგეთის იმპერიალიზმის ჯარებმა დაიკავეს რურის ოლქი და რურის პროლეტარიატი აუტანელ მძიმე ეკონომიურ პირობებში ჩააყენეს. გერმანიაში იზრდება ეკონომიური ანარქია.

პროლეტარიატის მდგომარეობა თანდათან აუტანელი ხდება.

კოალიცია ვერ იხსნის მდგომარეობას.

სოციალ დემოკრატიისა და ბიუროკრატიულ პროფკავშირების მეთაურობის ყველა ღონისძიებების წინააღმდეგ, გერმანიის პროლეტარიატი აღსდგა და გაფიცვათა ტალღებით ჩამოაგდო კუნოს კაპიტალისტური მთავრობა. მისი ადგილი დაიჭირა შტრეზემანისა და ჰილფერდინგის მთავრობამ, ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატიის კოალიციის მთავრობამ, რომელმაც აღუთქვა მუშათა კლასს მისი მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება; მაგრამ ამ მთავრობის პირველი ნაბიჯი იყო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ცენტრალურ კომიტეტის დათხოვნა, რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო პროლეტარიატის ხტიქიური მოძრაობის გაერთიანება, ანარქიისა და ზედმეტ შეტაკებათა თავიდან აცილება.

კაპიტალის ორგანიზაციული თავდასხმა გერმანიის მუშათა კლასზე.

ამავე დროს შეკავშირებული კაპიტალი იწყებს თავდასხმას მუშათა კლასზე. პროტესტის ნიშნათ გადასახადების წინააღმდეგ, ის იმუქრება ქარხნების დახურვით და სცდილობს უკიდურესობამდი მიიყვანოს მუშათა კლასი და ამით გამოიწვიოს ის ბრძოლაში იმაზე ადრე, სანამ პროლეტარიატი მოასწრებს თავის რიგების წესრიგში მოყვანას. ეწყობა ფაშისტების ბანდები იმ მიზნით, რომ მოხერხებულ დროს, შეიარაღებულნი თავიდან ფეხებამდი, დაესხან თავს გერმანიის უიარაღო პროლეტარიატს.

გერმანიის მუშების შეგნება იზრდება.

გერმანიის პროლეტარიატი, რა თქმა უნდა, ნებას არ მისცემს, რომ უეცრათ დაესხან მას თავს. თანდათან გადიდებულ მასებით მიილტვიან პროლეტარები კომუნისტურ პარტიის რიგებში. მუშების უმრავლესობა ხტოვებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, დანარჩენნი მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს გამყიდველ პოლიტიკას. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დაშლით გერმანიის ბურჟუაზიას ეცლება დასაყრდნობი გერმანიის მდგომარეობა თანდათან უარესდება და გერმანია რევოლიუციისაკენ მიილტვის.

ანტანტის ბურჟუაზია — გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ.

გერმანიის პროლეტარიატს მომავალ ბრძოლაში მოუხდება ბრძოლა არა მარტო გერმანიის ბურჟუაზიასთან, არამედ მას ხაშიშროება მოელის ხხვა მხრიდანაც; გერმანიის ბურჟუაზიის პროლეტარიატზე თავდასხმის დროს, გადამწყვეტ ბრძოლის მომენტში, ანტანტის ბურჟუაზია დაეხმარება გერმანიის ბურჟუაზიას. საფრანგეთი, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია შეეცდებიან დაიკავონ გერმანია თავის ჯარებით, რომ დაარბიონ მუშათა კლასი. გერმანიის პროლეტარიატს ხაშიშროება მოელის ინგლისის იმპერიალიზმის მხრიდანაც: ზღვიდან ბლოკადის გამოცხადებით ანტანტა შეეცდება გადაჭრას გზები გერმანიაში პურის შესატანათ.

საერთაშორისო პროლეტარიატი უნდა დაეხმაროს გერმანიის მუშებს.

ამხანაგებო! მთელი ქვეყნის პროლეტარებო! ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ დაეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს. მასიურ კრებების საშუალებით საერთაშორისო პროლეტარიატის ყურადღება მიაქციეთ გერმანიის მდგომარეობას. შეაგროვეთ ფულები გაფიცულთა და აგრეთვე გერმანიის პროლეტარულ მებრძოლ ორგანიზაციების დასახმარებლად. მოაწყვეთ ქუჩებზე დემონსტრაციები შემდეგი ლოზუნგებით:

„მშვიდობიანობა გერმანიის მშრომელ ხალხს“.

„შორს ხელები პროლეტარულ გერმანიისაგან“.

„შორს საოკუპაციო ჯარები რეინის პროვინციიდან, საარისა და რურის ოლქებიდან“

აუხსენით საფრანგეთისა, ბელგიისა და ინგლისის ჯარისკაცებს, რომ აძლევენ რა ისინი თავის თავს გამოყენებულ იქნენ გერმანიის პროლეტარიატის ჯალათებათ, ისინი ამით მხარს უჭერენ თავის საკუთარ ექსპლოატატორებს.

საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისის, პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის რევოლიუციონურ მუშებს და კომუნისტებს დიდი ისტორიული ამოცანა აქვთ დაკისრებული — დააცილონ ამ ქვეყნების ბურჟუაზია გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს.

ყველა ქვეყნების პროლეტარები ვალდებულნი არიან მატერიალური დახმარება გაუწიონ თავის გერმანელ მოძმეებს“.

კომინტერნისა და პროფინტერნის ღია წერილი 2 ინტერნაციონალის აღმასკომს

მოსკოვი. 29 აგვისტო. კომინტერნმა და პროფინტერნმა შემდეგი წერილით მიმართეს პროფკავშირთა ამსტერდამის გაერთიანების და 2 ინტერნაციონალის აღმასკომს.

გერმანიის ამბების საერთაშორისო მნიშვნელობა.

„გერმანიის ამბები საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე აყენებს მნიშვნელოვან ისტორიულ ამოცანას. გერმანიის 20 მილიონი პროლეტარები აღსდგენ გერმანიის კაპიტალისტებისა და ანტანტის იმპერიალისტების წინააღმდეგ საბრძოლველათ. ახლო მომავალში გადამწყვეტი ამბები მოხდება. მომავალი ბრძოლა შეავსებს უახლოეს პერიოდის მთელ პოლიტიკურ ისტორიას. ამ ბრძოლის შედეგი გადაწყვეტს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბედს.

გერმანიის ამბებს უდიდესათ დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის საზღვრების გარეშეც. მთელი ქვეყნის მუშებს არ შეუძლიანთ გვერდზე გადგენ გერმანიის ამბებიდან. გერმანიის მუშების საქმე — მთელი ქვეყნის მუშების საქმეა.

გერმანიის პროლეტარიატს შეერთებული ძალღონით უნდა დავეხმაროთ.

ჩვენ წინადადებას გაძლევთ შეერთებულათ იქნეს განხილული ის პრაქტიკული ზომები, რომელნიც შესაძლებელია და უნდა იქნენ კიდეც მიღებული პროლეტარიატის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატის დახმარებისათვის. ამის გამო, წინადადებას გაძლევთ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენთან ერთად იმ საერთაშორისო თათბირში, რომელიც მოწვეულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 ენკენისთვისა.“

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა ცენტრალურ კომიტეტის დაშლა.

ბერლინი. 29 აგვისტო. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ზევერინგმა დაშლილათ გამოაცხადა ბერლინის საქარხნო კომიტეტების ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც თავის დროზე შექმნა 15 კაცისაგან შემდგარი გაფიცვის ხელმძღვანელი კომიტეტი.

უმუშევრობის ზრდა საქსონიაში.

ბერლინი. 30 აგვისტო. საქსონიაში უმუშევართა რიცხვი იზრდება. ყოველ დღე იკეტება რამდენიმე ქარხანა-ზავოდი. მხოლოდ ამ კვირის განმავლობაში 100-ზე მეტი ქარხანა დაიკეტა.

ფოსტა-ტელეგრაფის ახალი მინისტრი.

პარიზი. 30 აგვისტო. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრად გერმანიაში დაინიშნა რეიხსტაგის დეპუტატი ჰოფლი.

მრეწველებს არ მოსწონთ „საგანგებო ზომები“.

პარიზი. 30 აგვისტო. ბავარიის მრეწველთა საბჭომ შტრეზემანის ახალი ფინანსიური ნაბიჯების წინააღმდეგ მიმართული რეზოლიუციები მიიღო. მრეწველთა აზრით, დღევანდელი ფინანსიური მდგომარეობა გამოწვეულია მოხელეთა სიმრავლით და სხვა ამგვარი პირობებით.

მუშათა მოძრაობას ვერ ჩააქრობენ.

ბერლინი. 28 აგვისტო. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების სრულიად გერმანიის კომისიას, რომელიც დათხოვნილი იყო პრუსიაში ზევერი- [illegible] ბა გადააქვს ტიურინგიაში. კომუნისტურ გაზეთ „ნეიე ცეიტუნგ“-ის ცნობით, კომისია არც კი ფიქრობს მუშაობის შეწყვეტას, რადგან უკანასკნელ დროის ბრძოლამ გამოააშკარავა, რომ საფაბრიკო საქარხნო კომიტეტები ერთად ერთი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია მთლიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა. მოსალოდნელ ახალ ბრძოლის გამო, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები უნდა გაფართოვდენ და უკეთესად მოეწყონ.

გერმანიის მუშათა მოძრაობა მთლიანია.

ბერლინი. 28 აგვისტო. ჰოტის პროფკავშირთა ორგანიზაციამ „კარტელ“-მა, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ჰოტის ყველა პროფკავშირებს, ერთხმად დაადგინა მონაწილეობა მიიღოს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონგრესში, რომელიც შესდგება ტიურინგიაში 9 ენკენისთვეს.

მუშების სურვილის წინააღმდეგ.

ბერლინი. 28 აგვისტო. ჰამბურგის სენატის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ უარყო კომპარტიის ჰამბურგის განყოფილების წინადადება მუშათა საერთო საბჭოს დაარსების შესახებ, რომელიც გაატარებდა ნამდვილ მუშურ პოლიტიკას. ფრაქციის უარი ეწინააღმდეგება ჰამბურგის სოციალ-დემოკრატ მუშების უმრავლესობის სურვილს, რომელნიც მუშათა საბჭოს დაარსების მხარეზე არიან.

მარკის კურსი.

ბერლინი. 28 აგვისტო. დოლარის ოფიციალური კურსი უდრის 6.400.000 მარკას, ბირჟის დაკეტვის შემდეგ კი 7.800.000.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

რუსეთ-რუმინეთის სავაჭრო ხელშეკრულება.

ვენა. 28 აგვისტო. პრესის ცნობით, დუკას განზრახული აქვს განაახლოს რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკება ბრატიანოს დაბრუნების შემდეგ, სექტემბერში. „ადევერული“ იტყობინება, რომ რუსეთ-რუმინეთის ქვეკომისიების მუშაობა გაგრძელდება. მიღწეული შეთანხმების ძალით, საქონლის გავლა-გამოვლის პუნქტად რუსეთის მხრივ დანიშნულია ტირასპოლი, ხოლო რუმინეთის — ბენდერი. გადახდა მოხდება ოქროთი, ან მტკიცე ვალიუტით. რუსეთ რუმინეთის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა უნდა მოხდეს სექტემბრის დასასრულს.

დახმარება რუსეთის ბავშვებს.

ვენა 28 აგვისტო. ავსტრალიის „რუსეთისათვის ტეხნიკური დახმარების საზოგადოებამ“ სიდნეიში გადმოუგზავნა რუსეთის წითელ ჯვარს საბავშვო ტანთსაცმელები საბავშვო სახლებისათვის. საზოგადოება, ამ პირველ უმნიშვნელო დახმარების შემდეგ, ფიქრობს გააფართოვოს მუშაობა საბჭოთა რესპუბლიკის ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით.

საუბარი ვირტთან.

მოსკოვი. 29 აგვისტო. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს, გერმანიის ყოფილმა რეიხსკანცლერმა, რომელიც ამჟამად იმყოფება მოსკოვში, განაცხადა, რომ მისი მოგზაურობის მიზანია, გარდა რუსეთთან გაცნობისა, გაუღვიძოს გერმანიის სამრეწველო წრეებს მუშაობის სურვილი რუსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. ამ მუშაობაში გერმანიის მრეწველობის უმნიშვნელო მონაწილეობა აიხსნება გერმანიის სიღარიბით. საფრანგეთი თავისი სარეპარაციო პოლიტიკით ანადგურებს სახალხო მეურნეობას გერმანიაში, რომელიც შენატრის რუსეთის მდგომარეობას, რომელიც მშვიდობიან განწყობილებაში არის მეზობლებთან. გერმანიის ახალი მთავრობა უარს არ ამბობს თავის ვალების გადახდაზე, მაგრამ მოითხოვს გერმანიის გადახდის უნარიანობის მიუდგომლად გამორკვევას.

საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეა.

ნიუ-იორკი. 28 აგვისტო. გაზეთ „ნიუ-იორკ-გერალდი“-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს, ნიუ იორკის სააქციონერო საზოგადოების „გალანტი ტრესტკო“-ს ვიცე წარმომადგენელმა სისმა განაცხადა, რომ ის დარწმუნდა საბჭოთა მთავრობის სიმტკიცეში. რუსეთის სახალხო ბანკი მუშაობს წარმატებით და ხელს უწყობს სახელმწიფო მრეწველობის განვითარებას.

ლატვიის წარმომადგენელი ს. ს. რ. კ. კავშირში.

მოსკოვი. 28 აგვისტო. ლატვიის წარმომადგენლად ს. ს. რ. კ. მთავრობასთან დაინიშნა ინჟენერი კარლზელა.

საბჭოთა კავშირი და სპარსეთი.

თეირანი. 28 აგვისტო. „როსტა“-ს ცნობამ, რომელშიაც აღნიშნულია ს. ს. რ. კ ცაკის დადგენილება შარიატისათვის ოსმანის ყურანის გადაცემის შესახებ და რომელიც წაკითხულ იქნა შახის მეჩეთში მრავალრიცხოვან მიტინგზე, მოახდინა დიდი შთაბეჭდილება.

საბჭოთა კავშირი და ლატვია. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში.

მოსკოვი. 28 აგვისტო. 28 აგვისტოს ს. ს რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლატვიაში არალოვმა გადასცა ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტს რწმუნების სიგელი.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ინცინდენტი რაკოვსკისთან ამოწურულია.

ლონდონი. 28 აგვისტო. „ხელები შორს რუსეთისაგან“-ის კომიტეტმა გამოაქვეყნა ბროშიურა, რომელიც ეხება ინცინდენტს რაკოვსკისთან.

წინასიტყვაობაში, რომელიც დაწერილია საერთაშორისო პოლიტიკის ცნობილ მცოდნის, მუშათა პარტიის წევრის მორელის მიერ, ნათქვამია: „გაზეთი, რომელიც პასუხისმგებელია რაკოვსკის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიისათვის, ორი კვირის განმავლობაში არ ათავსებს პასუხს ბრალდებაზე. საუკეთესო პასუხი იქნებოდა „მორნინგ პოსტის“ აქციის მესაკუთრეთა სახელების და დახასიათების გამოქვეყნებაო“.

შემდეგ მორელი გამოსთქვამს იმედს, რომ ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი არ შეაფერხებს რაკოვსკის ჩამოსვლას. ინგლისის საზოგადოებრივმა აზრმა დაჟინებით უნდა მოითხოვოს ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის სამწუხარო მოღვაწეობის დავიწყება და ისეთ გზაზე დადგომა, რომელიც შეეფერება ინგლისის და რუსეთის ხალხის მოთხოვნილებას.

„დეილი ნიუზი“ იცავს ნანსენს.

ლონდონი. 28 აგვისტო. გაზ. „დეილი ნიუზი“ და „მანჩესტერ გარდიენი“ პროტესტს აცხადებენ თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, რომელნიც ილაშქრებენ ნანსენის წინააღმდეგ ლონდონის გაზეთებში, და აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობასთან მეგობრულ დამოკიდებულებაში ყოფნა არ ნიშნავს მიდგომილების გამოჩენას.

რეაქცია ფინეთში

ს. ს. რ. კავშირის საპროტესტო ნოტა ფინეთის პოლიციის პროვოკაციულ მოქმედების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 29 აგვისტო. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრის კოპპის მიერ ფინების ელჩის ხასკელისთვის გადაცემულ საპროტესტო ნოტაში, რომელიც მიმართულია ფინეთის საიდუმლო პოლიციის აგენტების პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ, ნათქვამია: „ჰელსინგფორსში მყოფი ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანი წარმომადგენლობა და საბ. კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა გახდენ ამ უკანასკნელ ხანებში ფინეთის საიდუმლო პოლიციის აგენტების გაძლიერებული ყურადღების ობიექტად, რათა გამოარკვიონ კავშირი ფინეთის მუშათა პარტიის და ს. ს. რ. კავშ. მთავრობის შორის აგენტებმა მიმართეს მთელ რიგ სისხლის სამართლის დანაშაულებრივ მოქმედებებს. ამის სული ჩამდგმელი იყო კლემეტტი ჰელსინგფორსის საიდუმლო პოლიციის უფროსი, რომელიც ამ დღეებში გარდაიცვალა.

გაგარინას საქმე.

25 ივლისს, ფინეთის გუბერნატორის განკარგულებით დაპატიმრებულია ლიუდმილა იაკობის ასული გაგარინა, რუსეთის ყოფ. მოქალაქე, რომელიც მიმართა სრულუფლებიან წარმომადგენლობას ნებართვისათვის რუსეთში დასაბრუნებლად. რამდენიმე დღის შემდეგ სიპელგასი, ესტონეთის ქვეშევრდომი, რომელიც შემდეგ საიდუმლო პოლიციის აგენტი აღმოჩნდა, გამოცხადდა გაგარინას ნაცნობთან ს. ს. რ. კა—ის სავაჭრო წარმომადგენლობის იურისკონსულტთან გორჩაკოვთან, და წინადადება მისცა მას გაგარინას განთავისუფლების ნაცვლად მიაწოდოს მას სამხედრო დაზვერვის ხასიათის ცნობები. ამ ცნობების მისაღებად გორჩაკოვი მიიწვია სიპელგასმა საიდუმლო პოლიციის უფროს — კლემეტტისთან, რომელმაც მისცა სავაჭრო პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის ხასიათის კითხვები. ამასთანავე მან განაცხადა, რომ გაგარინა დაუყოვნებლივ იქნება განთავისუფლებული, როდესაც წარმოდგენილი იქნება საბუთები, რომ დახმარებას უწევენ ფინეთის კომუნისტებს ფულად და სხვა საშუალებით. რადგან საჭირველი ცნობები ვერ მიიღეს, გაგარინა არ იქმნა განთავისუფლებული მიუხედავათ იმისა, რომ არავითარი ეჭვები არ იყო წამოყენებული მის წინააღმდეგ. რუსეთის მთავრობა მოელის ფინეთის მთავრობისაგან სათანადო დისციპლინარულ ნაბიჯების გადადგმას იმ პირთა მიმართ, რომელთაც ჩადენილი აქვთ სისხლის სამართლის დანაშაული და დასძენს, რომ საქმის ფინეთის სამმართველოსათვის გადაცემის შემდეგ, იგი ნებას დართავს მისის ყველა თანამშრომელთ, რომელნიც გახდენ ფინეთის საიდუმლო პოლიციის პროვოკაციის ობიექტად, მისცენ თავიანთი ჩვენებანი.

საკონტრიბუციო საკითხი

პრესის აზრი.

პარიზი. 30 აგვისტო. ინგლისის პრესა კომენტარიებს უკეთებს ბელგიის ნოტას.

„ვესტმინსტერ გაზეტ“ და „დეილი ექსპრეს“ აცხადებენ, რომ ნოტა ამტკიცებს ყოველგვარ მოლაპარაკების უსარგებლობას ამჟამათ.

„ტაიმს“-ი პირიქით, ნოტაში ხედავს ბელგიის მთავრობის შუამავლობის ცდას.

გერმანიის სოციალ დემოკრატების ორგანო „ფორვერტს“-ი ფიქრობს, რომ ბელგიის მთავრობა თავის ნოტით სცდილობს ხიდი გასდოს საფრანგეთსა და ინგლისს შორის.

ბერლინი. 30 აგვისტო. „ფორვერტს“-ი კომენტარიებს უკეთებს ბელგიის ნოტას და მოყავს შტრეზემანის ინტერვიუ „დეილ გრეფი“-ს სპეციალურ კორესპონდენტთან, რომლის დროსაც კანცლერმა გამოსთქვა აზრი საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის შეთანხმების შესახებ. გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ ბელგიის ნოტა იქნება შემდეგი ნაბიჯი, რომელიც მიმართული იქნება ამ შეთანხმებისაკენ.

ბერლინი. 30 აგვისტო. ჰავასის სააგენტო თავის ოფიციალურ ცნობაში სცდილობს ბელგიის ნოტა წარმოადგინოს, როგორც საფრანგეთის თვალსაზრისის სრული გამარჯვება. მაგრამ ამ ნოტის დაწვრილებით შესწავლის დროს აღმოჩნდება, რომ ბელგიის მთავრობა ეხლაც იქითკენ მიილტვის, რომ გასდოს ხიდი საფრანგეთსა და ინგლისის შორის რურის ოკუპაციის საკითხში და ზოგიერთ მუხლებში სცდილობს მხარი დაუჭიროს გერმანიას. „ნიუიორკ გერალდ“-ის ლონდონის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლისის პოლიტიკურ წრეების აზრით ბელგიის ნოტა არ სწყვეტს საკონტრიბუციო საკითხს. ინგლისის პრესა პირველ ყოვლისა იხ ლავს იმ ფაქტს, რომ ნოტაში არაფერი არ არის ნათქვამი ინგლისის წინადადების შესახებ, გადაცემულ იქნეს ექსპერტების საერთაშორისო კომისიისათვის გერმანიის გადახდის უნარიანობის გამორკვევა. პრესა აგრეთვე ხაზს უსვამს ბელგიის მთავრობის წინადადებას მოკავშირე ქვეყნების პრემიერთა პირადი მოლაპარაკებისა და ოფიციალურ კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ოკუპაციის გარშემო

ახალი მაღაროების დაჭერა.

რომი. 30 აგვისტო. დიუსელდორფის მახლობლად საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ დაიჭირა კიდევ ორი ახალი მაღარო.

რურის მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობები.

შოუ აღნიშნავს მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას და სურსათ-სანოვაგის სიმცირეს რურში და დაწვრილებით ეხება სოციალ დემოკრატიულ პროფკავშირთა თანამდებობის პირების მიერ დაკავებულ პოზიციაზე. მათი აზრით, რურის კონფლიქტის მოსაგვარებლათ საჭიროა თავისუფლების მიცემა რურის მუშებისათვის, გადასახლებულთა დაბრუნება, დაპატიმრებულ მუშების განთავისუფლება, ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ მუშებს არ ემუქრებოდეს გადასახლება და მოკავშირეთა მიერ უარყოფა ხიშტის ქვეშ იძულებითი მუშაობის მეთოდის. ამ პირობების შესრულების შემთხვევაში მუშები თანახმა არიან შესწყვიტონ პასიური წინააღმდეგობა.

რურის მუშები „არაფერს არ დაკარგავენ, გარდა ბორკილებისა“.

საკუთარ დაკვირვების მიხედვით შოუ გამოსთქვამს აზრს, რომ სასოწარკვეთილებამდე მიყვანილ რურის მოსახლეობას. შეუძლია აჯანყდეს და ამიტომ აუცილებლათ საჭიროა საზოგადოებრივ აზრის ზედგავლენის საშუალებით აიძულოს საფრანგეთს გარკვეულ განცხადების გაკეთება პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტისთვის კომპენსაციის შესახებ.

გერმანელი სოციალ-დემოკრატები მზათ არიან შეუთანხმდენ რურის ოკუპანტებს.

„ფორვერტს“-ს რურის კონფლიქტის ლიკვიდაციის და შესაძლებელ კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით წინადადებას იძლევა სერიოზული ყურადღება მიექცეს შოუს განცხადებას. გერმანიის ნაციონალისტური პრესსის აზრით, შოუს მოხსენება და „ფორვერტს“-ის კომენტარიები ამტკიცებენ, რომ სოციალ-დემოკრატები მზათ არიან კაპიტულიაცია გამოაცხადონ და სეპერატიული შეთანხმება ჩამოაგდონ რურის ოკუპანტებთან“. „დოიჩე-ტაგეს ცეიტუნგი“ ემუქრება შტრეზემანის მთავრობას და მოითხოვს დაუყოვნებლივ გამოარკვიოს კაბინეტის პოზიცია სოციალ-დემოკრატიის ამ „საარაკო ღალატის“ მიმართ.

მდგომარეობა რურში.

ბერლინი. 28 აგვისტო. „ფორვერტსმა“ გამოაქვეყნა რურის მდგომარეობის გამომრკვევი დელეგაციის თავმჯდომარის — ტომას შოუს მოხსენება, რომელიც მე-2-ე ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტს წარედგინა.

ფიუმეს საკითხი

ზაგრები. 26 აგვისტო. გაზ. „ზაგრებერ ტაგებლატ“-ი იუწყება, რომ ბელგრადში სრულიადაც არ აპირებენ ანგარიში გაუწიონ კროატების თვალსაზრისს, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ფიუმეს საკითხი — წმინდა კროატიული საქმეა და ოდნავ ეხება სამხრეთ-სლავიის სერბიულ მოსახლეობის ინტერესებს. „არ არის საჭირო ზედმეტი კროატობა, ვიდრე ეს თვით კროატებს აქვთ,“ — ამბობენ ბელგრადში.

ბენეში შუამავლის როლში.

რომი. 29 აგვისტო. რომში ჩამოვიდა არა ოფიციალურ შუამავლის სახით ჩეხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბენეში, რომელსაც იმედი აქვს თავისი გავლენა გამოიყენოს სამხრეთ-სლავიისა და იტალიის კონფლიქტის გადაწყვეტაში, დღეს ბენეში საათ-ნახევრის განმავლობაში მუსოლინს ეთათბირა. თათბირის საგანი დიდის საიდუმლოებით არის მოცული.

სხვადასხვა

ბულგარეთი.

დასკალოვის მკვლელი ფაშისტია.

პრაგა. 28 აგვისტო. როგორც გამოირკვა დასკალოვის მკვლელი ნიკოლოვი არის ბულგარეთის ფაშისტურ ორგანიზაციის „კუბრატის“ აგენტი. ორგანიზაციის მიზანია ნაციონალისტურ ბულგარეთის ყველა მოწინააღმდეგეთა მოსპობა. ორგანიზაციის მთავარი ბაზა საზღვარ-გარეთ — არის ბუდაპეშტი, სადაც მას დახმარებას უწევს ხორტის მთავრობა. ნიკოლოვს კავშირი აქვს რუსეთის გენერლის ნაიდენოვის შვილთან, რომელიც ხელმძღვანელობს პროპაგანდას ცანკოვის მთავრობის სასარგებლოთ პრაგაში მან მიიღო ფულები და რევოლვერი ბულგარეთის საელჩოს საშუალებით.

ეროვნულ კრების არჩევნები.

ვენა. 28 აგვისტო. ბულგარეთის მეფემ დეკრეტი გამოსცა ეროვნულ კრების დათხოვნის შესახებ. ახალი არჩევნები მოხდება ნოემბრის შუა რიცხვებში.

ირლანდია

დე-ვალერა დეპუტატად აირჩიეს.

პარიზი. 29 აგვისტო. დუბლინიდან იუწყებიან, რომ დე-ვალერა ირლანდიის პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს.

დიდი არეულობა.

რომი. 29 აგვისტო. არჩევნების გამო, მთელს ირლანდიაში დიდი არეულობა ხდება.

შვეიცარია.

ახალი ფაშისტური ორგანიზაცია.

ვენა. 28 აგვისტო. შვეიცარიაში დაარსდა ახალი ფაშისტური ორგანიზაცია, რომლის მიზანია მემარცხენე პარტიებთან ბრძოლა. კათოლიკურ კონსერვატიულ პარტიის ორგანო „ფატერლანდი“ ილაშქრებს ახალ ორგანიზაციის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ მისი დაარსება ამწვავებს ბრძოლას მწარმოებელთა და მუშებს შორის და აძლიერებს შოვინიზმს და რეაქციას.

ინგლისი.

ბალდვინის კაბინეტის შევსება.

ლონდონი. 28 აგვისტო. მაკ-კენმა უარი განაცხადა ხაზინის კანცლერის თანამდებობაზე, ავადმყოფობის გამო. მის ადგილზე დაინიშნა ნევილ-ჩემბერლენი. ჯანმრთელობის მინისტრის თანამდებობას დაიკავებს „შეურიგებელთა“ ფრაქციის გამოჩენილი წევრი ჯონსონ-ხიქსი.

შეერთებული შტატები.

ამერიკელ ფაშისტების უწესოებანი.

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. ამერიკელი ფაშისტები განაგრძობენ უწესო მოქმედებას. ბინგენმპტონში შეტაკების დროს, სადაც 2000 კაცი მოითხოვდა მიტინგიდან კუ-კლუკს-კლანოველების გაძევებას, დაჭრილ იქნა 1 კაცი. ქ. მექსიკაში ნიღაბაფარებულ პირთა ერთ ჯგუფს დატყვევებული ჰყავდა გაზ. „ექსცელხიორას“ რედაქტორი, რომელსაც მოსთხოვეს მოეთავსებია წერილი, რომელშიაც იქნებოდა, რომ კუ-კლუკს-კლანის ორგანიზაციის მიზანია მართლმსაჯულებისათვის ხელის შეწყობა, რადგან იგი მეტად სუსტია მთავრობის და პოლიციის უმოქმედობის გამო.

თავდასხმა ფოსტერზე.

ჩიკაგო. 28 აგვისტო. მიტინგის დროს სამი უცნობი თავს დაესხა ვილიამ ფოსტერს. ფოსტერი უვნებლად გადარჩა.

მაროკკოში.

ესპანელები განაგრძობენ შეტევას მაროკკოში.

ვენა. 28 აგვისტო. ისპანიის მთავრობა მიუხედავათ დაპირებისა შესწყვეტოს შეტევა მაროკკოში. ახალ დამხმარე ძალებს გზავნის იქ გარდა სევილიის და მალაგასი ჯარისკაცთა აჯანყებას ადგილი ქონდა გრენადაშიც; ჯარისკაცები უარს ამბობენ მაროკკოში წასვლაზე.

მთავრობის მდგომარეობა კრიტიკული ხდება. ესპანეთის საზოგადოებრივი აზრი კატეგორიულად მოითხოვს მაროკკოს ავანტიურის შეწყვეტას. მავრებმა საღვთო ომი გამოუცხადეს და ესპანეთს მოუხდება ბრძოლა ახალ ასეულ ათასიან მტერთან.

თეთრგვარდიელების პრეტენზიები

ლონდონი. 27 აგვისტო. რუსეთის ლტოლვილების (თეთრგვარდიელების) გაერთიანებული ორგანიზაცია ლონდონში თავის განცხადებაში ლორდ სესილის მიმართ, პროტესტს აცხადებს ნანსენის მოღვაწეობის წინააღმდეგ, რომელიც ერთა ლიგის უმაღლესი კომისარია ლტოლვილთა რეპატრიაციის და დახმარების საქმეში. ლტოლვილთა ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ შეუძლებელია ლტოლვილთა დახმარებისა და დამშეულთა დახმარების მუშაობის შეერთება, კიცხავს ნანსენს სიმპატიისათვის საბჭოთა მთავრობის მიმართ და ბრალსა სდებს მას მოსკოვის საბჭოს საპატიო წევრის სახელწოდების მიღებაში. განცხადება მიმართულია იმისაკენ, რომ ერთა ლიგამ დანიშნოს ახალი კომისარი.

პროფინტერნში

გერმანიის მუშები მადლობას უძღვნიან პროფინტერნს.

მოსკოვი 29 აგვისტო. სრულიად გერმანიის საქარხნო კომიტეტების ცენტრალურმა საბჭომ გერმანიის რევოლიუციურ მუშათა სახელით მადლობა შემოუთვალა პროფინტერნს, სადაც ნათქვამია: „პროფინტერნი ერთად-ერთი პროფესიონალური ორგანიზაციაა, რომლის საერთაშორისო სოლიდარობას ამტკიცებს ბრძოლის მსხვერპლთა დახმარებით“.

საერთაშორისო პროპაგანდის კომიტეტთა თათბირი.

მოსკოვი. 29 აგვისტო. მოსკოვში დასრულდა საერთაშორისო პროპაგანდის კომიტეტთა თათბირი, რომელმაც აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია რუსეთის პროფკავშირებთან მჭიდრო კავშირის გაბმა, მუშაობის გასაძლიერებლად და გასაფართოვებლად.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ჩეხო-სლოვაკია.

სამთო მუშების კონფერენცია.

ვენა. 28 აგვისტო. ოსტროვსკო-ნარევინის ოლქის სამთო მუშათა კონფერენცია თავის რეზოლიუციაში მოუწოდებს ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტს დაიყოლიოს ყველა პროფკავშირები სოლიდარულ ბრძოლის მოსამზადებელ თათბირზე. რეზოლიუცია პირველათ ყოვლისა მოითხოვს რკინისგზელთა და სამთო მუშების საერთო გამოსვლას. სლოვაკიის ყველა პროფკავშირთა წარმომადგენლების კონფერენციამ განაცხადა, რომ იგი მზათაა პირველ მოთხოვნისთანავე მხარი დაუჭიროს გაფიცულ სამთო მუშებს.

პორტუგალია

საყოველთაო გაფიცვა.

პარიზი. 28 აგვისტო. პურის ფასების გადიდების გამო პორტუგალიის პროფკავშირთა გაერთიანებამ ლისაბონში საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. ნავთსადგურის და საამშენებლო მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა. მოძრაობა მუშათა ყველა ორგანიზაციას მოედო.

სამხრეთ სლავია.

ქვა-ნახშირის მრეწველობის გაფიცულ მუშათა დევნა.

ვენა. 28 აგვისტო. სამხრეთ სლავიის მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს ენერგიული ზომები ტრიფალიის ნახშირის ბასსეინში მუშათა გაფიცვის ჩაქრობისათვის. ბურჟუაზიული პრესსა ილაშქრებს გაფიცულ მუშათა წინააღმდეგ. იგი ამტკიცებს, რომ გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი აქვს და მას კომუნისტები ხელმძღვანელობენ.

საფრანგეთი

გაზის ქარხნის მუშების გაფიცვა.

პარიზი. 28 აგვისტო. პარიზის გაზის ქარხნებში მუშების გაფიცვა წესიერად მიმდინარეობს. მუშების დიდი უმრავლესობა უნიტარული კავშირის დირექტივებს ემორჩილება.

ბელგია.

ტრამვაის მუშათა გაფიცვა.

პარიზი. 28 აგვისტო. რადგან ანტვერპენის ქალაქის რკინის გზების სამმართველომ ტრამვაის მუშებს ხელფასი არ მოუმატა, მუშებმა გადასწყვიტეს გაფიცვა გამოაცხადონ.

რუმინია.

პროფკავშირების ყრილობის გადადება.

ვენა. 28 აგვისტო. რადგანაც მუშებისაგან მასსიური პროტესტები მოდის ამსტერდამთან შეერთების წინააღმდეგ, რუმინეთის პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა 16 სექტემბრამდე გადასდოს რუმინეთის პროფკავშირთა ყრილობის მოწვევა.

ამერიკის სამთომადნო მუშების ბრძოლა.

ამერიკის პროფკავშირთა ბიუროკრატია გომპერსის მეთაურობით ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რათა ჩაახშოს გაძლიერებული ოპოზიციონური მოძრაობა. ძალიან ხშირად კავშირებს სწმენდენ კომუნისტურ ელემენტებისაგან. ამჟამად ძალიან გამწვავდა ბრძოლა სამთომადნო მუშათა კავშირში. კავშირის თავმჯდომარეს ცნობილ რეაქციონერს ლევისს უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული სიმწვავით უხდება ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ. ოპოზიციის საყრდნობია კონზასის ნახშირის რაიონი ალექსანდრე გოვატის მეთაურობით. 1921 წელს კონზასის სამთომადნო მუშებმა დაადგინეს არ ეცნონ იქ არსებული სამრეწველო სასამართლო. გოვატს სამოსამართლო ხელისუფლების უპატივცემლობისათვის მიუსაჯეს ციხეში დაპატიმრება. კავშირის საბჭომ ლევისის მეცადინეობით, დაჟინებით მოითხოვა, რათა გოვატი აიძულონ დაემორჩილოს სასამართლოს დადგენილებებს. როდესაც გოვატი საბჭოს ამ დადგენილებას არ დაემორჩილა, ის გამორიცხეს კავშირიდან. მაგრამ სამთომადნო მუშათა უმრავლესობაც გამოვიდა კავშირის შემადგენლობიდან. თავის მოღვაწეობის დროს, ლევისი სარგებლობდა გომპერსის დახმარებით. ციხეში ჯდომის ვადის გათავების შემდეგ გოვატმა განავითარა ფართო პროპაგანდა იმისათვის, რათა კავშირში დაებრუნებია როგორც თავისი თავი, ისე მისი ამხანაგები. ოპოზიცია კავშირს შიგნივ სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ივნისში პიტსბურგში გაიმართა შეერთებულ შტატების და კანადის სამთომადნო მუშათა კავშირის ოპოზიციონურ ჯგუფების ყრილობა, რომელზედაც დაესწრო 200 დელეგატი, — 100,000 მუშის წარმომადგენელი. ყრილობამ მიიღო „კავშირთა საორგანიზაციო ლიგის“ თეზისები და დაადგინა იხმაროს ყოველი ძალ-ღონე, რათა ამერიკის სამთომადნო მუშათა კავშირისაგან შექმნას მებრძოლი ორგანიზაცია და უკუაგდოს ლევისის ძალადობა.

ოპოზიციის ხელმძღვანელებს სამთომადნო მუშების „შეტევას კომიტეტი“, რათა თავს დაესხას ოპოზიციას, ლევისი ამტკიცებს, რომ კომიტეტი არის კავშირის საწინააღმდეგო ორგანიზაცია, სამთომადნო კავშირის სტატუტის ძალით, კავშირის წევრებს არ აქვთ უფლება ერთსა და იმავე დროს იყონ მეტოქე ორგანიზაციის წევრებათ. ლევისი არწმუნებდა კავშირის ბევრ წარმომადგენლებს, რომ აღნიშნულ სტატუტის ძალით, საჭიროა კავშირიდან გამოირიცხონ „შეტევას კომიტეტის ყველა წევრები“. მემარცხენე ფრთა ყოველ ძალღონეს იხმარს, რათა დაამხოს რეაქციონულ ბიუროკრატიის ძალა-უფლება.

გომპერსის დამქაშები აცხადებენ, რომ მთელი ოპოზიცია არის მოსკოვის აგენტურა და ამტკიცებს, რომ ოპოზიცია აწყობს რევოლიუციონურ კავშირებს ამერიკის რესპუბლიკის ხელისუფლების დასამხობად. დღევანდელ მომენტში, როდესაც ამერიკის მუშებს ესაჭიროებათ გაერთიანებული მოქმედება, გომპერსი მუშაობს ამერიკის მუშათა მოძრაობაში განხეთქილების შესატანად. და ამგვარად ამერიკის კონტალიენებს გომპერსის და მის თანამგრძნობთა სახით, ჰყავთ ეერთგულესი მოსამსახურეები.

„ინპრეკორ“.

საბჭოთა კავშირში

დეკრეტი ადგილობრივ ფინანსების შესახებ.

მოსკოვი. 29 აგვისტო. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ მიანდო დროებით კომისიას დეკრეტის პროექტის განხილვა ადგილობრივ ფინანსების შესახებ; პროექტის განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა საკავშირო რესპუბლიკების წარმომადგენლებმაც.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მუშაობა.

მოსკოვი. 29 აგვისტო. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო მოლაპარაკებას აწარმოებს სასოფლო სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებებთან იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელებმა იკისრონ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს აგენტობა.

შეღავათი საზღვარგარეთ მიმავალ პურის ტვირთებისათვის.

მოსკოვი. 29 აგვისტო. საერთაშორისო ბაზარზე პურისა, და განსაკუთრებით ჭვავის ფასების ძლიერი დაცემა საზარალოთ ხდის პურის მომავალ ექსპორტს, რაც ცუდათ იმოქმედებს გლეხობაზე. რომ არ დაეცეს ის ფასები, რომელსაც აძლევენ გლეხებს პურში, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მოხსნილ იქნეს საზღვარგარეთ მიმავალ პურის ტვირთებზე სახელმწიფო და ადგილობრივი საფუთო გადასახადი, და აგრეთვე სიმშილის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის სასარგებლო და გამათანასწორებელი გადასახადი.

ზრუნვა მელითონეებზე.

მოსკოვი. 29 აგვისტო. იმის გამო, რომ ადგილებზე შეფერხდა მელითონეებისათვის შრომის ხელფასის მიცემა, შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა ფინანსთა სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს ხელფასის თავის დროზე მიცემა.

რკინის გზის ტარიფის გადიდება.

მოსკოვი 29 აგვისტო. პირველ ენკენისთვიდან რკინის გზის სამგზავრო, საბარგო და ტვირთების ტარიფები გადიდებული იქნება 37 პროცენტით.

ანგარიშების გასწორების შესახებ

მოსკოვი. 29 აგვისტო. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვითაც ჩერვონცებში გამოხატულ ვალდებულებათა ანგარიშების გასწორება ს. ს. რ. კ. მთელს ტერიტორიაზე ხდება მოსკოვის საფონდო ბირჟის კურსის მიხედვით.

რუსეთი.

მემკვიდრეობის წესები.

მოსკოვი. 28 აგვისტო. იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული წესებით, ქონება, რომელიც დარჩება 1923 წ. 1 იანვრამდე გარდაცვლილ პირებს, ექვემდებარება მემკვიდრეობის უფლების გაუქმების დეკრეტს. ხოლო ის ქონება რომელიც დარჩება 1923 წ. 1 იანვრის შემდეგ გარდაცვლილ პირთ, სამემკვიდროდ გადადის, სამოქალაქო კოდექსის წესდებათა მიხედვით.

სოფლების ელექტროფიკაცია.

სიბირსკი. 27 აგვისტო. „სიმბირსკი ტყეთა“ ტრესტი ამთავრებს სოფ. დუმინსკის ელექტრონით განათებას. ზამთარში ტრესტი ელექტრონით გაანათებს სოფ. პოლიკანოვოს.

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორიაში ყოფილი მასტერსკ.

რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 5—43.

ენკენისთვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელისმოწერა ქალაქში შინ მიტანით	4.000.000
„ „ ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	4.500.000
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	3.000.000
ერთი ეკზემპლიარი	175.000

ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა	1.000.000
ერთი ეკზემპლიარი	400.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს 1 ენკენისთვიდან შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

0—6

საქართველოს მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია

მენშევიკური პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობა

(სტენოგრაფიული ანგარიშები.)

მეოთხე სხდომა

(26 აგვისტო, სალამოს სხდომა)

კამათის გაგრძელება ამხ. ჟუმბურიძის მოხსენების გამო.

თავმჯდომარე ამხ. ხახარულიძე: ამხანაგებო, საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობის მეოთხე სხდომას გახსნილად ვაცხადებ (ინტერნაციონალს უკრავს მუსიკა). ჩვენ გუშინ არ დაგვიმთავრებია ის საკითხი, რომლის ირგვლივ ვლაპარაკობდით. 10 საათი რომ სრულდებოდა, შემოტანილი იყო წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ იყო მეორე წინადადებაც, რომ შეგვეწყვიტა სალამო, ვინაიდან მართლაც ვერ დავაბოლოვებდით ამ საკითხს. ასეც მოვიქეცით. ეხლა როგორ ისურვებთ: გავმართოთ კამათი თუ შევსწყვიტოთ.

დელეგატი (ადგილიდან): ვინაიდან საკითხი სრულიად გამორკვეულია და მის გარშემო საკმაოდ ილაპარაკეს ორატორებმა, მე წინადადებას ვიძლევი, რომ კამათი შეწყვეტილ იქნას.

დელეგატი (ადგილიდან): ვინაიდან ეს საკითხი საინტერესოა ყველასათვის, და სასურველია ყველას აზრი გავიგოთ, ამიტომ ჩემი წინადადება არის, რომ გაგრძელებულ იქნეს კამათი.

თავმჯდომარე: მაშასადამე შემოსულია 2 წინადადება.

დელეგატი (ადგილიდან). მე შემომაქვს წინადადება, რომ შევამციროთ ორატორების დრო.

თავმჯდომარე. ეს შემდეგ შემოიტანეთ, ამხანაგო, ნება მომეცით კენჭი ვუყარო წინადადებებს. მე ჯერ კენჭს ვუყრი უფრო რადიკალურ წინადადებას: ვინ არის წინააღმდეგი კამათის გაგრძელების. გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინ არის მომხრე. უმრავლესობა. ეხლა იყო წინადადება, რომ რეგლამენტი შევცვალოთო, შევამციროთ დრო (ხმები: 10 წუთით). ამხანაგებო არ შეიძლება ასე ყვირილი (ხმები: 15 წუთი). კეთილი. ამხანაგების საყურადღებოთ უნდა განვაცხადო, რომ არც ერთი ორატორი 15 წუთზე მეტს არ ლაპარაკობს. მე კენჭს ვუყრი მაინც. ვინ არის მომხრე, რომ დარჩეს ისევ 30 წუთი. ვინ არის მომხრე 15 წუთის. უმცირესობა. რჩება ისევ რეგლამენტი. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ტოროჟაძეს (უარს აცხადებს).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. ნიკურაძეს.

ნიკურაძე: ამხანაგებო, აქ ბევრი ითქვა, ბევრი მოვისმინეთ, და ერთი და იმივე განმეორება მეტია. მე არ ვარ მჭევრმეტყველი და ენა წყლიანი, რომ ბევრი ვსთქვა და თქვენში გამოვიწვიო ერთგვარი აღტაცება. მე შემიძლია მხოლოდ ისა ვსთქვა, რაც ჩემს ყურს სმენია. რაც ჩემს თვალს უნახავს, რაც შემითვისებია. ბევრჯერ ითქვა: ნუ გავიმეორებთ რაც ერთმა სთქვაო, მაგრამ, უნდა გითხრათ, ამხანაგებო, რომ არ შეიძლება ერთმა ისეთი სიტყვა სთქვას, რომ ან ანი, ან ბანი არ იქნეს ჩართული მეორე სიტყვიდან. ეს შეეძლო მხოლოდ ჩვენს პაპას შოთა რუსთაველს. მე კი არ შემიძლია ეს. აი ეს მინდოდა მეთქვა ჩემს წინასიტყვაობაში.

ეხლა გადავდივარ საკითხზე. ამხანაგებო, დღეს ჩვენ მართალია ყრილობაზე ვართ, სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობაზე, მაგრამ მე უნდა ვსთქვა, მე ზეიმზე ვარ. ზეიმია დღეს ჩემთვის, ჩემი შეხედულებით, რომ ორი ძლიერი ჩემს სულსა და გულში, დაუძლეველი ძმები ერთდებიან ერთს დიდს ძლიერ მეომარ ბანაკში, ის ძმები, რომელნიც ერთი და იმავე მიზნისთვის იბრძოდნენ. დღეს ერთ მებრძოლ ძმას უერთდება სოციალ-დემოკრატიის, ყოფილ მენშევიკების პარტიის რაზმი, 12 ათ. ჯარი საქართველოში. რა თქმა უნდა ამისთანა ჯარები ბევრი ჰყავს სოციალ-დემოკრატიას სხვა და სხვა ქვეყნებში. ის ვალდებული არის, მე ვლაპარაკობ, ჰყავდეს. თქვენ იტყვით არ არის ვალდებულიო, მაგრამ როდესაც შეხედავენ ჩვენს სწორ ნაბიჯებს, ისინიც გადმოდგავენ ნაბიჯებს ჩვენსკენ. ჩვენ აღარ ვცდებით. გვეყო შეცდომები. ჩვენ ვართ მუშები და ვიცით მუშის სულისკვეთება. ყველანი გადმოვლენ ჩვენ მხარეზე. ამიტომ მე ვიმეორებ, ზეიმია დღეს ჩვენთვის და ეს არამც თუ მარტო საქართველოში, არამედ ზეიმით მთელს მსოფლიოში. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. (ტაში).

საჭიროა მთელი მუშები და გლეხები დაგროვდნენ ერთ ბანაკში და შეებრძოლონ სასტიკად ბურჟუაზიულ წესწყობილებას და იმ ფეოდალებს, რომელნიც ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი, ჩვენში, საქართველოში. მეტყვიან თავად-აზნაურობა აღარ არსებობსო მაგრამ მე გეტყვით, რომ კიდევ არსებობს ე. წ. მოჯამაგირეობა. ეს ფეოდალიზმის ნაშთია. აი, მაგალითად, მე მრცხვენია მოვიკიდო ორი-სამი ბათმანი სიმინდი და წავიღო წისქვილზე. ამიტომ მე ვაძლევ ორ-სამ მანეთს სხვას და მას ვაკეთებიებ ამას და ის ჩემი მოჯამაგირეა. აი ამის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენ. მე ბევრს აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ ვუსურვებ ძლიერსა და დაუძლეველ მუშათა და გლეხთა შტაბს ბრწყინვალე გამარჯვებას; რომ მაგრად ეჭიროს ხელში ის წითელი დროშა, რომელიც არის ჩვენი მუშების სისხლით შეღებილი, მიეტანოს ის სრულ გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს!

გაუმარჯოს გაერთიანებულ მუშათა ფრონტს! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! (ტაში).

თევზაძე: ამხანაგებო, მე თქვენ არ შეგაწუხებთ თავს იმისთანა ვრცელი სიტყვით, რომელიც ჩვენ აქ უკვე ხშირად გვსმენია. მხოლოდ მე გეტყვით იმას, რაც მე მახსოვს, თუ რატომ გაჩნდნენ ჩვენ წინაშე მეუმრავლესენი და მეუმცირესენი. მე მხოლოდ ეს ვიცი, გამიგონია ეს, და ამიტომ მინდა გითხრათ, საიდან გადმოიჩეხა ეს სიტყვა. მე ამის შესახებ გავიგე ერთ დიდებულ დროს, როდესაც სადღაც ლონდონში, თუ სხვაგან იყვნენ მარტინოვი, ლენინი და სხვები და მაშინ რა მოხდა მაგათ შორის, რა გააკეთეს მათ იქ, რამ აიძულა ისინი, რომ ერთმანეთში შეხლა-შემოხლა ჰქონოდათ. მაშინ მოხდა შეტაკება, ბრძოლა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, და, როგორც მე გადმომცეს, უმრავლესობა დარჩა ლენინს. მან მოიგო მხოლოდ ერთის ხმით. მაგრამ, მეუმცირესენი არ დაემორჩილენ მას. რატომ? თუ კანონათ იყო მიღებული ის, რასაც უმრავლესობა გადასწყვეტს, უმცირესობა უნდა ემორჩილებოდეს მას, თუ არა? უნდა ემორჩილებოდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, თუმცა არც ისეთი დიდი ხმით მიიღო ლენინმა უმრავლესობა, მხოლოდ ერთი ხმით. აქედან დაიბადნენ მეუმრავლესენი და მეუმცირესენი. ბოლშევიკები და მენშევიკები. აქედან იწყება უბედური ცხოვრება მუშათა კლასისთვის. ამის შემდეგ ხან აქეთ გაგვაგორებენ და ხან იქით ბილიარდის შარივით ეს ჩვენი ხან ერთი ინტელიგენტი, და ხან მეორე. სამწუხაროა ეს ძალიან. რა გზა უნდა მოვნახოთ ჩვენ? რა ვქნათ? რა ზომამდე უნდა მივაღწიოთ? ჩაუკვირდეთ ამ მდგომარეობას, ავწონ-დავწონოთ. ამისთვის საჭირო იყო დრო. ჩვენ გვქონდა ეს დრო, მაგრამ ვერ მოვიხმარეთ. წინეთ, როდესაც თედორე კალანდაძე, გრიშა ლორთქიფანიძე, ბუდუ მდივანი ვიყრიდით ხოლმე თავს და ვმსჯელობდით, ვლაპარაკობდით, ბევრს ვამბობდით, რომ შეცდომები გვაქვსო. მას შემდეგ ჩვენ მეტად დავაკვირდით ამ საკითხს. და მივეყრდენით იმ გზას, რომელიც გვეუბნებოდა—შორს მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო. ეს იყო მენშევიკური გზა დემოკრატიული წყობილების. ვინ მოგვამზადა ჩვენ? მე ქუჩაში ვისწავლე ყველაფერი. არსად სალაპარაკოდ არ გამოვდიოდი, მაგრამ მე სათათბირომ მომამზადა და იქ თქმულმა სიტყვებმა, წერა-კითხვამ და გაზეთებმა. და მეც მაიძულა ამან, რომ ბრძოლის ველზე გამოვსულიყავი. ბრძოლა გათავდა, სათათბირო დაიშალა, იმათი სახელმწიფო მოისპო, აღსდგა დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკა არის სამფეროვანი, მილიუკოვის, გუჩკოვის, კერენსკის, თუ მხედველობაში. არ მივიღებთ ჟორდანიას. ამ რესპუბლიკამ რუსეთში მოკლე დრო გასტანა. შეგნებულმა საზოგადოებამ—პროლეტარიატმა, იმ ხალხმა, რომელიც იმას უთვალთვალებდა, სად წაიჩოქებს, კერენსკიო, რომ ვიდროვოთ და მომენტი ავირჩიოთ ჩვენი ძალაუფლების ხელში ასაღებად, და აი ამ ხალხმა აიღო ხელში ძალაუფლება. მაგრამ რა მოხდა ჩვენთვის? ნუ მივიღებთ მხედველობაში ბრძოლის ზარალს, დამარცხებას და სხვა ამისთანას. ბრძოლაში ეს ხდება. საქართველოში ჩვენ ვემორჩილებოდით მეუმცირესეთა ტაქტიკურ მოსაზრებებს. ნათქვამი იყო, რომ დემოკრატიული ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია, რადგანაც ამგვარად გადავალთ სოციალიზმისაკენ. ჩვენ ყოველი პარტია ამაზე მიგვითითებდა, მაგრამ ეს პარტია 24 იყო და ჩვენ არ ვიცოდით რომელი იყო მართალი, დღეს არ ვიცით, სად არის ეს სოციალიზმი და რას ნიშნავს იგი. დღესაც არა ვართ გამორკვეული. თუმცა ყველა ამაზე გაიძახის. ჩვენ არ ვიცით რა იქნება სოციალისტურ სამეფოში. აგვაფრენენ იქ გვაჭმევენ, და გვასმევენ, თუ შრომა იქნება საჭირო. მე მგონია შრომაა საჭირო, თორემ ისე ვინ აგვაფრენს ზევით, და ვინც გვაჭმევს და გვასმევს. ჩვენ ვფიქრობდით დემოკრატიული წყობილება მოხდება, იქნება პარლამენტი, მუშები ავირჩევთ ჩვენების დიდ უმრავლესობას. აქაც არიან ის ამხანაგები, რომლებიც ჩვენთან ერთად ამას ფიქრობენ. მაგრამ მე მწუხარება უნდა გამოვსთქვა, რომ მუშებისათვის სასარგებლო არაფერი ხდებოდა. იყო სჯა-ბაასი გაუთავებელი, ყველა გამოვიდა მემარჯვენე. ჩვენ, აქ აი სამი დღეა ვმსჯელობთ და ვამბობთ გვიგვიანდებაო, ისინი კი მთელი დღეები მსჯელობდნენ და არ უგვიანდებოდათ. რა ქნეს იმ დროს? რაღაც საცოდავი სატარიფო პალატა გადმოგვიგდეს, მეტი არაფერი. და რას შვრებოდა ეს პალატა? არაფერს. მუშის მდგომარეობა გაჭირვებული იყო, მაგრამ მაინც ვშლაუჭებოდით და კრიტიკის ქარ-ცეცხლში ვატარებდით. მთავრობას ვეუბნებოდით, თუ საჭიროა ჩვენი ძალა დახმარება [illegible], მაგრამ ხურჯინებით კი არ წავალთ, რომ სახლში რამე წამოვიღოთ. მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ მუშები ვართ. მაგრამ „გოგიელა ცქიტიშვილი რაც მამაა იგი შვილი“ და ესეც გამართლდა. წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელნი იყვნენ, წვრილ მეხილეებს იცავდენ და მუშათა კლასი კი დავიწყებული ყავდათ (ტაში) მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ზოგი კარგი ნაბიჯიც გადიდგა. იყო გადახრა ისეთი, სამწუხაროთ, რომ მუშათა კლასი ვერ მოისწრო ისეთ უფლებებს, როგორიც დღეს აქვს. მე დარწმუნებული ვარ ამაში. ის ვერასოდეს ვერ აიღებდა იმ ძალაუფლებას ხელში, როგორც დღეს აქვს. შევადაროთ ჩვენი რევოლიუცია საფრანგეთის რევოლიუციას. რა მოხდა იქ. ორი სამი რევოლიუციის შემდეგ საფრანგეთი ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. შეხედეთ როგორ ზრდის ის ჯარს. იმისთვის, რომ მუშა მოკლას და არა მუშის დასაცავად. რისთვის ვზრდით ჩვენ ჯარს?—აქ მუშის დასაცავად. ამიტომ გაუმარჯოს წითელ არმიას, გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას, გაუმარჯოს ჩვენს გაერთიანებას, გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას, ძირს ყვითელი ინტერნაციონალი.

ხვიჩია: ამხანაგებო! ამ კითხვის ირგვლივ, რომელიც აქ თქვენ მოგახსენათ მომხსენებელმა ბევრმა ამხანაგმა ილაპარაკა, და თუმცა ჩვენ მივიღეთ, რომ ყველამ ვილაპარაკოთო, მაგრამ მე საჭიროთ არ მიმაჩნია ამაზე ლაპარაკის გაგრძელება. მე მხოლოდ მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას იმ ამხანაგების დავალებით, რომლებიც მე აქ მომყვნენ. ბოდიშს ვიხდი იმაზე, რომ ეს კითხვა, რომელზედაც მოხსენება იყო გაკეთებული არ ეხება იმას, რაზედაც მე მინდა ვსთქვა, არამედ სხვას. მე ეს გავბედე იმიტომ, რომ მოხსენებაზე ლაპარაკი ბევრი იყო უკვე და ამიტომ ნება მიბოძეთ შევეხო მეორე საკითხს. ეს შეეხება შემდეგს: მე როდესაც ცალკე ვიყავი თქვენგან, მაშინ ჩემთვის ასე ფართედ არ იყო დაყენებული ეს საკითხი, როგორც ეხლა სდგას ჩემს წინაშე. თვითეული ჩვენგანი არ არის ისეთი წინდახედული,—მე, როგორც განუვითარებელი, ამას ვიტყვი—დარწმუნებული ვარ, რომ არ არის ჩვენში ისეთი პიროვნებაა, რომელიც გაჟღენთილი იყოს შურით და მტრობით თუ გინდა იმ პირისადმი, რომელმაც საწინააღმდეგო აზრი გამოსთქვა. თუ ჩვენ მუშები ვართ, მუშების ინტერესების დამცველნი, ერთი მეორეს უნდა დაუთმოთ იმიტომ, რომ ყველა ჩვენგანს თავის თავზე გადაუვლია ათასნაირი ჭირი და ვარამი. დეე ეს ჭირი და ლხინი გავუზიაროთ ერთი მეორეს. ეს შემთხვევა, როგორც მოგახსენეთ გამოიხატებოდა, როგორც ძველი დახავსებულ ნიკოლოზის წეს-წყობილების დროს ბრძოლაში, ისე შემდეგ და ახლა ეს მუშათა კლასი თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იბრძვის, იბრძოდა და იბრძოლებს მანამ, სანამ არ მიაღწევს თავის საბოლოო მიზანს, რომელიც არის კომუნიზმი. ჩვენ ვფიქრობთ ამხანაგებო, რომ ის ჭაპან-წყვეტა, გაჭირვება, გადასახლება, ციხე-ციმბირი თვითეულ თქვენგანს, თუ ყველას არა, დიდ უმრავლესობას მაინც გამოუცდია და გეცოდინებათ, რომ ეს უბედურება დააჩლუნგებს ადამიანის ჭკუა-გონებას და მეტი არაფერი, და იქ რომ ჯდომა უკეთესი იყოს, მაშინ ჩვენც იქ დავსხდებოდით ყველა და აქ არ მოვიდოდით. და თუ ეს ასეა, რომ იქ გონება ჩლუნგდება, და ადამიანი კარგავს იმ გრძნობას რომელიც მასში უნდა იყოს, რომელიც უნდა აცისკროვნებდეს ადამიანს, ეს მოსათმენი არ უნდა იყოს. ამის განმარტება მე არ დამჭირდება, მაგრამ მხოლოდ ვიტყვი, რომ ჩვენსავით დატანჯულნი ამხანაგები არიან და ვსთხოვოთ პრეზიდიუმს, პატივცემულ ყრილობას, თუმცა ამ ამხანაგებს ჩვენ საყვედურს ვუთვლით, ისინიც გვითვლიან საყვედურს, რომ მიექცეს ყურადღება ამ საკითხს და გადასწყდეს დღეს ეს ისე, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი საჭიროება და ამხანაგებისადმი თანაგრძნობა.

ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია იმ ამხანაგების დავალება მოგახსენოთ, რომ იქნენ განთავისუფლებულნი ის ამხანაგები, რომელნიც სხედან ციხეში, ისინიც მუშათა კლასის შვილებია და იბრძვიან მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამისათვის ნუ ისჯებიან ისინი, მოვიდნენ ჩვენთან, და როდესაც მოვლენ ისე, როგორც მე მოვედი თქვენთან სულითა და გულით, და ეს სული და გული მერე კიდევ უფრო გაიფურჩქნა თქვენდამი სიმპატიებით, აი სწორედ ასე იქნება იმათშიც. ბევრი თქვენ შორის ყოფილა პატიმარი ან უწინ, ან ამ დროს და თქვენ კარგათ იცით პატიმრის ტრადიცია-ფსიქოლოგია და ეს ტრადიცია არის ეხლა შიგ პატიმრებში. ამ მხრივ უნდა მიუდგეთ საკითხს ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება. აი მე ვასრულებ პატიმარ ამხანაგების დავალებას,

ორიოდე სიტყვა მინდა კიდევ მოგახსენოთ. აქ ზოგიერთმა ამხანაგებმა იხმარეს სიტყვები ინტელიგენცია და მუშა. თითქო ეს ინტელიგენცია ისეთია, რომ ჩვენთვის არასოდეს არ უმოშავნია, ინტელიგენცია კი არ არის ისეთი კასტა, რომელიც არაფერს არ აკეთებს ინტელიგენცია არის ისეთი ნაწილი საზოგადოებისა, როგორც თვითეული ჩვენთაგანი, მაგრამ ამ ინტელიგენციამ ჩვენ მოგვცა სწავლა-განათლება და თუ ჩვენ ეს არ მოვინდომეთ, არ ვისწავლეთ ვერ გამოვიყენეთ იმათი მუშაობა, ეს ჩვენი ბრალია და არა იმათი. მე მახსოვს, ერთ წრეში პატივცემულმა ამხ. მიხა ცხაკაიამ სთქვა: სანამ ბავშვი ფეხზე დადგებოდეს ტახტი უნდაო. ეს სინამდვილე და სიმართლეა. მე როგორც გაუნათლებელი მუშა ისე ვფიქრობ, რომ მუშები სამწუხაროდ თავის ფეხზე ჯერ არ დამდგარან. იმის გამბედაობაც კი არ აქვს ზოგიერთს, რომ გამოვიდეს და თამამათ ორიოდე სიტყვა სთქვას, აქაც ეშინიათ. რა არის აქ საშიშარი. ვინ ვართ ჩვენ? მუშები ვართ. თუ მუშები ვართ რისი გვეშინიან? ზოგი ეფერება, ზოგი აგინებს. არავითარ მოფერებას და არც გინებას არ უნდა ქონდეს ადგილი. არც უშვერ სიტყვებს. ამას გარდა, ბოლშევიზმზე და მენშევიზმზე რომ ვილაპარაკოთ, ამას ისეთი კვანძი აქვს, ეს მეცნიერებაა და ის კარგათ უნდა შევისწავლოთ და შემდეგ ვილაპარაკოთ, გამოვარკვიოთ ის მიზეზები, რამ შექმნა ეს მდგომარეობა. და ამის შემდეგ გვექნება ნამდვილი სურათი და არ გაგვიჭირდება ლაპარაკი. რასაკვირველია, მე არ ვამბობ, რომ მანამ სულ არაფერი ვსთქვათო, მაგრამ ვსთქვათ ისე, როგორც არის სინამდვილე და სწორი. დასასრულ აღვნიშნავ იმ სიამოვნებას, რომელიც მე განვიცადე ამ ყრილობით, როგორც გუშინ თუ გუშინწინ მოგახსენეთ; მე ერთი იმ ინიციატორთაგანი ვარ 1917 წელში, რომლებიც მოითხოვდენ ამხანაგების გაერთიანებას. მე ბედნიერათ ვსთვლი ჩემს თავს, რომ ეს მოვალეობა ეხლა თქვენ აგიღიათ. მე ვწუხვარ რატომ არ მივიღე მონაწილეობა ამდენხანს ამაში. მე დიდს მადლობას ვუძღვნი საინიციატივო ბიუროს. ვუსურვებ დანარჩენ ამხანაგებს თქვენ სიტყვას მნიშვნელობა ქონოდეს და ისინი აქ მოეყვანოს. მაშ გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას, და შეერთებული ძალით მიგვეტანოს ნამდვილი წითელი დროშა იქ, სადაც არის მისი სავანე.—ეს არის ნამდვილი სოციალიზმი და კომუნიზმი. გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს, გაუმარჯოს მუშათა კავშირს. (ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ბაზიანს.

ბაზიანი: ამხანაგებო, ჩვენ გვახსოვს თუ რას ვაკეთებდით წინეთ. ჩვენ გვახსოვს 1905 წელში ჩვენ რას ვემსახურებოდით. ჩვენი მიზანი იყო წითელი დროშა და ამ წითელი დროშით სოციალიზმისაკენ სიარული, ჩვენი მიზანი იყო იმ დიდი საქმის შესრულება, რომელსაც ჩვენ გვიკარნახებდა ის წერილები, რომელიც გამომდინარეობდენ მარქსიზმიდან. ჩვენ გვახსოვს ყველაფერი ეს და მოვედით 1917 წლამდე. 17 წელში ჩვენ ველირსეთ იმ დიდებულ მიზნის განხორციელებას, რომელიც თვითეულ ამხანაგს ახარებდა. ეს მხიარულება, ეს წამი, ყველასათვის საინტერესოა. იმან მოუსწრო იმ ამხანაგებს, რომელნიც ატარებდნენ რეაქციის დროს საშინელ ცხოვრებას. მათ ჩაიგდეს ეს დიდებული ბურთი ხელში და უნდა გამოეყენებიათ ის თავის საბედნიეროთ. მაგრამ რა მოხდა, რა ვნახეთ, მუშებმა ბევრი რამეები ვიცით, მაგრამ ჩვენ ვერ აუღეთ ალღო. როგორ უნდა გაგვექანებია რევოლიუცია სოციალიზმისაკენ. ამას ბევრი სხვადასხვა მიზეზები ჰქონდა. ამ მიზეზებმა ჩვენ მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, როდესაც ჩვენ სამფეროვანი დროშა ავაფრიალეთ მუშათა სასახლეზე. ეს იყო იმ მუშების დასამარება, რომელთაც მიიტანეს წითელი დროშა 1917 წლამდე.

ჩვენ ვხედავდით, ვამჩნევდით ამ მდგომარეობას და ვლაპარაკობდით ამის შესახებ, სადაც შეიძლებოდა. იყო შემთხვევები, სადაც ჩვენ გვითქვამს ნუ წახვალთ ამ გზითო, ნუ წაიწევთ ასე მარჯვნავ, თორემ სარფთხე მოგველისო. მაგრამ პასუხი უარყოფითი იყო. ჩვენ დღეს ვსთქვით, რომ დემოკრატიზმის გზით სიარული აღარ შეიძლება, და რასაც მუშა იტყვის ის ფოლადია, რადგანაც თუ როგორც რკინა არ არის ნათქვამი სიტყვა, იმას ფასი არა აქვსო. მე ამხანაგებო, ბევრი ლაპარაკით არ შეგაწუხებთ. მქონდა მე დრო, რომ ბევრ მაგარ ადგილას ვყოფილივავი, სადაც შეიძლებოდა ბრძოლის უნარი მეტი ყოფილიყო. მე ასეთ კუთხეებში ვიყავი და ის მუშები, რომლებიც ამ დროშის ქვეშ შეკავშირებულან და ჩაფრენიან მას კბილით და ხელით, ამ მუშას მიჰქონდა ეს თავის ტაძრისაკენ, მე ვნახე ყველა ამ მუშების სურვილები და თუ ვინმე იტყვის, რომ ეს მუშები არ არიანო და ძალადობა არისო, მაშინ ნახონ ოქმები, გადაათვალიერონ ის ჯარი, მე აქ არ დავასახელებ სახელსა და გვარს, მაგრამ ნუ მოსტყუვდებით, ჩვენთვის კარგია, რომ ვინმე გამოვიდეს და სთქვას ყველაფერი, რომ გავეცნოთ სინამდვილეს, იმ სინამდვილეს, რომელიც მუშებმა განიცადეს. ჯინიანობას ნუ დაემორჩილებიან. მე მოგახსენებთ ამხანაგებო, რომ სადაც მუშა ნახავს თავის გზას, სადაც მუშა მიაგნებს თავშესაფარს, ის იქ შეჩერობა. ის გზა ნახა ჩვენმა [illegible] და მობრუნდა იქით, საითაც უნდა მობრუნებულიყო. ეს გზა მაშინ იყო დემოკრატიზმის და არა სოციალიზმის, ათი და ოცი წლობით რასაც ის იმ გზით გააკეთებდა, ახლა ორ წელიწადში გააკეთებს.

ჩვენ მუშები როცა ვიტყვით რამეს და გავსცემთ სიტყვას, ეს სიტყვა სჯობს, მე აქ ინტელიგენტებზე მიგითითებთ—არის ისეთი ინტელიგენტები, რომლების ათასის ვექსილსა და სიტყვას ორი მუშის სიტყვა სჯობიან. კითხვა ინტელიგენციაზე არ არის. ჩვენ გლეხები და მუშები არ ვარგივართ, იმიტომ, რომ არა ვართ განათლებული, ჩვენი გონება გაშუქებული არ არის, მაგრამ გვაქვს ამის ინტერესი. თუ იმ ინტელიგენტს მივაქცევთ ყურადღებას, რომელმაც აქედან რაიმე შეიძინა და სათავეში მოექცენ, აქ ჩვენი ბრალი არაფერია, ჩვენ დამნაშავენი არა ვართ, ჩვენ მზად არ ვიყავით და რომ მზად ვყოფილიყავით, მაშინ ინტელიგენტები ვერარას გვიზამდენ. ჩვენ მეტი ჯარი ვართ, ჩვენ მეტი ძალა გვაქვს. ამიტომ ამხანაგებო, მე გისურვებთ წითელ დროშის ქვეშ ბრძოლის უნარის გამოჩენას, ყოველი ძალმომრეობის თავიდან აცილებას. გაუმარჯოს სოციალიზმს, გაუმარჯოს თქვენი აქ თავის მოყრას, გაუმარჯოს წითელ ჯარს, რომელმაც აქნობამდე მოიტანა დიდებული დროშა

სულაბერიძე: ამხანაგებო, ისტორიის მსვლელობამ, დროთა ბრუნვამ, შექნილმა ობიექტიურმა და და პოლიტიკურმა პირობებმა უარყვეს მენშევიზმი და ჩააბარეს ის არქივს. დღეს ამხანაგებო, მისი საუკეთესო წევრები მისი ნაღები, რევოლიუციონური ნაწილი, შეკრებილია ამ დარბაზში, საუკუნოთ ეთხოვება მენშევიკურ პარტიას და სულთათანას უგალობებს მას. მოკვდა მენშევიზმი, მაგრამ არ მომკვდარა მისი რევოლიუციონური ნაწილი, მუშათა კლასი. ეს არის ეს, დარბაზი დღეს. ჩვენ წმინდა რევოლიუციონური გრძნობებით ღირსეულათ დავაფასეთ მენშევიზმის წარსული ტაქტიკა და უარვყავით ის და შეურყევლათ შევუდექით სამართლიან და მიზანშეწონილ გზაზე პროლეტარიატისა, საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე დღეს კომუნისტურ პარტიას ემატება გაჯანსაღებული ახალ ენერგიის რევოლიუციონური რაზმი, რომელიც შეიტანს უაღრეს აღფრთოვანებას და ენტუზიაზმს კომუნისტურ პარტიაში. ამხანაგებო, აქ ლაპარაკი იყო არალეგალურ ცეკაზე. ერთი ამხანაგი მურმანოვი გამოვიდა პირველ სხდომაზე (ხმაურობა, დაანებეთ კაცო თავი იმას), უკაცრავად მე არ განვიმეორებ იმას, რაც აქ ითქვა, მე შეიძლება ახალი რამე ვთქვა, მე ვამბობ ამხანაგებო, რომ ამხანაგმა ფარნიევმა თავის სტატისტიკურ ცნობების მოყვანით საუცხოვოთ დაასაბუთა თავისი დებულებები, რომ მენშევიკური პარტიის მთელი ნაღები, საუკეთესო ნაწილი 12.000 კაცი აქ არისო და 1.000 კაცი დაადვა ვალად არალეგალურ ცეკას. მაგრამ მე ვამბობ ამ არალეგალურ ცეკის შესახებ არის საჭირო სტატისტიკური ცნობები. აქტიური მუშები რევოლიუციონური მისი ძალა, რომელიც დარჩა საქართველოს ფარგლებში, აქ არის. მეორე ნაწილი ჩვენ მიერ არჩეული, ევროპაშია წასული,—მაშასადამე ვინ არის ცეკაში, ჩვენთვის წარმოუდგენელია. ჩვენ არავინ აგვირჩევია, ისინი „სამოზვანცები“ არიან.

შეიძლება ითქვას სხვადასხვა ოპორტიუნისტული პარტიების ჯგუფებიდან გამოსულნი, კიდევ სინიდის გაურეცხელნი, ზოგი სოციალისტის სახელის მატარებელნი, რომელთაც ეს ყრილობა არ იცნობს. ჩვენ სოფლად როდესაც დავიწყეთ მუშაობა, როცა ეს აზრი გავაცანით მუშა-გლეხებს, პირველად საუცხოვოდ მიმდინარეობდა მუშაობა გლეხობაში. ყველა დაინტერესებული იყო, ყველა გვიერთდებოდა ერთხმად. მაგრამ ორი კვირის შემდეგ შეირყა ეს მდგომარეობა. რაში იყო საქმე. გაჩნდნენ, მურმანოვისებური პიროვნებები, სოფლიდან სოფელს გადადიოდნენ, სოფლებიდან თემებში, თემებიდან მაზრებში და ჩვენც დაგვიწყეს დევნა, გვერეკებოდნენ, გვდევნიდნენ სოფლებიდან, თემებიდან, რაიონებიდან და აი აქამდის მოვიდნენ. ამ სიტყვებს მე აქ იმიტომ ვამბობ, რომ ამას ისტორიული მნიშვნელობა ექნება, თორემ მურმანოვებისათვის ჩვენ არაფერს ვიტყვით. ისინი ჩვენთვის არარას წარმოადგენდნენ, რადგანაც რწმენა ჩვენი შეურყეველია. აქ ლაპარაკი იყო, ციხეებში გვამწყვდევდნენ, ჩეკაში გვათავსებდენ, გეემუქრებოდნენ. განა თუ ვინმე ებრძვის არსებულ წესწყობილებას არ უნდა მოელოდეს დაჭერას? განა ჩვენ კი არ ვაპატიმრებდით კომუნისტებს? განა ისინი ციხეებში არ გვსხდენ? და ვეშაპელი და გვაზავა ნაციონალ-დემოკრატები იჯდნენ დამფუძნებელ კრებაში და ვითომ მუშათა საქმეს აკეთებდნენ, მაშინ, როდესაც კომუნისტების მოწინავე ლიდერები ამხ. ფილიპე, ქავთარაძე და სხვები ციხეში გვისხდნენ, მაშ რაშია საქმე. რასაკვირველია სახელმწიფო აპატიმრებს ყველას, ვინც იბრძვის არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ. პროლეტარიატის დიქტატურა უნდა იყოს და არაა საჭირო ლაპარაკი იმაზე, რომ დაჭერილი უნდა იყოს ყველა, რომელიც ამ დიქტატურას ებრძ

დასასრულ, ერთ დიდ დეფექტზე უნდა ვსთქვა: ეს არის ის, რომ ჩვენ გლეხობას ყურადღებას არ ვაქცევდით. თუ წინად მათთვის არაფერი არ იყო გაკეთებული დღეს გაკეთდა, მიწის საკითხი—მაინც გადიჭრა. მიწის საკითხი ჩინებულად არის მოგვარებული. მე-12 ყრილობის მიერ დასმულ კითხვას, გამოტანილ რეზოლიუციას ჯერ არ შეუსხამს სისხლ-ხორცი. მე ამას არ ვაბრალებ კომუნისტებს, მე ვამბობ მათ საყურადღებოდ, რომ მომავალი ჩვენი მუშაობის პირველ რიგში უნდა დაისვას კითხვა გლეხობის მდგომარეობის შესახებ და ის ფორმა ორგანიზაციებისა, რომელიც არის შექმნილი ქალაქის მუშებისათვის, უნდა შეიქმნას სოფელში, გლეხობისათვის.

აუცილებელია გლეხების კავშირი, აუცილებელია მათი მჭიდრო შეკავშირება ქალაქის მუშებთან. ეს შეკავშირება ათასჯერ უფრო განამტკიცებს იმ რევოლიუციონურ სიღრმეებს, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით. (ხმაურობა) ამხანაგებო, უკაცრავათ. აი კიმოთე შენგელიამ თავის ლაპარაკის დროს მღვდელი ახსენა. მე გეტყვით, რომ მღვდლები, ეს მეორე რიგში ჩასაყენებელია. ჩვენი მტრები არიან ეროვნულ დემოკრატები, სოფლის კულაკები. აი როდესაც სამტრედიაში პირველი ყრილობა მოხდა, მაშინ მოდის ერთი ნაციონალ-დემოკრატი ჩემთან და მელაპარაკება: ლადიმერ მიქელაძეს ხომ არ იცნობო, ეს ცნობილი ნაციონალ-დემოკრატია, ბევრი იცნობს მას. მიდი შენ იმასთან, ის კარგი კაცი არის. აი ასეთი არიან (ხმაურობა) ეს რეაქციონერები, რომელნიც გულ გახეთქილნი, როგორც კიმოთემ სთქვა, შემოქვეცქერიან, გვადევნებენ თვალ-ყურს, ზაფრას მიეცნენ, აი ეს არის სასიქადულო მუშათა კლასისათვის (ხმაურობა). გაუმარჯოს ამხანაგებო ჩვენს შეერთებას, გაუმარჯოს მუშათა მთლიან ფრონტს, გაუმარჯოს რევოლიუციას, გაუმარჯოს მესამე კომინტერნს! (ტაში).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, არის შემოსული წინადადება: ვინაიდან ორატორები ერთსა და იმავეს იმეორებენ და ახალს არაფერს ამბობენ და ხშირად უხვევენ მხარს მოხსენებას, სჩანს საკითხი გამორკვეულია და ამიტომ შეწყდეს კამათი. (ხმები: რამდენი ორატორია ჩაწერილი) არის ამხანაგებო ჩაწერილი კიდევ 12 ორატორი (ხმები: არ არის საჭირო, შეწყდეს კამათი). მოითმინეთ ამხანაგებო, თითის აწევით გადავსწყვიტოთ ეს საკითხი. ვის სურს წინააღმდეგ და ვინ დაიცავს, რომ კამათი გაგრძელდეს.

დელეგატი ადგილიდან: მე ვიცავ კამათს წეღანაც მომხრე ვიყავი და ეხლაც მომხრე ვარ. მხოლოდ შევამციროთ დრო და ორატორებმა ილაპარაკონ. (ხმაურობა).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, მოითმინეთ, მე მინდა განვაცხადო, რომ ორატორები ლაპარაკობენ ზოგი ხუთს და ზოგი ათ წუთს. არც ერთი არ გადასცილებია 15 წუთს. მე არ ვიცი რამდენათ შევამციროთ დრო. მე კენჭს ვუყრი. ვინ არის მომხრე, რომ შესწყდეს კამათი. გთხოვთ დასთვალოთ ხმები. (ხმები უმრავლესობაა) დაუშვით. ვინ არის მომხრე, რომ კამათი გაგრძელდეს. გამოირკვა, რომ კამათი შეწყვეტილია.

დელეგატი: ამხანაგებო, აქ გაუგებრობა იყო, თუ შეიძლება მიეცით ორატორებს ლაპარაკის უფლება. ერთსა და იმავე, ნუ გაიმეორებენ. შეიძლება რამე საყურადღებო ჰქონდეთ და სთქვან. ნაჩქარევი იყო ხელის აწევა.

თავმჯდომარე: მოითმინეთ ამხანაგებო, რაშია საქმე. მიუხედავათ იმისა, რომ უმრავლესობა იყო მომხრე კამათის შეწყვეტის, მაგრამ იმავე დროს ბევრი იყო მომხრე, რომ კამათი გავაგრძელოთ, ამიტომ პრეზიდიუმი ფიქრობს, რომ მივცეთ სიტყვა ერთის გაფრთხილებით, რომ ილაპარაკონ საკითხის ირგვლივ და ნუ გაიმეორებენ იმას, რაც ნათქვამია, სიტყვა ეკუთვნის ამხ. ასლამაზაშვილს.

ასლამაზაშვილი: ამხანაგებო, მე როგორც უსწავლელი მუშა, არ შემიძლია დაწვრილებით ვილაპარაკო, მაგრამ რასაც შევსძლებ იმას ვილაპარაკებ. ამხანაგებო, მე დიდათ მოხარული ვარ, რომ ჩვენ შევიკრიბენით აქ საისტორიო საქმის გადასაჭრელათ. ჩვენ უნდა შეუერთდეთ იმ მუშათა პროლეტარიატის დიქტატურას, რომელიც ჩვენ მიგვიყვანს სოციალიზმამდე. ჩვენ რა დავინახეთ. მენშევიზმის დროს. სულ არაფერი, ხმები: (კაცო ნუ იმეორებ). ჩვენ როდესაც შევიგენით და გავიგეთ, რომ მოტყუებული ვიყავით და შევცდით, ამ ჩვენს შეცდომების გზას დღეს ვასწორებთ. (ხმები ადგილიდან: ახალი თქვა რამე, ახალი. მაგი გავიგონეთ). გთხოვთ ხელს ნუ მიშლით, როდესაც თქვენ ლაპარაკობდით მე ხელს არ გიშლიდით, მე ვლაპარაკობ, რაც შემიძლია იმას. ამხანაგებო, ჩვენ ბორჩალოს ყოფილ მენშევიკების პარტიას მთელს მაზრაში გაუქმებულათ ვაცხადებთ (ტაში). იქ არავითარი მენშევიკური პარტია დღეიდან ვერ შემოგვეპარება. ჩვენ დავადგებით იმ გზას, რომელიც ჩვენთვის არის კარგი. ჩვენ დავინახეთ წარსული, ვხედავთ ახალს. როდესაც მუშები ილრჩობოდენ ვინ მიეშველა მათ? —კომუნისტური პარტია. როდესაც მენშევიკების ბელადებმა საზღვარგარეთ ჩვენი შრომით, ოფლით მოგებული ქონება წაიღეს და წავიდენ და გვეუბნებოდენ ჩვენ: ყველაფერი ეს სიმდიდრე იქ იქნება და მოვიტანთო.. რომ დაინახა კომუნისტურმა პარტიამ, რომ მუშები წყალში ვილრჩობოდით, იმათ ჩვენ ხელი მოგვკიდეს და გვითხრეს: ამხანაგებო, თქვენთან ვართ ჩვენ, ნუ იღჩებით. ამხანაგებო, როდესაც კომუნისტურმა პარტიამ ჩვენ ამოგვიყვანა მორევიდან ჩვენ შევიკრიბენით აქ, მათთან ერთად სიტყვის გადასაჭრელად. ყველამ ერთად უნდა ვსთქვათ, რომ ერთად ერთი სწორი გზის მაჩვენებელი ყოფილა კომუნისტური პარტია, რომელიც ჩვენ მუშებს შეგვაყენებს სოციალიზმის გზაზე გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას. გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს. გაუმარჯოს ამხ. ლენინს.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. სუხიშვილს.

სუხიშვილი ვახო: ამხანაგებო ქართულად ნათქვამია: ზოგი ღვთისკენ და ზოგი თხისკენ. ეს ანდაზა მასალათ გამოგვადგება. მართალია, მე თითონ როგორც ძველი მენშევიკი, უნდა გითხრათ, გულმხურვალე მენშევიკი დღეს ბრალს ვიღებ ჩემს თავზე ისტორიისა და ხალხის წინაშე, მაგრამ მარტო მენშევიკები კი არ არიან დამნაშავენი, არამედ ამაში მონაწილეობა აქვს ბოლშევიკებსაც. ამ აზბოქრებულ ალზე ბენზინის დასხმა არ საჭიროებს. როდესაც მოვდიოდი ამხანაგებმა მითხრეს: წადი და ისე კი არ გამოცხადდე, ჩვენი ამხანაგების წინაშე ე. ი. მენშევიკების და ბოლშევიკების წინაშე, რომ იქაც ისეთი ხელები არ ატოტინონ, როგორც ამ ორი წლის წინათ იყო. ვინც რომ ამ შეთვისების გზას გადაელობება მას შვინდის მურაბა აჭამეთო. მაგრამ ჩემდა საბედნიეროთ ასეთს ადგილი არ ქონია. და მხოლოდ ერთმა ახალგაზრდამ, თავის ახალგაზრდობით მისცა თავის თავს ნება აქ გამოსულიყო ყრილობის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენმა ამხანაგმა სანდრომ მას შვინდის მურაბა კი არა, არამედ ტყემლის მურაბა მიართვა. აი ჩვენც ვეტყვით ჩვენს ამხანაგებს, რომ შვინდის მურაბის მაგიერ ჩვენი ხელის შემშლელებს ტყემლის მურაბით გაუმასპინძლდითო. ამას ვეტყვი იმას, ვინც მე გამომგზავნა თავისი დავალებით. ეხლა როგორ გონიათ, ამ ნიადაგზე რას ვხედავთ ჩვენ და რა დაგვავალეს. სოციალიზმი დავამყარეთ, როგორც ბევრს გონია—არა, ეს ტყუილი ამბავია. ეს არის მხოლოდ „აბრაშჩიკი“. ეს არის პირველი დაწყება. ეს დაიწყო პირველი რუსეთის ფარგლებში. აი აქ არის „აბრაშჩიკი“, აქ უნდა გამაგრდეს და შემდეგ ეს რევოლიუცია გადავსტყორცნოთ სხვაგან, იმ ქვეყნებში, იმ ამხანაგებს, იმ პროლეტარიატს მივეშველოთ, რომელიც არის მონარქისტულ წესწყობილებაში ჩახშობილი.

ამისათვის მე ვიძახი ამხანაგებო, რომ ყოველ ინცინდენტებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის, ჩვენ ვსპობთ. ეს უნდა მოიშალოს. რაც შეეხება უსიამოვნებას და დეფექტებს, ამაზე ილაპარაკა ფარნიევმა და მე ამას არ დაუბრუნდები. ჩვენ სოციალისტები ვართ. თუ ჩვენ დღეს მენშევიკები, წარმომადგენელნი მთელი საქართველოს მუშებისა და გლეხებისა უკვე მომწიფებულნი ვართ, ჩვენ უკვე შევთვისდით და თუ ვინმე ქიშპობას გამოიჩენს, ამით გავახარებთ კაპიტალისტებს. ისინი შეუწყობენ ხელს ერთი მეორეს და მიგვაწყვეტენ ერთმანეთს. ამიტომ საჭიროა მოვიდეთ გონს. ამიტომ ჩვენ ძველ დავას უნდა დავანებოთ თავი, მოუბრუნდეთ ახალს და თუ ვუსაყვედურებდით მენშევიკებს ვერ მუშაობდით კარგათო, ახლა ბოლშევიკებს უთხარათ ვერც თქვენ მუშაობთ კარგათო. ეს რაღაც ბავშური გაღიზიანება გამოვა, რადგანაც ვინც არაფერს აკეთებს, ის არაფერს აფუჭებსო, და ვინც აკეთებს ის აფუჭებს კიდეც, ჩვენ თუ გვინდა სოციალისტების სახელი ვატაროთ და შეერთებული ძალით გამოვიდეთ მუშურ-გლეხური ძალა-უფლების დასაცავად და მართვა-გამგეობის განსამტკიცებლად, ყველამ ერთად უნდა დავიწყოთ მუშაობა და დიდმა და პატარამ ვიმუშაოთ. ასეთი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ყველას ერთხელ და სამუდამოთ, ამიტომ გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას მუშათა კლასისას.

გორდაძე: ძვირფასო ამხანაგებო, 25 აგვისტოს დღიდგან უნდა ვთქვა, აქედან კი არა ჯერ კიდევ 18 წლიდან ვფიქრობდი და სულით და გულით ვიყავი მოსურნე, რომ მუშათა ფრონტი ყოფილიყო ერთი. მე ძველი ტრამვაის მუშა ვარ. ვიყავი გვარდიაში, მე იქ ვეუბნებოდი, [illegible] ჩვენ ვცდებით ამხანაგებო, ჩვენ[illegible] შის მთლიან ოჯახს უნდა ვე[illegible] დეთ და უნდა ვიყოთ მემარცხ[illegible]. ამხანაგებო, როცა ვიტყოდი, რომ შემცდარი ნაბიჯია ეს, რომ ჩვენი მთავრობა მემარჯვენე იყო და რომ ჩვენ ამას მომავალში დავინახავთ, ცუდ მდგომარეობაში ჩავცვივდებით და მერე მოვალთ ჭკუაზეო, მე მეუბნებოდენ შენ ბოლშევიკი ხარ მგონიაო. ეს ჩემი სიმართლე იყო, იმიტომ რომ ვიცოდი კარგათ, რომ ერთი მეორეს დაუწყებდით ქლეტას, და ასეც გათავდა. ჩვენმა ამხანაგებმა კარგათ იციან რა მოხდა ორი წლის წინად ფრონტზე, ვინ დაიხოცა იქ, ჩვენი ამხანაგი მუშები, ის რევოლიუციონერები, რომლებიც ნიკოლოზის დროს იბრძოდენ. აქ ვინ არის დამნაშავე? ჩვენ. იმიტომ, რომ თუ ჟორდანიას მთავრობა შესცდა ჩვენ არ უნდა შევმცდარიყავით, იმიტომ რომ გამოცდილი მუშები ვიყავით დაარა ბავშვები. მაგრამ რა ვქენით ჩვენ. ჩვენ გვითხრეს, თუ შემოვლენ ბოლშევიკები საქართველოში ააწიოკებენ მას, გააუპატიურებენ ქალებს, გადასწვავენ, გააოხრებენ ყველაფერს, უნდა გითხრა სიმართლე, რომ მე ბევრ ფრონტზე ვიყავი. მართალია ვიყავი. იმიტომ რომ ბრძოლაში მინდოდა მიმეღო მონაწილეობა. მე ვარ მუშა და, როდესაც კითხვა ბრძოლაზე დადგებოდა და ამხანაგები ბრძოლას დაიწყებდნენ, ზოგჯერ რევოლვერს გამოვიღებდი ხოლმე და ამხანაგს ვემუქრებოდი და ვეუბნებოდი ნუ ვიბრძვითო, რას შვრებით, კომუნისტები მემარცხენეები არიან. ისინი მეუბნებიან—შენ კომუნისტი ხომ არა ხარ კაცო. (ხმაურობა, სიტყვას აწყვეტინებენ—ტყუილია, ტრაბახობ, მორჩი)—(თავმჯდომარე: გთხოვთ დამშვიდდეთ, ნუ უშლით დაათავოს სიტყვა). თუ წარსულ მთავრობას ბევრი დანაშაული მიუძღვის, ჩვენც მიგვიძღვის, მარტო იმათზე არ უნდა ვლაპარაკობდეთ. ჩვენც დამნაშავენი ვართ. გაუმარჯოს ჩვენ შეერთებულ ოჯახს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას, გაუმარჯოს მესამე კომინტერნს!

დელეგატი (ადგილიდან:) „გთხოვთ კამათი შეწყვიტოთ“.

თავმჯდომარე: წინადადება არის კამათის შეწყვეტისა. ნება მომეცით უყარო კენჭი.

მესამე დელეგატი (ადგილიდან): მე ვფიქრობ რომ სასურველია ყოველმა წევრმა მიიღოს მონაწილეობა ამ ლაპარაკში, იმ მოსაზრებით, რომ თუმცა ერთსა და იმავე იმეორებენ, მაგრამ სწორედ ეს არის სასიქადულო და სასიხარულო, რომ სხვა და სხვაობა არ არის, ამიტომ სასურველია ყველამ ილაპარაკოს.

თავმჯდომარე: მე კენჭს ვუყრი წინადადებას, შეწყდეს თუ გაგძელდეს კამათი (მიღებულია კამათის გაგძელება) ვინაიდან უმრავლესობის სურვილია კამათი გაგრძელდეს გთხოვთ დაწყნარდეთ, ნუ ხმაურობთ, ხელს ნუ შევვიშლით, სიტყვა ეკუთვნის ამხ. გუმბრიევს.

გუმბრიევი: ამხანაგებო, დაწყებისთანავე შევეხები იმ დიდ ომს, რომელმაც არამც თუ ადამიანის სიმდიდრე, არამედ ადამიანის სხეულიც გადაყლაპა. მას მოჰყვა 17 წლის გადატრიალება. მე მინდა შევეხო 1904 წელს, როდესაც რასკოლი მოხდა (ხმა ადგილიდან: სამ წელს), ჩვენში ეს მე-4 წელს ჩამოიტანეს და ამიტომ გვიხდება ამ დროზე ლაპარაკი. მაშინ ჩვენ ხშირად გვიხდებოდა ამაზე ლაპარაკი, როცა ჩვენ მუშებს გვეუბნებოდნენ ეს უმცირესობა, ეს უმრავლესობაო. აქ სთქვეს, რომ უმრავლესობამ დაადგინა და უმცირესობა რატომ არ დაემორჩილაო. აი საქართველოშიაც რა მოხდა: შესდგა ტფილისში დამფუძნებელი კრება. უმრავლესობა იქ მენშევიკები იყვნენ, მაგრამ ეს დამფუძნებელი კრება ხელში უმცირესობას ეჭირა. და ის წითელი დროშა, რომელიც ჩვენ გვქონდა ხელში დამფუძნებელ კრებამ ჩამოიღო და სამფეროვანი ააფრიალა. აი რა შეუძლიან უმცირესობას, მაგრამ სამართლიანი იყო ის, რაც სთქვა მიხა ცხაკაიამ აქ, რომ ღია იყო ფართეთ კარები მეორე ინტერნაციონალისა და მენშევიკური პარტია ღებულობდა ყველას, ვინც კი მასთან მოვიდოდა: მიკიტნებს, თავადებს, გლეხებს, მღვდლებს, ვაჭრებს, ტერტერებს. ასე იყო ამხანაგებო, თუ თქვენ არ იცით ეს მე ვიცი. აქ ამხანაგმა ფარნიევმა გუშინ სთქვა, ჩვენ ისევ ჩვენს ოჯახში ვართო. არ ვიცი სანდრო როგორ ფიქრობს, მაგრამ მე აქ სულ სხვანაირად ვფიქრობ ჩვენ ვიყავით დღემდე მეორე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, მენშევიკურ პარტიაში, ე. ი. ჩვენ ჩვენს სახლიდან გამოვდივართ ეხლა და მესამე ინტერნაციონალში

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ამ ბოლო ხანებში „მენშევიკური პარტიის“ „ცეკას“ აგენტები ავრცელებენ ხმებს, რომ მე უკვე კომპარტიის წევრი ვარ და, როგორც ასეთს, არა მაქვს უფლება ვილაპარაკო, როგორც სოც.-დემ. პარტიის წევრმა. არალეგალურ „ჩვენი ერთობის“ უკანასკნელი ნომერიც აცხადებს: „რუსეთიდან ჩამოსული ჭყონია წელიწადზე მეტია კომპარტიის წევრია და გულუბრყვილოთა მოსატყუებლად კი თავს ისევ მენშევიკს უწოდებს“.-ო.

გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ მე არ ვითვლები კომუნისტური პარტიის წევრად. *)

ამხანაგური პატივისცემით ა. ჭყონია.

---

*) ვამოწმებთ, რომ ამხ. ჭყონია არ არის კომპარტიის წევრი.

რედაქცია.

რთ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

რალურ კანტორისაგან

რესტი), რუსთაველის პროსპექტი № 26, ტელ. № 5—43.

ალური კანტორა ამით აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ 1 სექტემბრიდან გაზეთ „კომუნისტ“-ში განცხადებები მიიღება შემდეგი ფასით:

ელის სტრიქონი პირველ გვერდზე	30 კ. ჩერვონცებით.
„ „ მეოთხე გვერდზე	15 კ. „
თეატრალური განცხადება არა უმეტეს 60 სტ.	30 პროც. დაკლებით.
სამგლოვიარო არა უმეტეს 30 სტრ.	4 მანეთი.
საექიმო განცხადება თვეში	4 მანეთი.

ყველა განცხადებები არა ნაკლებ 10-ჯერ დაბეჭდილი—10 პროც. დაკლებით.

იქვე მიიღება განცხადებები იმავე წესით თვიურ ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ში, „კომუნიზმის დროშა“-ში და ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ში. (6—2)

შევდივართ. ჩვენ ტფილისიდან კი არ ამოვდივართ, ისევე ტფილისში ვრჩე[illegible] ამაზე არ იყო აქ ლაპარაკი. [illegible] მივდივართ მესამე ინტერ[illegible]ის დროშის ქვეშ ეს სიმართლე არის, აი საქმე ამაშია. მე თუმცა არ მინდოდა მეთქვა მურმანოვის შესახებ, მაგრამ ორიოდე სიტყვას ვიტყვი [illegible] არა, თუმცა მეშინიან. აქ სთქვეს: „რუსებს, სომხებს და [illegible]ებს რა ადგილი აქვთ აქ“. შენ კაცო, თუ კახეთში დაიბადე მე ტფილისში ვარ დაბადებული და ნება მიბოძეთ აქ ვიცხოვრო. ეს შოვინისტური მოწამლული სიტყვა ჩვენ კარგათ ვიცით და მურმანიშვილები აქ არ უნდა იმეორებდნენ (დაანებეთ თავი კაცო მაგ ოჯახქორ მურმანიშვილს, რა დაგემართათ).

ერთმა ამხანაგმა სთქვა: მღვდელმა მითხრა ჩვენი საქმე როგორ არიო. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ თქვენ გახსოვთ თუ რას სწერდენ რამიშვილი და ჟორდანია, მაგრამ პარლამენტში ეპისკოპოსებს ღებულობდენ და ჩვენ მუშები არაფერ ხმას არ ვიღებდით. (ხმა: არ ყოფილა ეს) როგორ არ ყოფილა. მცხეთაში დაუხვდით მათ. მე გეტყვით ამხანაგებო, რომ 1903 წლიდან 17 წლამდე, ჩვენ სრულიად არავითარი არ დაგვიშავებია და არავითარ ბრალდებას არ ვიღებთ თავზე და როგორც წუხელის ამხ. ასანდრომ სთქვა, ტაქტიკას თუ დანაშაულობა ჰქონდა. თუ ტაქტიკა იყო შემცდარი, ის თავიდანვე მოყოლებული ამაში ორივეს თანაბრათ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს აქვს წვლილი. და ამ გზით მივედით ჩვენ 1917 წლამდე და მერეც რამდენათ შევძელო ანგარიშს ვუწევდით ამას, ბევრს გახსოვთ მუშათა და ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ყრილობაზე სოსო ირემაშვილმა ასე დააყენა საკითხი: ამხ. ნოე, გვითხარით, როდემდის ვივლით მარჯვნივ. ნოემ უპასუხა: მარცხნით თუ ვივლით გადავარდებით ხევში. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ ხევი კი არა, ნამდვილი გზა ყოფილა. მაგრამ იმ ღვაწლს, რომელიც მიუძღვის ჩვენ პარტიას 20 წლამდე, ჩვენ ამას ვერ დავივიწყებთ. მე მეტს აღარ შევაწუხებთ ამხანაგებო. [illegible] უკანასკნელათ მე ვისურვებ თქვენთან ერთად, რომ ის წითელი ჩვენი დროშა, რომლის ქვეშაც დღეს ჩვენ ამოუდექით გვერდში კომუნისტებსა და პროლეტარიატს, მიგვეტანოს ბოლომდე. ეს ერთად ერთი გზაა, რომლითაც ჩვენ უნდა დავანახოთ და დაუმტკიცოთ ჩვენი საერთო ძალით ევროპის მუშათა კლასს, რომ შევძლეთ ამ დიდი საქმის გაკეთება. გაუმარჯოს იმ დროშას, რომელიც შეგვიყვანს სოციალიზმში. (ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. ბესოშვილს (ბესოშვილი უარს აცხადებს). წესრიგისათვის სიტყვას ვაძლევ ამხ. ფარნიევს.

ფარნიევი: ამხანაგებო, მე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა გითხრათ თქვენ ის წინადადებები, მდაბიო ენით, რომ ვსთქვა, წარამარა შემოტანილი, ხან შევსწყვიტოთ კამათი, ხან არ შევსწყვიტოთ კამათიო და თქვენი მოპყრობა ყრილობისადმი, თავისუფალი მოპყრობა, პირდაპირ დაუშვებლათ მიმაჩნია. (ხმები: სწორია) ან დაადგინეთ, რომ შევსწყვიტოთ და თუ კი უმრავლესობა მომხრე ხართ, რომ არ შევსწყვიტოთ კამათი, ამხანაგებმა იქონიეთ იმდენი პატივისცემა ყრილობისადმი, რომ ნუ ხმაურობთ და მოითმინეთ, თავი შეიკავეთ. თუ ნება მომეცით რაც უნდა სისულელე ვილაპარაკო მომითმინეთ და შემდეგ გამლანძღეთ, თუ თქვენ ამბობთ, რომ ისტორიული დღეაო. მაშასადამე, ისტორიულ დღეში, იმერული ანდაზა ხომ გახსოვთ: „ქვეყანა ინგრევოდა და ქლიბაძე ბუქნას უვლიდაო“. აქ ბუქნის სათამაშოდ არა ვართ მოსული, ან ერთი დაადგინეთ და ან მეორე.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. მაჩაბელს.

მაჩაბელი: ამხანაგებო, მე სწორედ უნდა გითხრათ ის, როდესაც ასეთი დღეა ჩვენს წინაშე და როდესაც ჩვენ გვავალებენ მოსვლას და იმ აზრის გამოთქმას, რომელიც ჩვენ გულშია, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც დაგვავალეს და არა იმაზე, ვითომც ვისმეს გასამართლება ხვდებოდეს. ჩვენ მუშებს შეიძლება დაგვაგვიანდა, მაგრამ ჩვენ მაინც ავიღებთ ფარხმალს ხელში და ისევ მუშურათ გადავხედავთ ჩვენს მოქმედებას. ჩვენ ის ფარხმალი არასოდეს არ დაგვიგდია. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამოიღე ხმალი ივანეს და პეტრეს წინააღმდეგო, ჩვენ ყველა მუშები ვართ და აქ ამხანაგები გამოდიან და ყველა თავის აზრს ლაპარაკობენ. ჩვენ უკეთ ლაპარაკი არ შეგვიძლია, მაგრამ რაც შეგვიძლია იმას ვიტყვით. აქ გაუგებარი არაფერი არ არის, გამგები ყველაფერს გაიგებს. ჩვენ აქ მუშები ვართ თავმოყრილი. გაუმარჯოს მუშებს, გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს. (ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. ნორაკიძეს. (უარს აცხადებს). ამხ. ხორჩილაძეს. (უარს აცხადებს). (რუსულათ ლაპარაკობენ გნოევოი და ლაპკინი).

ლაპკინი. ამხანაგებო, დღევანდელ ისტორიულ დღეს, როდესაც სწყდება ოდესღაც მუშების ხელმძღვანელ მენშევიკურ პარტიის ბედი, ზოგიერთი აქ გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ ინტელიგენციის დანაშაულს, თითქოს ინტელიგენციაა ყველაფერში დამნაშავე და განსაკუთრებით პიროვნებებზე მიუთითებდენ.

ამხანაგები, ჩვენ ერთი და ორი დღე არ ვყოფილვართ რევოლიუციონერები. თვითეულმა თქვენთაგანმა მშვენივრად იცის, რომ ჩვენ არასოდეს არ მივსდევდით პიროვნებას, ჩვენ მივსდევდით ტაქტიკას, რომელიც იცავდა პროლეტარიატის ინტერესებს, მუშათა კლასის ინტერესებს და ყოველთვის ვმსჯელობდით, როგორც მარქსისტები. თუ ამხანაგი მარტინოვი, მახარაძე ან ამხ. ლენინი ჩამოშორდებიან იმ ტაქტიკას, რომელიც იცავს პროლეტარიატის ინტერესებს, რა თქმა უნდა ჩვენ მათ აღარ გავყვებით ლენინის ნაცვლად იქნება მეორე წინამძღოლი, რომელიც დაიცავს პროლეტარიატის ინტერესებს. ამხანაგებო, რაც შეეხება აქ ერთი ამხანაგის გამოსვლას, მე სამწუხაროთ ძალიან სუსტად ვიცი ქართული ენა, ვინმე მურმანოვის, თუ მურმანიშვილის გამოსვლას. ამხანაგებო ჩვენ დღეს და გუშინ არ შევსულვართ პარტიაში, ჩვენ ვიცით რას ნიშნავს პარტიული დისციპლინა, ჩვენ ვიცით რას ნიშნავს მისი დავალება. მან შეასრულა ცეკას დავალება, შეასრულა სისწორით. როდესაც ჩვენ ვღებულობდით პარტიისაგან დავალებას, ჩვენ ვატარებდით მას ცხოვრებაში, არაფრის არ გვეშინოდა, როდესაც გვეუბნებოდენ: „რევოლიუციის საკეთილდღეოთ გაიფიცეთო“, ჩვენც ვიფიცებოდით, „რევოლიუციისათვის დაანგრიეთო“, ვანგრევდით. ეხლა მე თქვენ გეკითხებით, რას ემსახურებიან ეს ადამიანები, რა სურთ მათ, ვისი ინტერესების დასაცავად მუშაობენ ისინი? რევოლიუციის, თუ კონტრ-რევოლიუციის ინტერესების დასაცავად? დღეს ჩვენს წინაშე ამხანაგებო, დასმულია ყოფნა არ ყოფნის საკითხი. ერთის მხრივ მუშათა გაერთიანებული ფრონტი, პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი, მეორეს მხრით—ბურჟუაზიის, კაპიტალისტური მსოფლიოს გაერთიანებული ფრონტი, და აი დღეს, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყრილობა იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას, ვის მხარეზე სურს მას დარჩენა, ბარიკადის იმ მხარეზე, კაპიტალისტებთან ერთად, თუ საქართველოს ამაყ მუშათა ფრონტთან, რომელიც იცავს პროლეტარიატის ინტერესებს.

ამხანაგებო. ყოველ ჩვენ ნაბიჯს თვალყურს ადევნებენ როგორც ჩვენი მტრები, ის მეგობრები, მაგრამ უფრო ფხიზლად გვადევნებენ თვალყურს ჩვენი მტრები.

მე მოვიყვან აქ ამხანაგებო, ერთ პატარა ფაქტს. თქვენ გახსოვთ, როდესაც ერთ დროს მუშათა შორის მერყეობას ჰქონდა ადგილი, როგორ ფიქრობთ ამხანაგებო, რეაქციამ გაუშვა ხელიდან ეს მომენტი თუ არა? თქვენ ყველას გახსოვთ ამხანაგებო, საქართველოს შავრაზმელთა რაზმი გორში ორბელიანის და დადეშქელიანის მეთაურობით. თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, თუ როგორ მაშინვე სწვდენ ისინი გლეხის დოვლათს, დაიწყეს სოფელ-სოფელ მოგზაურობა და ლალის აკრება, დაიწყეს აგიტაციის წარმოება, ამბობდენ—„თქვენი ძალა-უფლება შეირყა, ეხლა ძალაუფლება ჩვენ ხელში უნდა იყოსო“. ჩვენ თვალყურს ვადევნებდით მათ ყოველ ნაბიჯს და ეს საკითხი ორგანიზაციაში დავაყენეთ. ჩვენ მაშინვე გავაგზავნეთ დეპეშა ნოე ჟორდანიას სახელზე. უნდა ვსთქვა სიმართლე, რომ ზომები მიღებული იქნა, მაგრამ რა გამოვიდა? იმწამსვე ინგლისის რეაქციის წარმომადგენელი, თუ, არ ვიცი, გენერალი ფონ-კრესი მაშინვე მოვიდა დასახმარებლად, რათა ხელიდან გამოეგლიჯათ თავიანთი მომხრენი. აი, ამხანაგებო, როგორ ადევნებს რეაქცია თვალყურს თვითეულ ჩვენს მოძრაობას. მეორე მაგალითი: როდესაც ხდებოდა გარდაცვალებულ ჩხეიძის დაკრძალვა, მაშინ ინგლისის ჯარები იდგენ აქ. განა თქვენ არ გახსოვთ, როდესაც ქართველი მუშები შეიკრიბენ მანიფესტაციაზე, ინგლისის ჯარები სანგრების გათხრას შეუდგენ? როდესაც შეეკითხენ გარეშე საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს,—იცის თუ არა მან, რომ ინგლისელები სანგრებს სთხრიან და რისთვის ემზადებიან ისინიო, მან უპასუხა, რომ არ ვიციო. ხოლო ინგლისელებმა უპასუხეს—ჩვენ გვეგონა, რომ ბოლშევიკების დემონსტრაცია იმართებოდაო. აი როგორ გაფაციცებით ადევნებს თვალყურს რეაქცია ყოველ ჩვენ ნაბიჯს.

ამხანაგებო, განა ვისთვისმე საიდუმლოებას შეადგენს, რომ მენშევიკების პარტიის დაშლა დღეს და გუშინ კი არ დაწყებულა, არამედ იგი დაიწყო აქ საქართველოში 3 წლის წინად. თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, როდესაც პირველი წყალი შეეპარა პარტიას. თქვენ გახსოვთ, როდესაც ჩამოშორდა მას ზურაბოველების ჯგუფი (ხმა: „მართალია“ ტაში). განა ეს არ იყო პარტიის დაშლის ნიშანი? როდესაც პარტიას ზემო ფენებში მოხდა განხეთქილება, მაშინ მოხდა განხეთქილება მის ქვემო ფენებშიც, მუშათა შორისაც, აქ ინტელიგენცია არაფერ შუაში არ იყო. თუ აქ იყო ვისმეზე ძალდატანება ჩეკას მხრივ, მე თქვენ შეგეკითხებით, განა იყო მაშინ იქ ჩეკა? თქვენ ყველამ იცით, რომ მაშინ ჩეკა არ ყოფილა. მოხდა აგრეთვე მეორე განხეთქილება, განა თქვენ არ გახსოვთ, ნუთუ ასე ჩქარა დაივიწყეთ? ამხ. მახარაძე ამას წინად გაზ. „რაბოჩაია პრავდაში“ სწერდა წერილს „პრობუჟდენიეს“ („გამოღვიძება“) სათაურით,—თქვენ გახსოვთ, როდესაც მოწვეული იყო მენშევიკების პარტიის საგანგებო კონფერენცია სწორეთ იქ იყო დასმული საკითხი პარტიის განხეთქილების შესახებ. თავის მოხსენებაში ამხ. ჯიბლაძე აღნიშნავდა, რომ განხეთქილების წყეული ჭია შემოიპარა ჩვენს პარტიაშიო.

ამხანაგებო, დღეს, იმათ, ვინც ფიქრობს, რომ აქ ადგილი ქონდა ჩეკას ძალდატანებას, იცოდენ, რომ დაშლა დაიწყო გაცილებით ადრე, და სწორედ საქართველოს მასშტაბით.

ამხანაგებო, ამ ჟამად ჩვენს წინაშე სდგას მეტად მნიშვნელოვანი საკითხი—ყოფნა არ ყოფნის საკითხი, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყრილობა გაიმეორებს საფრანგეთის მუშების სიტყვებს; „რაც არ უნდა მოხდეს პარიზს არავის დაუთმობთო“—დარწმუნებული ვარ, რომ გაერთიანებული ძალებით პროლეტარიატი შექმნის ერთიან ფრონტს (ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. შენგელიას.

შენგელია ანტონ: ამხანაგებო, მოგახსენებთ ლანირ-ჰაგის საზოგადოების სახელით, სადაც 10 ყოფილ მენშევიკების პარტიის წევრმა თავი დაანებეს ძველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ჩვენთან ამხანაგებო არავითარ ძალ-დატანებას არ ჰქონია ადგილი, მოვიდა ჩვენთან მხოლოდ ძველი პარტიული მუშაკი ტიმოთე შენგელია, აგვიხსნა რაში უნდა მდგომარეობდეს ჩვენი მუშაობა, რაში იყო ჩვენი წინანდელი შეცდომები, გაგვიკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, გვითხრა, რომ ბოლგარიაში, იტალიაში და თითქმის მთელ ქვეყანაზე ხდება ფაშისტური მოძრაობა და რასაკვირველია გაიმარჯვებს, თუ ჩვენ და სხვები ძველ გზას არ დავტოვებთ. ჩვენ ვთქვით, ვის უნდა მივემხროთ, გავდგეთ განზე და დავშორდეთ კომუნისტებს? მაშინ შესაძლებელია, რომ კომუნიზმი დამარცხდეს და ფაშიზმმა გაიმარჯვოს. ჩვენ ამიტომ შეუერთდებით კომუნისტებს-რომ ვიბრძოლოთ მათთან სიკვდილამდე ფაშიზმის წინააღმდეგ. მეოთხე რაიონში გამოვიდა ვინმე თარგამაძე, რომელმაც ილაპარაკა, რომ ტიმოთე შენგელია წასულა გურიაში, წაუღია უწერი ქაღალდი, გაუმართავს კრება და ხელი მოუწერინებია გლეხებისათვის და როცა გლეხები ეკითხებოდნენ რა არის ესაო, ის უპასუხებდა: ეს ის არის, რომ თქვენ კრებას დაესწარითო. ამით უნდა ეთქვა, რომ ვითომდა ტიმოთემ მოაწყო კრება და მოატყუა გურიის გლეხები. იქ ყრილობაზე უპარტიო ხალხი არ იყო, იქ ყოფილი მენშევიკების კრება იყო და ჩვენ დავტოვეთ მენშევიკური პარტია და აქეთ გადმოვედით. მაშ გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

ტიმოთე შენგელია: (ტაში) ამხანაგებო, მე არ მინდოდა დღეს გამოსვლა, მაგრამ უკანასკნელ სიტყვამ გამომიყვანა აქ, რორემ მე რასაკვირველია ჩემ სიტყვაზე უარს ვიტყოდი. რომ ამხანაგს შენგელიას არ ეხსენებინა გურიის საქმე და არ დაეწყო მასზე ლაპარაკი, მე დავიწყებული მქონდა, აღარ მახსოვდა. მე ამხანაგებო, გურიაში ვიყავი და არა [illegible] ადგილას. ეს რომ ასეთ ადგილას მომხდარიყო დასაშვებია, რომ დაიჯერებდა ვინმე, მაგრამ გურიაში, იმ გურიაში, რომელიც საქართველოში კი არა, არამედ შორსაც არის ცნობილი რევოლიუციაში, ისე როგორც რუსი, ეს გურია მოატყუა ტიმოთე შენგელიამ. იქ ყრილობაზე იყო 7.000 კაცი, ჩემზე უფროსები, ჩემი აღზრდილები, ძველი მებრძოლები და მე მოვატყუე ისინი, არა, ის მე კი არ მოვატყუე „მოატყუა“ მათმა სწორმა საქმის გაცნობამ. ყველა დღევანდელ ცენტრალურ კომიტეტის წევრმა მოისმინეთ თუ აქა ხართ, და შეიგნეთ, რომ ეს მოახდინა შეგნებამ, და აუცილებლობამ, პროგრამა მინიმუმი ჩვენთვის მაქსიმუმი არ იყო, ეს იყო საშუალება, გზა და ეს გზა არ გამოდგა. ჩვენში სოლომონ ესაკიას ვკითხე, ის ძველი ბოლშევიკი არის, პატიოსანი მუშა. მე მივმართე ასე: მე რომ გითხრათ ამ გზით ნუ მიდიხართ, იქ მე ხრამი ვნახე, მეორე გზით წადით შენ რას იზამთქო? იმან მიპასუხა: რა თქმა უნდა, წავალ იქით, სადაც შენ მითხარი ხრამიაო. რატომთქო—ვკითხე მე, იმიტომ, რომ ამას ამბობს ტიმოთე შენგელიაო. ეს იმიტომ, რომ იმას თავის ჭკუა აქვს და ჩემი სიტყვით არ დაიარება. ადამიანი საქმეს უნდა უფიქრდებოდეს ღრმად, ღრმად უნდა ჩაფიქრდეს და მერე უაღრესი სიტყვა სთქვას. მაშასადამე, ის ამხანაგები შეგნებით სტოვებენ ძველ გზას, პროგრამა მინიმუმს და მიდიან იქით, სადაც უნდა წასულიყვნენ, ეს არის სწორი გზა. ჩვენ ბოლშევიკებს ვეუბნებოდით სწორი არ არის თქვენი ტაქტიკაო. მე ვანო სტურუას ვეუბნებოდი: არ ვარგა მაგრითქო. მან ისკუპა და გადახტა, შუაში არ ჩახტა, რა უყოთ არ ჩახტა შუაში. კარგი გამოვიდა იმისი გზა, გამართლდა ვანო. ვიძახოდით ბოლშევიკი ნაადრევია, ნაადრევიაო, არ გამოდგა ნაადრევი. იძახოდნენ რუსეთის ჟანდარმის ეშინიან ქვეყანასო და ამიტომ არ ხდება რევოლიუციაო, უთხრა პლეხანოვმა ლენინს და პლეხანოვი რომ სულელი კაცი ყოფილიყო იმის ძეგლს დღეს არ ააშენებდნენ ბოლშევიკები რუსეთშიო. ლენინმა უთვალთვალა რუსეთს, და როდესაც მონახა შესაფერი მომენტი აიღო ხელში რუსეთი, როგორც ბურთი და დაუკაკუნა ევროპას კარებზე. ევროპას ისე შეეშინდა, რომ ჩაკეტა კარები და არ უნდა რომ დაინახოს. ექვსი წელიწადია რუსეთში რევოლიუციამ გაიმარჯვა. ევროპაში ექვს წელიწადს მიდის ხალხი და იქიდან ჩამოდიან ზოგი ექიმი და ზოგი ინჟინერი, რუსეთში კი რევოლიუცია ექვსი წელიწადი არის, სულ აგიტაცია და პროპაგანდა სწარმოებს. დღეს თუ აქ კრება არის, თბილისში, ათგანაც იქნება კრება და ამრიგად ჩვენც ვისწავლეთ რა არის სოციალიზმი. და ვამბობ, რომ სრული შეგნებით საქმიანობისა სტოვებენ ამხანაგები ძველ რიგებს და უერთდებიან ამ ამხანაგებს და ის კაცი, რომელიც ლაპარაკობს რომ ტიმოთე შენგელია მოვიდა და მოიტანა ცარიელი ქაღალდები, ის ტყუის. მე გურიაში ამხანაგ მარტინოვთან ვიყავი, მე იქ ბევრი რა უნდა მეთქვა, როდესაც ამისთანა კაცმა ილაპარაკა. აქ რომ მეორემ ილაპარაკა, ახლა ჰგონია გული გახეთქია და გაქცეულა აქედან, ავად არისო ამბობენ, მორჩეს და აქ მოვიდეს არა უჭირს რა. ამდენმა ხალხმა ვაი ვაი მიაძახეს და ქე გადირია ი კაცი. მე მინდა ვთქვა, რომ ის ხალხი, რომელიც ეხლა ჩვენ პარტიას სტოვებს და გადადის მესამე ინტერნაციონალში თავის სურვილით არის გამოსული. რომ ველაპარაკოთ: დაბრუნდი-ის აღარ დაბრუნდება ჩვენ ზეპირად არა ვართ გამოსულნი, ჩვენ საქმიანობამ გამოგვიყვანა, რადგანაც დავინახეთ ჩვენი პარტიის გაკოტრება. მეორე ინტერნაციონალი გაკოტრდა 14 წელს მერე გაკოტრდა რურში და მერმე როდის. ეს თქვენ ყველამ იცით ყველა პროპაგანდისტები ხართ და მე რაღას მალრჩობთ ლაპარაკით. კერზონმა სთქვა, რუსეთი აგიტაციას ნუ გასწევს ჩვენს წინააღმდეგო, მაშინ, როდესაც ამ აგიტაციის საშუალებით დავამყარეთ მუშურ-გლეხური მთავრობის ძალა-უფლება.

რუსეთის მშრომელი ხალხის წარმომადგენელმა უთხრა ინგლისის ხალხს, აი შენი კერზონი ულტიმატუმს მიყენებს რაშია საქმე. თუ რაიმე სადაო საკითხები გვაქვს გადავსჭრათ ის მედიატორული წესით. დავნიშნოთ ორი კაცი. თუ შენ გეკუთვნის შენ წაიღე თუ არა და მე. და რა მოხდა მერე, მოხდა ის, რომ იქ მუშათა კლასმა გაფიცვები მოუხდინა მთავრობას და უთხრა: რუსეთის ხალხი ყოფილა კულტურული და მას ისეთი ძლიერი მუშათა კლასი ყოლია, რომ ის სამართლინად აწესრიგებს საქმეს, არამც თუ მარტო თავის საქმეებს იქ, არამედ ჩვენს საქმესაც, აქო. ამაზე მეტ აგიტაციას ათი ვაგონი ფული რომ დახარჯოთ მაინც ვერ გასწევთ. და ისე დაებნა ჩვენ ყოფილ ცეკასაც ჭკუა, როგორც იქ დაებნა კერზონს. გურიაში ველარ შეხვდებით ცეკას ყოფილ წევრებს, რადგანაც იქაურ მუშებში უკვე მოხდა გარდატეხა, ცეკას მოქმედება ისინი გააგულისა. ასეთია საერთო მდგომარეობა იმ ამხანაგებისა, რომელნიც გადადიან ახალ გზაზე. მაშ გაუმარჯოს იმ გულწრფელობას, იმ საღ შეხედულობას, იმ ადამიანურ რწმენას სისხლის ღვრის თავიდან აშორებისას, იმ უსისხლო რევოლიუციას, რომელსაც ახდენენ ყოფილი მენშევიკები კომუნისტებთან ერთად. ასეთი უსისხლო რევოლიუცია მოეხდინოს მსოფლიო მუშათა კლასს. (ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. ფილიპე მახარაძეს. (ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს. დარბაზი მხურვალე ტაშით ხვდება მას).

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა.

ამხანაგებო, მე სრულიად არა მსურს ჩავერიო ამ კამათში, რომელიც დღეს აქ სწარმოებს, სრული დარწმუნებული ვარ იმაში, რომ არავითარი გავლენა თქვენს გადაჭრილ ნაბიჯებზე, თქვენს გადაწყვეტილებაზე მე არ ვფიქრობ ვიქონიო ჩემის მხრივ.

ამხანაგებო, აქ სთქვეს, რომ ეს არის ისტორიული დღე, ეს არის საზეიმო შემთხვევაო, და მართალიც არის ეს. ეს ისეთი ისტორიული და იმავე დროს რევოლიუციონური ნაბიჯია, რომლის მგზავსი სოციალ-დემოკრატიას, საერთოდ, როგორც ბოლშევიკებს, ისე მენშევიკებს არა ერთხელ და ორჯერ გადაუდგამს ისტორიულ წარსულში. მე ვამბობ, რომ ეს ნაბიჯი, დღევანდელი ნაბიჯი ისეთი ბრწყინვალე იქნება სოციალისტურ მოძრაობის, ისტორიაში არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიაც.

აქ იყო განცხადებული რამდენიმე ამხანაგისაგან, რომ ჩვენ, მუშებს, რამდენიმე წლის განმავლობაში წართმეული გვქონდა სიტყვის თავისუფლებაო. და ეს თავისუფლება პირველად გვეძლევა დღეს ამ რამოდენიმე წლის შემდეგ. ჩვენ გვეძლევა საშვალება ვსთქვათ ის, რაც ჩვენს გულსა და სულში ტრიალებსო. და მე მგონია, ამხანაგებო, რომ ეს არ არის ხელოვნურად ნათქვამი, აქ არ არის არავითარი გაზვიადება. ჩვენს „დემოკრატიულ“ წესწყობილებაში ისლა იყო დარჩენილი, რომ თითების დათვლით გადაგვეწყვიტა სხვადასხვა მძიმე საკითხები. რაიცა შეეხებოდა მუშათა და გლეხთა აზრების გაგებას, იმათ სულისკვეთებას ეს დავიწყებული იყო. რამ მოგვიყვანა ამხანაგებო ჩვენ აქ? მე ბევჯერ მიმიცია ასეთი კითხვა თავისი თავისათვის, რა იყო განსხვავება ჩვენ შორის? ამხანაგებო, უნდა იცოდეთ, რომ დღეს ამაზედ ლაპარაკი აქ ზედმეტია. მე ვიტყვი მხოლოდ, რომ დღევანდელი ყრილობა მოწმობს, რომ რაღაც დიდი ვეებერთელა გაუგებრობა იყო ჩვენს შორის. მაგრამ ჩვენ გვწამდა, რომ მუშათა კლასი მაინც გაიტანდა თავისას, მაინც მიაგნებდა თავის ნამდვილ გზას. ეს აუცილებელი იყო, მაგრამ თუ ეს ასე მოხდებოდა, ეს ბევრს არ ევონა. როგორ მოხდა ეს, რისთვის მოვედით და შევიკრიბეთ აქ. ჩვენ შორის, როგორც უკვე აღნიშნეს ამხანაგებმა დიდი მტრობა არსებობდა. ჩვენს შორის, ამხანაგებო, დაიღვარა სისხლი. აქ კი ჩვენ გამოვდივართ, და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს იყო დიდი,-მე არ ვიტყვი, შეცდომა, ეს იყო უდიდესი გაუგებრობა. ამიტომ ჩვენ აი სწორედ აქ, ამ ყრილობაზე, უნდა ამოვწუროთ ეს გაუგებრობა. ჩვენ ვალდებული ვართ ბოლო მოუღოთ ამ გაუგებრობას, და მე ვამბობ, რომ ამ ყრილობიდან თქვენ უნდა წახვიდეთ სრული დარწმუნებული იმაში, რომ ეს გაუგებრობა აღარ არსებობს, რომ ეს უთანხმოება მოსპობილია. ამხანაგებო მე უნდა ამასთანავე მოგაგონოთ ერთი ჩვენი ვალდებულება, რევოლიუციონური ვალდებულება, ეს ის, რომ აქ ჩვენ ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ იმათ, იმ მუშებს და გლეხებს, ორი მხრიდან ვინც გახდა მსხვერპლი ამ უდიდესი გაუგებრობის (ყრილობა ფეხზე დგება) და მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს, ამხანაგებო მე მინდა შევეხო აქ ერთ საკითხს. მე ვამბობ იმ გამოფხიზლებაზე, რომელმაც ჩვენ აქ მიგვიყვანა. პირველათ მე გავეცანი ამ საკითხს ამ რამდენიმე თვის წინათ, როდესაც პირველ რაიონში, მარტის თვეში, ჩვენ ვდღესასწაულობდით 25 წლის თავს ჩვენი პარტიის დაბადებიდან. იქ მე კრების გახსნამდე გავიგე, რომ ყოფილი მენშევიკები აპირებენ ბაირაღის გადაცემას ადგილობრივ კომუნისტურ ორგანიზაციისთვის. ამის გამო მე შევეკითხე ამხ. არაქელა ოქუაშვილს: „ბიჭო, რაშია საქმე? მართალია ეს თუ აქ კიდევ რაიმე გაუგებრობააო“-მეთქი. მან მიპასუხა: „არა, ეს გაუგებრობა კი არა, სერიოზული საქმეა. ეს ნამდვილი მუშებია, დიდი სტაჟიანი 1901—2—5 წლიდან რევოლიუციონერები, ეს ნამდვილი სერიოზული ამბავიაო“. და მართლაც იქ კრებაზე გამოვიდენ ყოფილი მენშევიკები, ილაპარაკეს თავის წარსულ შეცდომებზე და ჩვენ ორგანიზაციას წითელი დროშა ჩააბარეს. ამ ამბავმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მას შემდეგ, სამწუხაროდ, მე აღარ მქონია შემთხვევა, რომ დავსწრებოდი იმ კონფერენციებს, რომელნიც წინ უძღოდენ დღევანდელ ყრილობას.

მაგრამ, რამდენადაც შემეძლო თვალს ვადევნებდი თქვენგან მოწვეულ კონფერენციებს, იმ ნალაპარაკევს. მე მინდოდა გამომეცნო ნამდვილი სულისკვეთება, მინდოდა გამეგო ამ კონფერენციების, გარეთ, იმიტომ რომ დასამალავი არ არის, რომ გაისმოდა აქა-იქ მითქმა-მოთქმა, რომ ეს ჩეკას საქმეა, რომ ეს ძალდატანებით ხდებაო. საჭირო იყო ყველაფერი ეს ჩვენ წინდაწინ გვცოდნოდა, საჭირო იყო გამოგვერკვია,—ნამდვილი გარდაქმნაა ეს თუ სხვა რამე, რაც შერიგების მაგიერ კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას დაბადებდა ჩვენ შორის. მე ვიცი ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ მასიური რევოლიუციონური პარტიის გარდაქმნა, მისი ძალდატანებით წაბიძგება ისეთ ნაბიჯზე, რომელიც მას დაღუპავს და ბოლოს მოუღებს, ეს ყოვლად შეუძლებელია. ისიც კარგათ ვიცით, რომ ყველა პარტიაში არიან არა საიმედო ელემენტები, რომლებსაც ვნება მოაქვთ პარტიისათვის, მაგრამ ეს გამონაკლისია. მასსა რჩება ერთგული თავის დევიზისადმი, მტკიცეთ იცავს თავის დისციპლინას. ამიტომ მე ვაცხადებ გულახდილათ, რომ ვერავითარი ძალდატანება თქვენ აქ ვერ მოგიყვანდათ, და თუ თქვენ აქ მოდით, ეს აიხსნება სულ სხვა გარემოებით. და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენ აქ მოვისმინეთ ამხ. დელეგატებისაგან, მას შემდეგ რაც ჩვენ აქ გვითხრეს ამხანაგებმა: თოფაძემ, ლუკაშევიჩმა, შენგელიამ, ნუცუბიძემ და სხვებმა, ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ის, თუ როგორ მოხდა თქვენი აქ მოსვლა და ჩვენი დახვედრა. ამხანაგებო, მე არ გამოუდგები წინანდელ ამბებს, იმას, თუ რა უთანხმოება იყო მენშევიკურ პარტიასა და ჩვენ შორის. აქ იყო ნათქვამი, რომ თვით მენშევიკური პარტიის გულში დიდი ხნიდან იყო უკმაყოფილება, განსაკუთრებით მუშებისა და გლეხების მხრივ. ის სიტყვები, რომლებიც აქ წარმოითქვა და რომლებიც ამიერიდან ისტორიაში შევლენ,—ეს სიტყვები ნათელყოფენ, იმას, რომ ქართველი მუშა და ქართველი გლეხი-მენშევიკი არასოდეს არ ყოფილა ისე დაბრმავებული, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. ეს ცარიელი სიტყვა არ არის, და ამას ამტკიცებს ისტორიაც. მე უნდა შევეხო მეორე მხარეს, რომელზედაც აქ გვითითებდნენ ზოგიერთი დელეგატები, და იმათი სიტყვები პირდაპირ გულსა ხვდებოდენ. რაშია საქმე? რას ნიშნავს ის, რომ ესა თუ ის პოლიტიკური და რევოლიუციონური პარტია, მისი უდიდესი და საუკეთესო შემადგენელი ნაწილი გამოდის და ამბობს საჯაროთ: ჩვენ ამ ძველ გზას უარვყოფთ და მივდივართ მეორე გზითო. ამხანაგებო ეს არის არა მარტო გამბედაობა, არამედ დიდი რევოლიუციონური ნაბიჯიც. მაგრამ რას ნიშნავს იმავე დროს ეს ნაბიჯი? პატივცემულმა ამხ. ფარნიევმა რამდენიმეჯერ ხაზგასმით აღნიშნა ერთი გარემოება. რა არის, რა მოხდაო. კითხულობდა იგი. ნუ თუ მართლაც ჩვენ მარტო კონტრ-რევოლიუციონერები ვიყავით, ნუ თუ მართლაც მენშევიკურ პარტიას არც წარსულში, არც აწმყოში არავითარი ღვაწლი რევოლიუციის წინაშე არ მიუძღვის. ვთქვათ, რომ ჩვენ შემცდარ გზაზე ვიდექით, ახლა ჩვენ ვცნობთ და კიდევაც უარვყავით ეს გზა, მაგრამ განა აქედან გამოდის ის, რომ ჩვენ სრულებით წავშალოთ მისი რევოლიუციონური წარსულიო? მე ვაცხადებ, რომ ეს ასე არ შეიძლება, ეს იქნებოდა დიდი ისტორიული უსამართლობა. მართალია, ჩვენ ვიყავით გართული ურთიერთ ბრძოლაში და თავის თავად იგულისხმება, რომ ამ ბრძოლის დროს მივდიოდით გაბოროტებამდე, მაგრამ იყო წუთები, ცალკე მომენტები, როცა სხვანაირად არ შეიძლებოდა. მაგრამ ამიტომ ჩვენ უნდა დავივიწყოთ ყველაფერი? არა. თქვენ იცით, რომ კომუნისტური პარტია რუსეთში არ ივიწყებს წარსულს, და ის ცნობს მენშევიკურ პარტიის დამსახურებას, ის ძეგლს უგებს პლეხანოვს და სხ. და მით უფრო ვერც ჩვენ დავივიწყებთ 1902—3—4—5 და 6 წლებს. ეს ხანა აღბეჭდილია მსოფლიო რევოლიუციის მატიანეშიაც კი. ვინ არ იცის ეს? და განა აქ განიყოფიან მენშევიკ-ბოლშევიკები? განა აქ ჩვენ ერთად არ ვღვრიდით სისხლს? და ამიტომ ვამბობ, რომ ეს არავისაგან დავიწყებული არ იქნება. მარტო ის ღვაწლი, რომელიც 1905 წელს მიუძღვის ბოლშევიკ-მენშევიკურ ორგანიზაციებს, და ვიტყვი უფრო მენშევიკურს, იმიტომ, რომ მაშინ ჩვენში სოციალ-დემოკრატიაში, უდიდეს როლს მენშევიკური ორგანიზაციები თამაშობდენ, შეუძლებელია, რომ დავიწყებულ იქნეს. აქ ფარნიევმა სთქვა, რომ პლეხანოვი ჩვენ ნახევრად ბოლშევიკებს გვიწოდებდაო. მე გამოვიარე მთელი ეს გზა და ვამბობ—არა თუ ნახევრად ბოლშევიკური, სრულიად ბოლშევიკური იყო მაშინ თქვენი მოქმედება. ავიღოთ, მაგალითად გლეხების მოძრაობის ისტორია 1902—5 წლებში გურიაში, იმერეთში, ქართლში. განა მენშევიკები არ იქცეოდენ, როგორც ბოლშევიკები, და არ ერეკებოდენ სოფლებიდან და მაზრებიდან არსებულ ხელისუფლებას მღვდლებითურთ და იმათ მაგიერ არ აწერდენ გლეხებისაგან შემდგარს ხელისუფლებას? მართალია, ეს არ ეთანხმებოდა მენშევიკურ ტაქტიკას, მაგრამ რას იზამთ, მუშები და გლეხები ინსტიქტიურათ მუშურ-გლეხური ალღოთი აკეთებდენ თავის რევოლიუციონურ საქმეს, ვინაიდან სხვანაირათ მოქცევა შეუძლებელი იყო. ერთი ფაქტი კიდევ. ვინ არ იცის, რა როლი ითამაშეს საერთოდ სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა 1905 წელს, თათრების და სომხების შეტაკების დროს, თუ რა მსხვერპლი გაიღეს მათ, რომ შეეჩერებიათ ძმათა შორის საშინელი სისხლის ღვრა და შემდეგ იმ შეტაკებების დროს, რომელიც მოყვა შავ რეაქციას, განა შეგვიძლიან დავივიწყოთ ის ურიცხვი მსხვერპლი, რომელიც გაიღეს მაშინ ჩვენმა ორგანიზაციებმა განურჩევლათ ფრაქციისა? ვინ დაივიწყებს აგრეთვე იმ ბრძოლას ნაციონალიზმის და შოვინიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენ ერთად ვაწარმოებდით! სამწუხაროთ არის ერთნაირი ტენდენცია, რომ ქვა და გუნდა უნდა დავუშინოთ თავში იმას, ვინც ასე თუ ისე წაიჩოქებს, და დაბალ ლობეთ იქნება ცნობილი. მე ამ დღეებში წავიკითხე გაზეთ „ტრიბუნა“-ში რამდენიმე წერილი მენშევიკების შესახებ და უნდა მოგახსენოთ, რომ ეს რაღაც მე ნამეტან უადგილოთ მეჩვენა, მით უფრო იმ პარტიის მხრით, რომელსაც გაცილებით მეტი ცოდნა მიუძღვის როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების წინაშე, არა მგონია, რომ ასეთი სიტყვებით ლანძღვა-თრევა მიზანშეწონილი იყოს მეტადრე დღეს, როცა გამოფხიზლებული მუშათა კლასი ახალ პოზიციას დაადგა და აქ ფეხს იმაგრებს. მერე ვინ ამბობს ამას? არის ანდაზა: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველისო“. ამხანაგებო, ყველა ის, რაც აქ ითქვა, ყველაფერი ეს საგულისხმიერო არის და მეტი ლაპარაკიც საჭირო არ არის. შეიძლება ბევრი ფიქრობდეს, რომ რაღა საჭიროა დღეს ჩვენი რევოლიუციონერობა, ბრძოლა უკვე დასრულდა საბჭოთა ხელისუფლება უკვე არსებობს, და ამას შემდეგ ჩვენ რევოლიუციონურ ენერგიას და რევოლიუციონურ მოქმედებას გასავალი აღარ ექნებაო. ამხანაგებო, მე მოგახსენებთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ პირველ საფეხურზე ვდგევართ. ჯერ კიდევ ბევრი საბრძოლველი გვაქვს არა მარტო ჩვენ გარშემო, არამედ თვით ჩვენშიაც. სწორედ დღეს საჭიროა რევოლიუციონური აღფრთოვანება. რევოლიუციონური მოქმედება ყველა პრაქტიკულ საქმეში. აქაც სამსხვერპლო არის, ამხანაგებო, მხოლოდ სხვანაირი სამსხვერპლო. შესაძლებელია, არა სისხლით, არამედ ჩვენი ტვინით, ნერვებით, ცოდნით, აღფრთოვანებით. ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, მაგრამ, ამხანაგებო მე მინდა აქ მოვიხსენიო კიდევ ამხ. ფარნიევის სიტყვა. უნდა მოგახსენოთ, რომ მის სიტყვებში ბევრი რამ საგულისხმო არის. სხვათაშორის, მისი საყვედური, რომ კომუნისტები თავიანთ შეცდომებს ხშირად გვერდს უხვევენ, და მათ არ სცნობენო. ესეც მართალია, ჩვენ ყველანი, უწინარეს ყოვლისა ადამიანები ვართ, და როგორც ასეთები არა უნაკლულონი. ამიტომ ხშირად ხდება, რომ ჩვენ თავის შეცდომებს არ ვსცნობთ. ეს საერთოდ ადამიანის თვისება არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს კომუნისტებს არ შეეფერება. ეს კომუნისტური თვისება არ უნდა იყოს და თუ არის—მე კი ვამბობ, რომ არას—ამას უნდა ვებრძოლოთ შეერთებული ძალით (ტაში).

ამხანაგებო, ნუ დაგავიწყდებათ ამ შემთხვევაში ჩვენი დიდი მასწავლებლების დარიგება და დირექტივები. არც ერთ ჩვენ ამხანაგს არამც თუ არ უნდა დაავიწყდეს ეს, პირიქით მუდამ უნდა ახსოვდეს ეს სიტყვები, რომელიც მუდამ უნდა იყოს სინათლეზე გამოტანილი. ამხ. ლენინის სიტყვები, რომ ჩვენ თუმც კომუნარები ვართ, მაგრამ ბევრი რამ არ ვიცით, ჩვენ ჯერ კიდევ ვსწავლობთ იმიტომ, რომ ჯერ არ გვყავდა მასწავლებელი და არც დრო გვქონდა როგორც ყველა რევოლიუციონერს, რომ შეგვეთვისებია ის ცოდნა, მიგველო ის სწავლა, რომელიც საჭირო არის კომუნისტური საზოგადოების აშენების დროს. მე კიდევ ვაცხადებ აქ, ამხანაგებო, რომ თქვენ ეხლა რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოთ, ეს სავსებით საკუთარი თქვენი საქმეა. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ არ ვამბობთ, რომ ჩვენ უცდომელები ვარ, და ვერც ვერავინ იტყვის ამას. მაგრამ ჩვენ მოწადინებული ვართ, რომ ვისწავლოთ. და ამ შემთხვევაში, როგორც მე ვფიქრობ, იმ გამოცდილ და გამოწაფულ რევოლიუციონურ ბრძოლაში მუშების და გლეხების დახმარებას, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, რამდენათ გაადვილებთ ჩვენს საერთო საქმეს. ეს თქვენ უნდა წარმოიდგინოთ. რამდენათ ეს წინ წასწევს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობას და მით რა თქმა უნდა ამხანაგებო, რომ ეს წინ წასწევს საბჭოთა აღმშენებლობას სხვა რესპუბლიკებშიაც (ტაში).

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ქართველი მენშევიკები და ბოლშევიკები ოდესმე სცილდებოდენ ხოლმე როგორც საქართველოს, ისე რუსეთის საზღვრებს და იქ ქმნიდენ და ეხმარებოდენ რევოლიუციონურ მოძრაობას და მოქმედებას, სხვა ჩამორჩენილ ქვეყნებში. დავასახელოთ თუ გინდ სპარსეთი. ბევრი თქვენგანი თუ იქ არ ყოფილა, იცით მაინც, რომ ქართველი ანუ გურჯის სოციალისტის სახელი იქ დარჩენილია დღესაც. და მე მგონია, რომ არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც, კომუნისტურ დროშას, დამონავებულ ხალხების განმანთავისუფლებელ დროშას ავაფრიალებთ და თუ არა ჩვენ პირადათ, ჩვენი მომავალი თაობა, ჩვენ-მიერ აღზრდილი შესძლებს ამას. ეს არ არის სიტყვა. ეს შესრულდება საქმით. და ეს იმისთვის, რომ ჩვენ გვაქვს ტრადიცია. ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ უკვე შექმნა ასეთი ტრადიცია და მით უმეტეს ამას შესძლებს კომუნისტური პარტია. რადგანაც სოც.-დემოკრატია მსოფლიოში უკვე ლეშათ გადაიქცა და პროლეტარული რევოლიუციის დროშა კი გადაეცა კომუნისტურ პარტიასა და კომუნისტურ ინტერნაციონალს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს დროშა ჩვენი შეერთებით კიდევ უფრო ისახელებს თავს. ამიტომ ამხანაგებო მე მხოლოდ გავათავებ იმით, რომ გეტყვით: ვაშა, ყველა თქვენს რევოლიუციონურ ნაბიჯებს და განსაკუთრებით იმ რევოლიუციონურ ნაბიჯს, რომელსაც თქვენ დღეს აკეთებთ (ტაში, მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს).

29 აგვისტოს სხდომა

ყრილობას თავმჯდომარეობს ამხ. სიხარულიძე. გრძელდება კამათი ეროვნული საკითხის შესახებ. ორატორები სცნობენ კომპარტიის მეთორმეტე ყრილობის მიერ გამომუშავებულ ზომებს ეროვნულ საკითხის გადასაჭრელად მიზანშეწონილად. სამანდატო კომისია აკეთებს მოხსენებას თავის მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ყრილობაზე წარმოდგენილია 12.000-დე მენშევიკური პარტიის წევრი.

30 აგვისტოს სხდომა

ამხ. ა. ფარნიევი აკეთებს მოხსენებას საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ და ადარებს მენშევიკური მთავრობის მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების მუშაობასთან. იწყება კამათი დაწვრილებითი ანგარიშები დაიბეჭდება.

ყოფ[illegible]. მენშევიკების და გვარდიელ[illegible]ის დეკლარაცია

საქართველოს სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მოღვაწეობამ ერთი მხრით და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ორ ნახევრის წლის მუშაობამ—მეორე მხრივ დაამტკიცა: 1) მენშევიკების დამოკიდებულება რუსეთის მუშათა ოქტომბრის რევოლიუციისადმი არარევოლიუციონური იყო, ვინაიდან საქართველოს მენშევიკურ მთავრობამ მის მაგიერ, რომ ძმური ხელი გაეწოდებინა რუსეთის პროლეტარიატისათვის, აქტიურად უწევდა დახმარებას დენიკინს ყუბანის ოლქში, დაღესტანში შამილის შვილის შვილს, ბაქოში მუსავატურ მთავრობას და სხვა ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონერებს და მემამულეებს, საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ეროვნულ მტრობას და შუღლს. მენშევიკური პარტიის ასეთი მოქმედება ობიექტიურად ბურჟუაზიის სასარგებლოთ იყო მიმართული. ამიტომ, ხელს ვიღებთ რა მენშევიკურ პარტიაში მოქმედებისაგან საქართველოში, ქალაქის სასაკლაოზე მომუშავე, ყოფილ მენშევიკურ პარტიის წევრთა საზოგადო კრება ვადგენთ შემდეგს: იმ დროს, როდესაც გააფთრებული რეაქცია ილაშქრებს და იწყებს ბრძოლას საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა მასების წინააღმდეგ, ჩვენ ავირჩიეთ სხვა გზა ერთიანი მუშური ფრონტის შესაქმნელათ, უერთდებით მესამე ინტერნაციონალს და ვგმობთ მეორე ყოფილ ინტერნაციონალს და მათი სულის ჩამდგმელ ბელადებს. გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას, გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.

1) ყანდარელი ალექსანდრე მუშაობდა პარტიაში 1920 წ. მუშა, 2) სილიმანოვი ვსევოლოდ მუშაობდა პარტიაში 1902 წ. მუშა, 3) ტერ-სტეფანოვი ისაკ მუშაობდა პარტიაში 1902 წ. ბეითალი, 4) მჭედლიშვილი ალექსი მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 5) აბრამაშვილი გიგო მუშაობდა პარტიაში 1902 წ. მუშა, 6) შუბაშვილი სიმონი მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 7) რუსიშვილი ვანო მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 8) ოსეკმაშვილი ალექსი მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 9) მეხაშიშვილი ტიტიკო მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 10) [illegible]შვილი შაქრო მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 11) ზერაგულაძე სიმონი მუშაობდა პარტიაში 1902 წ. მუშა, 12) სარიბეგოვი სერგო მუშაობდა პარტიაში 1905 წ. მუშა, 13) ჩერქეზიშვილი შაქრო მუშაობდა პარტიაში 1903 წ. მუშა, 14) ქობულაშვილი იოსები მუშაობდა პარტიაში 1905 წ. მუშა, 15) ჩულანოვი ნიკოლოზი მუშაობდა პარტიაში 1919 წლიდან მუშა.

ნავთლუღის შტაბის ყოფილი გვარდიელები.

1) ჩუბინიძე კოტე მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 2) არუთინოვი გალონ მუშაობდა პარტიაში 1919 წ. მუშა, 3) გაიხარაშვილი არჩილ მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 4) იორდანიშვილი გიორგი მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა. 5) მანთაშოვი სოსო მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 6) კაკალოვი აბელ მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 7) გეჯიაშვილი ალექსანდ. მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 8) ზურაბოვი დათა მუშაობდა პარტ. 1918 წ. მუშა, 9) მარანიძე ივანე მუშაობდა პარტ. 1918 წ. მუშა, 10) გიგილაშვილი დიმიტრი მუშაობდა პარტ. 1918 წ. მუშა, 11) აბაშიძე მიშა მუშაობდა პარტ. 1918 წ. მუშა, 12) კაკოლოვი ფირუზი მუშაობდა პარტ. 1918 წ. მუშა, 13) რევაზოვი ალექსანდრე მუშაობდა პარტ. 1918 წ. მუშა, 14) კოჩიტაშვილი გიორგი მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 15) გორახაშვილი ვასო მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 16) ქიტიაშვილი ანტონ მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 17) კოჩიტაშვილი კოლა მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 18) ათოიანცი დარჩო მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 19) ჯარეშნელოვი პეტრე მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 20) მოველიძე ლაზარე მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 21) ჯამასპოვი ილია მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 22) იორდანიშვილი შაქრო მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა, 23) როსტომოვი დარჩო მუშაობდა პარტიაში 1818 წ. მუშა, 24) მჭედლიშვილი დანან მუშაობდა პარტიაში 1918 წ. მუშა.

118

მოსკოვის საბჭოს პლენუმი

ამხ. ვლადიმიროვის მოხსენება ოქროს სესხის შესახებ.

მოსკოვი. 29 აგვისტო. მოსკოვის საბჭოს პლენუმზე ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილემ ვლადიმიროვმა აღნიშნა, რომ ოქროს სესხის ობლიგაციების ფართე გავრცელება ერთად ერთი საშვალებაა ემისიის, მოსპობის და მტკიცე მანეთზე გადასვლისათვის. მოსკოვის საბჭოს მიერ მიღებული რეზოლიუცია საჭიროთ თვლის სესხის ობლიგაციების კოლექტიურ ხელმოწერით ფართე გავრცელებას. 1) ყოველ წარმოებაში და დაწესებულებაში საერთო ხელფასის 10 პროც. გადახდილი უნდა იქნეს ობლიგაციებით. მისაღებ ხელფასის ან ჯამაგირის ობლიგაციებით, დაფარვის პროცენტი შეფარდებული უნდა იქნეს ჯამაგირის რაოდენობასთან 3 პროც. დაწყებული 30 პროც. დათავებული.

ამხ. რადეკი გერმანიის ამბების შესახებ.

მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. რადეკი, რომელიც დაწვრილებით შეეხო გერმანიის ამბებს. **რადეკმა აღნიშნა დემოკრატიის იდეის გაკოტრება გერმანელ მუშათა წრეებში და კომუნისტურ პარტიის ავტორიტეტის გაძლიერება, რომელიც მუშათა კლასის გარდა თანაგრძნობას იწვევს წვრილ ბურჟუაზიაშიაც.** შეეხო რა ფაშისტურ მასსებს, რადეკმა აღნიშნა, რომ მათ შორის ასი ათასობით იმყოფება ისეთი პირები, რომლებიც სოციალ-დემოკრატიის იმედის გაცრუებამ კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში გადაისროლა.

რადეკი უარს ამბობს გერმანელ მუშებისათვის რაიმე რჩევის მიცემაზე, რადგან ამას ის არალოიალობათ სთვლის, მაგრამ მას შეუძლია მოიყვანოს გილფერდინგის აზრი, რომელიც რამოდენიმე ხნის წინეთ ურჩევდა გერმანელ მუშებს მოეთხოვათ პროლეტარიატის დიქტატურა და სასტიკად მოქცეულიყვნენ რევოლიუციის დროს ყველა მოწინააღმდეგეს მიმართ.

15 მილიონიან გერმანელ პროლეტარიატისა და 9 მილიონ გაპროლეტარებულ წვრილ ბურჟუაზიის მომავალმა ბრძოლამ უნდა შეარყოს კაპიტალისტურ მსოფლიოს საფუძველი. მსოფლიო ბურჟუაზია, დაიხახავს რა გერმანიის რევოლიუციაში სიკვდილის მუქარას, შეეცდება შექმნას მთლიანი ფრონტი გერმანიის ბურჟუაზიასთან ერთად. თუ გერმანელი ფაშისტები შესძლებენ დაამარცხონ პროლეტარიატი, გერმანია გადაიქცევა პლაცდარმათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

გერმანიის პროლეტარიატის საქმე—ს. ს. რ. კავშირის პროლეტარიატის საქმეც არის.

რუსეთის მუშებმა და გლეხებმა ხმამაღლა უნდა განაცხადონ: ხელი შორს—გერმანიის რევოლიუციისაგან, **ჩვენ არ შეგვიძლია გავხდეთ გერმანიის რევოლიუციის მოღრჩობის უმოქმედო მაყურებლათ.**

გერმანიის რევოლიუციაზე საერთაშორისო კაპიტალის თავდასხმის დროს ჩვენ იძულებული ვიქნებით საბჭოთა რუსეთი დავიცვათ.

მოსკოვის საბჭოს მოწოდება.

მიღებულ რეზოლიუციაში მოსკოვის საბჭო მიესალმება გერმანიის მშრომელ მასების განმათავისუფლებელ ბრძოლას და მოუწოდებს რუსეთის მუშებს და გლეხებს მოიგონონ ის მსხვერპლი, რომელიც გაიღო გერმანიის მუშებმა ანტანტის მიერ რუსეთის ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ლოკაუტების საშიშროების წინ, რომლებსაც გერმანელი კაპიტალისტები ამზადებენ იმ განზრახვით, რომ პროვოკაციით ჩაითრიონ მუშები სისხლის მღვრელ შეტაკებებში, მოსკოვის საბჭო მოუწოდებს ს. ს. რ. კ-ის მუშებს და გლეხებს შეკრიბონ შეწირულებანი გერმანელ მუშების სასარგებლოთ. მოსკოვის საბჭო მშვიდობიანობის სახელით მოუწოდებს საბჭოთა მთავრობას იხმაროს მთელი ძალღონე რათა გერმანიის ამბების განვითარებამ არ გამოიწვიოს ახალი საერთაშორისო სისხლის ღვრა. რუსეთის მთელი მშრომელი მოსახლეობა გამზადებული უნდა იდგეს, რომ დაიცვას ს. ს. რ. კავშირი ახალ სისხლის მღვრელ ომში ჩათრევისაგან, რომელსაც თავდავიწყებით მაგრამ დაჟინებით ამზადებენ კაპიტალისტები და მილიტარისტები.

ილიჩის ჯანმრთელობა სწრაფათ უმჯობესდება.

სხდომის დასასრულს კამენევმა აღნიშნა ლენინის ჯანმრთელობის სწრაფი გაუმჯობესება, მანვე აღნიშნა რომ ილიჩის ავადმყოფობა მძიმეა და ხანგრძლივ ექიმობას მოითხოვს.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

საბჭოთა აღმშენებლობა.

მოსკოვი. 28 აგვისტო. დღეს იაპონიის დელეგაციამ დაათვალიერა გამოფენა და უცხოეთის განყოფილება და გაოცება გამოსთქვა საბჭოთა რუსეთის აღმშენებლობის გამო. დელეგაციამ გამოსთქვა რწმენა, რომ რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა სრულს საფუძველს იძლევა რუსეთ-იაპონიის ურთი-ერთობის აღსადგენად.

ჰიდრო-ჰაერო-სადგური გამოფენაზე.

მოსკოვი. 29 აგვისტო. მოხალისე ფლოტმა გამოფენაზე ააგო ჰიდროჰაეროსადგური, რომელიც სრულებით ახალი მოვლენაა რუსეთში. სადგური ნავარაუდევია 4 ჰიდრო-აეროპლანისათვის. მოაწყეს საცდელი ფრენა, რომელმაც აუარებელი ხალხი მოიზიდა. ეწყობა რეგულიარული ფრენა ფასიანი მგზავრებით.

იაპონელ მრეწველთა აზრი.

მოსკოვი. 29 აგვისტო. მოსკოვში ჩამოსული იაპონიის მრეწველთა დელეგაცია წარმომადგენელია იაპონიის მსხვილი ეკონომიური ცენტრებისა: ტოკიოსი, იოკაგამუსი, ოსაკას. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, დელეგაციის თავმჯდომარე იმასაკამ განაცხადა: „**სრულიად საკავშირო გამოფენა დიდს ინტერესს იწვევს იაპონიის ვაჭარ მრეწველთა შორის.** იაპონიის ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების მოწვევა გამოფენაზე დიდათ სასიხარულოა ჩვენთვის და სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ უგზოობის გამო საშუალება არა გვქონდა გამოფენაზე გამოგვეგზავნა ექსპონატები იაპონიის ყველა კუთხეებიდან და სავსებით გაგვეცნო საბჭოთა კავშირისათვის იაპონიის მრეწველობის მდგომარეობა. **გთხოვთ გადასცეთ რუსეთის ხალხს და საკავშირო მთავრობას ჩვენი გულწრფელი მადლობა და გულითადი სალამი.**

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

ხელის მოწერა ოქროს სესხზე.

სოხუმი. 29 აგვისტო. ოქროს მომგებიანი ობლიგაციები 3000 ოქროს მანეთისა გასაღდა მუშებს შორის.

რუსეთის ფართალი

სოხუმი. 29 აგვისტო. სახელმწიფო ბანკმა რუსეთიდან მიიღო ფართლეულის ახალი პარტია.

აჭარა

ერთიანი მომხმარებელთა საზოგადოება

ბათომი. 29 აგვისტო. ერთიანმა მომხმარებელთა საზოგადოებამ მიიღო დიდძალი რუსეთის ფართლეული, რომელიც გაიყიდება 10—15 პროც. ნაკლებ ბაზრის ფასებთან შედარებით. სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილებამ ერთიან მომხმარებელ საზოგადოებას 500 ჩერვონცის კრედიტი გაუხსნა.

ცენტროკავშირი.

ბათომი. 29 აგვისტო. ცენტროკავშირი საზღვარგარეთ გზავნის 5000 ფუთამდე თამბაქოს, რომელიც საქონელშია გაცვლილი. ცენტრიდან დიდძალ ფართლეულს მოელიან, მათ შორის ძაფს, ჭურჭელს და სხვ. ცენტრში გაიგზავნა 3 ვაგონი რქები და ჩლიქები. ფოთში გაიგზავნა დიდძალი საქონელი, უმეტესად რუსეთის ფართლეულობა. ჰამბურგსა და სტამბოლში გაიგზავნა სიმინდის დიდი პარტია.

სისადილო უმუშევართათვის.

ბათომი. 29 აგვისტო. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა შრომის ბირჟის ხარჯთაღრიცხვა ბათომის უფასო სასადილოსი 100 უმუშევრისათვის.

ლტოლვილთა გაგზავნა.

ბათომი. 19 აგვისტო. ივლისის 30-დან აგვისტოს 20-დე ბათომის რაიონის საევაკუაციო განყოფილებამ აღრიცხა 435 შემოხიზნული ლტოლვილი, რომლებიც ოსმალეთში გაისტუმრა თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში. ამ ჟამად ბათომის რაიონის საევაკუაციო განყოფილება რეგისტრაციას აწარმოებს ბათომში მყოფ ლტოლვილ აისორებისას, რომელთა რიცხვი 240

ბულია სია ლტოლვილ ბერძნებისა, რომლებიც საბერძნეთში უნდა გაიგზავნონ. ბათომის რაიონის საევაკუაციო განყოფილება შეუდგა პოლონელ ლტოლვილთა და სამხედრო ტყვეთა რეგისტრაციას. რეგისტრაცია 1 სექტემბრამდე გასტანს.

ექიმების რეგისტრაცია.

ბათომი. 29 აგვისტო. მედიკო-სანიტარულ მუშაკთა კავშირმა გამოაცხადა ყველა ექიმების რეგისტრაცია, მათი ნივთიერი მდგომარეობის გამოსარკვევად.

სახელმწიფო ენა.

ბათომი. 27 აგვისტო. აჭარის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის განკარგულებით, შინაგან საქმეთა კომისარიატმა მიწერილობა დაუგზავნა მილიციის უფროსებს, რათა ზომები მიიღონ, რომ მილიციაში მთელი საქმის წარმოება ქართულ ენაზე ხდებოდეს. ამ განკარგულების დამრღვევნი რევტრიბუნალში მიეცემიან.

აჭარისწყალის მაზრის ლიკვიდაციის გამო.

ბათომი. 27 აგვისტო. აჭარისწყალის მოქალაქეთა საერთო ყრილობამ დაადგინა, სთხოვონ აჭარის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, გადასინჯის აჭარის წყალის მაზრის გაუქმების საკითხი და კვლავ აღადგინოს იგი, რადგანაც სატელეგრაფო სადგურიდან მისი დაშორება საშუალებას არ იძლევა მჭიდრო კავშირი იქონიოს კომისარიატთან და თავის დროზე გადასწყვიტოს ხოლმე კარზე მომდგარი საჭიროება.

სომხეთი.

სომხეთის ატლასი.

ერევანი. 30 აგვისტო. სომხეთის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ამზადებს სომხეთის ატლასს, რომელშიაც მოთავსებული იქნება 150—200-დე დიაგრამა, საბჭოთა სომხეთის ყოველი დარგის მაჩვენებელი: ეროვნება, ტერიტორია, განათლება, მოსახლეობის მოძრაობა, ჰიგიენა, ვაჭრობა, მრეწველობა, მიწათ-მოქმედება და სხ. ამას გარდა ატლასში მოთავსდება სომხეთის რუქა 20 დიაგრამით და 1922 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის დამუშავებული მასალები.

სომხეთის რუკა.

ერევანი. 30 აგვისტო. სომხეთის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ გამოსცა სომხეთის რუქა ახალი ადმინისტრატიული დანაწილების აღნიშვნით.

ცენტრალური სასტატისტიკო სამმართველო დასაბეჭდათ აძლევს სტამბაში სომხეთის დასახლებულ ადგილების დაწვრილებითი ნუსხას. დამთავრებულია და დასაბეჭდათ გადაიცემა ცნობები უნივერსიტეტისა და საპოლიტეხნიკო სკოლების შესახებ.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

ერევანი. 30 აგვისტო. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის მოახლოვების გამო, გუმბრის კომუნისტურმა ახალგაზრდობამ სოფლებში დაგზავნა კომ. ახალგ. ჯგუფი, რომელიც სოფლად წარმოდგენებს მართავდა.

გლეხობა დიდის თანაგრძობით შეხვდა კომუნისტურ ახალგაზრდობას.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს, 31 აგვისტოს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დაისვას საკითხი **ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის შესახებ.** თეზისები გაზეთებშია მოთავსებული.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

ქ. ჭიათურა.

ქ. ჭიათურაში 17 აგვისტოს შესდგა შორაპნის სამაზრო პარტკომის პლენუმის სხდომა. გარდა პარტკომის წევრებისა, დაესწრენ აგრეთვე პ. გ. ამხანაგებიც.

პირველათ მოხსენება გააკეთა შორაპნის სამაზრო პარტკომის პრეზიდიუმის უკანასკნელი ერთი თვის მუშაობის შესახებ პ. მ. მდივანმა ამხ. ა. ქავთარაძემ. მან აღნიშნა რა პრეზიდიუმის მუშაობა, ხაზი გაუსვა იმ მოვლენას, რომ მის ინტენსიურ მუშაობას ხელს უშლიდა საჭირო საქმეების გამო პრეზიდიუმის წევრების მაზრაში არ ყოფნა.

ნაწილობრივ ჩატარდა აგრეთვე უპარტიო გლეხთა კონფერენციები, წითელ საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ შეკრებილი რამოდენიმე ასი მილიონი მანეთი გადიგზავნა დანიშნულებისამებრ და სხვ.

პლენუმმა, იქონია რა მსჯელობა პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, სცნო მისი მუშაობა დამაკმაყოფილებლად. ხოლო უპარტიო გლეხთა კონფერენციების შესახებ აღნიშნა, რომ ვინაიდან სარაიონო კონფერენციები ვერ აღწევენ ისეთ შედეგებს, რომელსაც მოელოდა სამპარტკომი, ამიტომ, სადაც ჯერ კიდევ ჩაუტარებელია, მოწყობილ იქნეს კონფერენციები ფართო მასშტაბით თემის ფარგლებში.

შემდეგ პლენუმის მიერ მოხდა რაიკომების შემადგენლობის გადასინჯვა და მან საჭიროდ დაინახა მუშაობის გამოჯანსაღებისათვის ამხანაგების გადაჯგუფ-გადმოჯგუფება.

აგრეთვე დიდი ყურადღება მიაქცია საპასუხისმგებლო ადგილებზე პარტიულ ამხანაგების დანიშვნასაც. ამას გარდა პლენუმმა მოისმინა წერილობითი მოხსენება სამპროფბიუროს და კავშირების მუშაობის შესახებ, რაც ჩათვალა დამაკმაყოფილებლად. მანვე დაადგინა წითელი საჰაერო ფლოტის მუდმივი დამხმარე საზოგადოების დაარსება და დაავალა რაიონების წარმომადგენლებს მისი დაჩქარებით ცხოვრებაში გატარება.

სხვა მრავალ საკითხების გარჩევასთან ერთად, მოხდა პარტიაში მისაღებ პირების მასალების გადასინჯვაც და 13 ამხანაგი დამტკიცებულ იქნა პარტიის კანდიდატათ.

მუშათა კლუბში ერთიან პარტიულ დღეს, 23 აგვისტოს შესდგა შავი ქვის ვაგონის მტვირთველ მუშების კომუჯრედის ღია სხდომა. მას დაესწრო 100 მეტი მუშა.

კრებაზე პირველად მოხსენებით გამოვიდა სამპარტკომის მიერ ამ კომუჯრედზე მიმაგრებული ამხანაგი—ვ. სუფსისპირელი. მან ვრცელი მოხსენება გააკეთა სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის და გლეხთა საურთიერთო კომიტეტების შექმნის შესახებ.

უმთავრესი ყურადღება მის მიერ მიპყრობილ იქნა საკავშირე სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც ამ ახლო ხანში დიდი ზეიმით გაიხსნა მოსკოვში და რომელსაც ჯერჯერობით დაესწრო 400 ექსკურსანტი, რომელთა უმრავლესობა გლეხობაა. მომხსენებელმა აღნიშნა ამ გამოფენის მრავალმხრივი მნიშვნელობა. მან სთქვა, რომ ეს პირველი მშრომელთა გამოფენა არის საერთაშორისო დემონსტრაცია და სოც. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ეკონომიური აღდგენის საწინდარიც.

მომხსენებელმა დასწრეთ გააცნო აგრეთვე საზოგადოებრივ საურთიერთო კომიტეტების შექმნის საჭიროება და აღნიშნა, რომ ეს მალამოთ მოეფინება გაჭირვებაში ჩავარდნილ გლეხკაცობას.

ამის შემდეგ გაირჩა მიმდინარე საკითხები. საწევრო გადასახადის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ სასტიკი გაფრთხილება მიეცემა იმ ამხანაგებს, რომელთაც არ შემოუტანიათ საწევრო გადასახადი. სამხედრო ვარჯიშობის გარშემო კი დაადგინა, მოეწყოს ასეთი ერთიან პარტიულ დღეს, ხუთშაბათს 4-6 6-მდი, რის შემდეგაც გაიმართება პარტიული კრება.

დაბოლოს კრების მიერ განხილულ იქნა ანკეტები პარტიაში ახლად მისაღებ ამხანაგების. კრებაზე დამსწრე ამხანაგები სცდილობდენ კომპარტიაში არ შემოპარულიყო უღირსი ამხანაგები. შეკითხვებით ირკვეოდა პარტიაში მისაღებთა პიროვნება და მათი წარსული.

აი ასეთი ცოცხალი შეკითხვები კი პარტიას აცდენს უღირს ელემენტებს.

ვიოლეტა.

ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მოისმინა ამხ. ივანიანის მოხსენება მისი მოსკოვში მგზავრობის შესახებ და დაადგინა არჩეულ იქნეს განსაკუთრებული კომისია სახკომის ს. ს. რ. კ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოთ გადაკეთების გეგმის გამოსამუშავებლათ; ამავე კომისიას დაევალა წარმოადგინოს საჩქაროთ სამმართველოს შტატი ს. ს. რ. კ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში წარსადგენათ.

—

იმავე კოლეგიამ დაავალა განსაკუთრებულ კომისიას შეუფარდოს ა. კ. ს. ფ. ს. რ. დეკრეტები საგარეო ვაჭრობის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის შრომისა და თავდაცვის საბჭოს და რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებს და წარმოადგინოს სათანადო მოხსენება.

—

გადაწყვეტილია ლიცენზიების განყოფილებასთან დაარსდეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ევალება საჩქაროთ შეუდგეს ექსპორტო-საიმპორტო გეგმის გამომუშავებას.

—

გადაწყვეტილია დაევალოს განსაკუთრებულ კომისიას საჩქაროთ წარმოადგინოს მოსაზრებანი იმ საქონლების ნომენკლატურის გაფართოვების შესახებ, რომელნიც გატანილი უნდა იქნენ ამიერ-კავკასიიდან, და აგრეთვე სპარსეთიდან თავისუფლათ შემოტანილ საქონლის შესახებ; შედგენილ იქნეს საბჭოთა წარმოების საქონლების სია, რომელნიც გატანილი უნდა იქნენ სპარსეთში სალიცენზიო წესით. იმავე კომისიას დაევალა წარმოადგინოს მოსაზრებანი საექსპორტო პრემიების დანიშვნის შესახებ. საბჭოთა წარმოების საქონლებზე, რომელნიც ვერ უძლებენ უცხო კონკურენციას სპარსეთში და წარმოადგინოს მასალები რკინის გზის ტარიფების და საზღვაო ფრახტის შემცირების შესახებ სპარსეთში გასატან და სპარსეთიდან შემოსატან საქონლებზე.

—

უწევს რა ანგარიშს სპარსეთის ბაზრის განსაკუთრებულ ხასიათს და მის მნიშვნელობას საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, კოლეგიამ დაადგინა შეიმუშავოს განსაკუთრებული საგეგმო წესდება შერეულ საზოგადოებათათვის, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სპარსეთის და ოსმალეთის კაპიტალმა.

—

გადაწყვეტილია საჩქაროთ გაიგზავნოს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. ამირალოვი სპარსეთში, და შემდეგ ოსმალეთში სპარსეთისა და ოსმალეთის ვაჭრებთან მოსალაპარაკებლად შერეულ აქციონერულ საზოგადოებათა, ამხანაგობათა და სხვათა მოწყობის შესახებ, სპარსეთისა და ოსმალეთის კაპიტალის მონაწილეობით, და აგრეთვე იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ შესაძლებელია გახსნილ იქნეს იქ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს კანტორები.

—

ეკონომიურ განყოფილებას დაევალა შუამდგომლობით შევიდეს ს.ს.რ.კ. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატში, რათა გამოცხადებულ იქნეს ბაქოს ბაზრობის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

საქართველოს ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ განყოფილებაში.

(მუშაობის მიმოხილვა 1923 წლის პირველ ნახევარის განმავლობაში).

მიმდინარე წლის პირველ ნახევრის ბოლოსთვის პოლიგრაფიული განყოფილება აერთიანებდა, გარდა № 2 სტამბისა, რომელიც „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციას გადაეცა, ექვს სამრეწველო წარმოებას, სახელდობრ 4 სტამბას, ერთ ლიტოგრაფიას და ერთ ასოების ჩამომსხმელ სახელოსნოს (ყველა ტფილისშია). თუ გადავხედავთ ყველა წარმოებების მუშაობას ცალცალკე, დავინახავთ, რომ მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში (იანვარი—თებერვალი—მარტი) სტამბებში დამზადებულია 7.378.346 „ოტისკი“, მეორე მეოთხედში კი 9 781.445, რაც ადიდებს ნაყოფიერებას პირველ მეოთხედთან შედარებით 44 პროც.

ლიტოგრაფიაში გაშვებულ იქნა ერთ და მეტ საღებავიანი ოზმები—პირველ მეოთხედში 606, მეორეში კი—1604, ე. ი. მეორე მეოთხედში ნაყოფიერება გაიზარდა 165 პროც. ასოების ჩამომსხმელ სახელოსნოში დამზადებულ იქნა შრიფტები და ბირდიურები (ფუთებში)—პირველ მეოთხედში 201 ფ. და მეორეში—269 ფ. (ნაყოფიერების გადიდება 34 პროც.).

სტამბების ნაყოფიერების გადიდება გამოწვეულია იმ მანქანების თანდათანობითი ამუშავებით, რომელიც დადგმული იქნენ წარმოებების კონცენტრაციის შემდეგ. იგივე ითქმის ლიტოგრაფიაზეც, ისეთ წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს სამი ერთ და იმავე ტიპის წარმოების კონცენტრაციას.

განყოფილების ყველა წარმოებებში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ითვლებოდენ: მწარმოებელი მუშები—1317, არა მწარმოებელი—47 და მოსამსახურეები—47, სულ მუშები და მოსამსახურეები შეადგენდენ 1421 კაცს. განყოფილების ღონისძიებათაგან, რომელნიც მიმართული იყვენ ბეჭვდის საქმის გაიაფებისა, გაუმჯობესებისა, ტეხნიკურ მეთვალყურეობისაკენ და სხვა, აღსანიშნავია შემდეგი: ტეხნიკურ კონტროლიორის თანამდებობის დაარსება, რომელიც თვალყურს ადევნებს წარმოებების სწორ მუშაობას ტეხნიკურის მხრივ. სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული მასალების ღირსების გაუმჯობესებას, რისთვისაც ამ უკანასკნელ დროს ბეჭვდა შესამჩნევათ გაუმჯობესდა. სცნობს რა ბეჭდვის საქმის გაიაფების რადიკალურ საშუალებათ წარმოების მექანიზაციას, განყოფილებამ ამ მიმართულებითაც გადადგა შესაფერი ნაბიჯები.

ნაყოფიერების გადიდების მიზნით განყოფილებას განზრახვა აქვს გახსნას ახალი სტამბა, „ზარია ვოსტოკა“-სათვის გადაცემულ სტამბა № 2 მაგიერათ.

დასასრულ, განყოფილებას განზრახული აქვს პროფესიონალურ—ტეხნიკურ სკოლის გახსნა, სადაც მომზადებული იქნება პოლიგრაფიულ საქმის მუშაკების კადრი.

მოქალაქე ი. ი. ივანოვის საქმე

ღია წერილი მოქ. ილია ივანოვს

(„პასუხის“ საპასუხოდ).

ილია ივანესძევ! მოუთმენლად მოველოდი თქვენს პასუხს, რომელსაც ბოლოს ვეღირსე, მაგრამ მის მაგიერ რომ გაზეთის ფურცლებზე დაგერღვიათ ჩემ მიერ წამოყენებული ბრალდებანი—თქვენ სათანადო ორგანოებს მიმართეთ რევიზიის მოსახდენათ, როგორც, თითქოს, მართალმა და დაჩაგრულმა. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით რევიზიის დანიშვნას იმ იმედით, რომ იგი გულდასმით, პირუთვნელად შეუდგება წამოყენებულ ბრალდებათა გამოკვლევას, რითაც დამტკიცდება, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მოეპოება მოხელენი, რომელთა პურ-ღვინით და ქეიფით მოსყიდვა არ შეიძლება. მხოლოდ რევიზია, ისეთი ზერელე, როგორსაც თქვენ ჩვეული ხართ დღემდეც ბ. ილია, თქვენ საქმეთა გამოსაკვლევათ—დაუშვებელია. ყოველ მხრივ თქვენ საქმეთა გამოსაძიებლათ უნდა იქნეს დანიშნული განსაკუთრებული საგამომძიებლო შერეული კომისია: ცეკასი, პრესის, აღმასკომის, ჩეკასი—ინსპექციის და რკინის გზების, რომელ კომისიაშიაც უნდა იქნეს მიწვეული ორი სამი საქმეში გამოცდილი გარეშე მოანგარიშენი თქვენი ძ. სატყეო განყოფილების ანგარიშთა ყოველმხრივ გასაცნობათ. დანიშნული კომისია, მგონი ასეთად ვერ უნდა ჩაითვალოს. სხვა კომისიის წევრთა შესახებ ვერას ვიტყვით, მაგრამ ამ კომისიაში სატყეო განყოფილების წარმომადგენლის დანიშვნა ყოვლად დაუშვებელია, რადგანაც უკანასკნელმა თქვენი ამბავი ურევიზიოდაც ჩემზე კარგათ და მეტადაც იცის, მაგრამ განზრახ მალავს—ამიტომ სატყეო განყოფილება რომ თავის ადგილზე ყოფილიყო, მისი ზნეობრივი მოვალეობა იყო უარი ეთქვა კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე. მაგრამ,—ილია ივანესძევ, თქვენი გამტყუნება ეს ხომ უკანასკნელის გამტყუნება იქნებოდა, თქვენ მარტო არა ხართ: თქვენთან მრავალი ივანოვებია და სწორედ ეს უნდა იქნეს გამოქექილი. და რომ ეს უკანასკნელი არ მოხდეს, სწორედ იმიტომ დაინიშნა ალბად ავალიანი ეხლანდელი კომისიის წევრათ. წინეთ განა არ ყოფილა ეს ვაჟბატონი თქვენთან უბანში სარევიზიოთ? იყო, მაგრამ აღმოჩენის მაგიერ—ბევრი ქეიფის შემდეგ მხოლოდ ხოტბა შეგასხათ.

მოვითხოვ ავალიანის კომისიიდან გადაყენებას და აი რატომ! ა. წ. 17 იანვარს ჩემ მიერ დასავლეთის რევტრიბუნალში შეტანილ თქვენ მოქმედებათა შესახებ საჩივარის მერვე მუხლში შავით თეთრზე დაწერილია იმ სადილ ვახშმებზე, რომელიც თქვენ გაუმართეთ სარევიზიო კომისიის ახლანდელ წევრს ავალიანს და ინჟინერ კრანცს—ხარის თვალზე ტყიბულში და სხვაგან გასულ წლის ოქტომბერში; ხოლო გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლათ კი წარმოგვიდგინეთ თქვენი აგენტის გოლშადის მიერ საავანსო ანგარიშები №№ 2 და 10 რომელი ანგარიშებიც აღნიშნულია თქვენს საქმეთა საშემოსავლო წიგნში ნომრებით 6030 და 7033—17 ოქტომბერი 22 წელი. ნათქვამია:

1. уплочено духанщику Тквибули Михаилу Кбиладзе 13 октября—за шашлык хлеб и прочие продукты для угощения комисии; всего на сумму 1 065 000 руб. При уплате присутствовалъ Уполкутобласткома Попхадзе, 2) по счету № 2 отъ 14 октября за доставку продуктовъ для комисий изъ Тквибули—в Хариствали уплочено Сергею Бочоришвили 400,000 рублей и 3) Тому же Кбиладзе уплочены 440,000 руб. 8 октября—за „Солидныя“, хлебъ, шашлыкъ и проч.—тоже утвержден темъ же Попхадзе. ეს მარტო ხარის თვალზე, როდინაულში, ფარნალში და ქუთაისში ხომ სხვა იყო? და ყველა ამას შემდეგ რა რევიზორობის გაწევა შეუძლია, ბ. ილიავ, ავალიანს თქვენი მომხრეობის მეტი?

მასთან ავალიანი 1921 წელში მსახურებდა საჩხერის რაიონის უფროსის ასტანინის თანაშემწედ და მოადგილედ—და რომელ რაიონის მაშინდელ უკანონო მოქმედებათა შესახებ დაინიშნა, ჩემის მოხსენების თანახმად, საგამომძიებლო კომისია, რომელმაც ყველაფერში იცნო ხსენებული რაიონის ადმინისტრაცია, მათ რიცხვში ავალიანიც დამნაშავეთ. ამას შემდეგ მოჰყვა მათი ყველასი სამსახურიდან გადაყენება.

ასეა ნათქვამი ამ საგანზე შედგენილ ოქმში 4 სექტემბერს—1921 წელს № 931938.

„Просить администрацію района убрать целикомъ, заменивъ другимъ более соответствующимъ“ т. к. „комисия констатируетъ фактъ: не умелый подход к делу со стороны администрации, потерявшій доверіе среди рабочихъ, халатное отношеніе к делу, а также неспособность справится с заданіями“ и др. აი ავალიანის სრული დახასიათება—შვიდი კაცისაგან შემდგარ შერეულ კომისიის მიერ, რომლის თავმჯდომარეთაც იყო მაშინდელი სატყეო დარგის უფროსი სპირიდონოვი და ნუთუ ესეც ცილის წამება, ბ. ილიავ? არა ეს მართალია, რის დასამტკიცებლათაც უდგენ ამასთანავე რედაქციას ხსენებულ ოქმის პირს,*) და თუ ამის შემდეგ შეიძლება ავალიანს მიენდოს თქვენი საქმის გამოძიება თქვენვე გვიპასუხეთ გულახდილათ, ბ-ნო ილია ივანესძევ!

თქვენი წერილი არსებითად, გარდა გარევნული ფორმისა, არაფერს არ წარმოადგენს საბუთიანს.

თქვენ ამბობთ, რომ გაზეთ „კომუნისტი“-ს №№ 260 და 17 წამოყენებულ ბრალდებათა გასაბათილებლად ჩემ მიერ წარედგინა დაწვრილებითი მასალა (ალბათ ყალბი) საერთო კრებას და სხვ. ბ. ივანოვო თქვენი გასამართლებელი საბუთები რომ გქონებოდათ, ეს იმავე გაზეთში უნდა დაგებეჭდათ, სადაც თქვენ წინააღმდეგ ბრალდებანი იყო გამოქვეყნებული და გარდა ამისა არ შეიძლება გვაცნობოთ დაწვრილებით იმ კრების შესახებ სახელი, რომელმაც დაადასტურა თქვენი მოხსენება.

საინტერესოა ვიცოდეთ რა ქვენა აზრმა გაგირბინათ თავში, როცა სწერთ, რომ მიქაშავიძე ჩემი რაიონის რევიზორი იყოვო და სხვ. მერე რა გინდათ ამითი სთქვათ? ალბათ ის, რომ თუ ასე გვიან აღვიმაღლე ხმა, შენი ამხანაგი ვყოფილვარ წინეთ.

თუ ასე აზროვნებთ, მაშ მეც პასუხისგებაში უნდა ვიქნე თქვენთან ერთად მიცემული. თქვენ აი სწორეთ ჩემს რევიზორობაზე ამიტომ დაილაპარაკეთ და ისროლეთ ანკესი, რომელზეც თქვენვე წამოეგებით.

დიაღ, თქვენ რაიონში რომ ვიყავი რევიზორად—სწორედ ამიტომ ვიცი თქვენი ამბავი. თუმცა მარტო მე კი არა—აჯამეთის მწყემსებმაც კი იციან, თუ ვინ ბრძანდებით თქვენ. მართალია აქტებში და თქვენს დოკუმენტებში მე არ აღმინუსხავს რა, მაგრამ ამის თქმით რის დამტკიცება გწადიათ? მე ვადასტურებდი ფაქტს—იმ დოკუმენტში მოხსენებულსა, რომელსაც ვიცნობ, მაგრამ ცოტაა განა ისეთი დოკუმენტებიც, რომელსაც თქვენ ჩემს გარეშე აყენებდით და ჩუმად ატარებდით? თქვენ ამგვარ საქმეში დამხმარე ბლომად გყავთ. რა იცით თქვენ, ბ. ილიავ, რომ მე თქვენ საგმირო საქმეთა შესახებ არას ვამბობდი? მე სიტყვიერადაც არა ერთ გზობით მომიხსენებია თქვენ ბოროტებათა შესახებ, სადაც ჯერ არს და წერილობითაც, რის დასამტკიცებლად ვადგენ რედაქციაში ამასთანავე ჩემი მოხსენებათა პირს ამ საგანზე გასული წლის მარიამობისთვეში შედგენილს. მე თქვენი რევიზორი ვიყავი, მგონი და არა ხელქვეითი, რისთვისაც საჭიროება არ იყო ანგარიში მეძლია თქვენთვის ჩემს მოქმედებაში. თუ დღეს გამოვედი პრესაში და ხმა საჯაროდ აღვიმაღლე,—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ფართე საზოგადოებამ მინდა იცოდეს თქვენი ამბავი და ერთხელ და სამუდამოთ აღიკვეთოს თქვენ და თქვენ მზგავსთა მოქმედებანი. ამის ხელის შეწყობა თვითეული ჩვენგანის მოვალეობაა.

ცილისწამებაა, ილია ივანესძევ, ჩემ ღია წერილში წამოყენებული ბრალდებანი? აბა ჩაიხედეთ თქვენს გულში, ან წაიკითხეთ გაზეთი „კომუნისტი“-ს № 193 გამოქვეყნებული ამხან. ჭუნბარელ და საზანოელ გლეხთა გულწრფელი განცხადებანი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ თქვენს საქმეზე პოლემიკას ამბავს ჯერ ყველას ყურამდე არ მიუღწევია თორემ—ერთი კი არა, სამი გაზეთიც არ ეყოფა თქვენ ბოროტებათა აღნუსხვას. არ არის ამიერ-კავკასიაში კუთხე: ბაქო—ბათომამდე, ზედა სვანეთ-აბასთუმან-ახალციხემდე, რომ თქვენ არ გელიტათ ხალხი—და როცა ერთ ადგილს აართმევთ ხოლმე ქაფს, მეორე ადგილზე გადადიხართ. თუ თქვენ ასეთი არა ხართ, გადასინჯეთ „ზაკცეტეპოში“ შემოსული თელავის, წნორის, კასპის გრაკალის, ქარელის გლეხთა საჩივრები, რომელთაც თქვენ და თქვენმა დამქაშებმა მოსტაცეთ კაკლის მორები და ჩააბარეთ „ზაკცეტეპოს“. რატომ არ მიეცი მათ ხვედრი ფული? არ გქონდათ თუ ამ მორების საფასურში 1920 წელში ავანსად აღებული 136 მილიონი მანეთი. იქნებ ესეც ცილისწამებაა?

მე მოვითხოვ „ზაკცეტეპოს“-გან გამოაქვეყნოს გლეხობის ყველა საჩივარები ივანოვის შესახებ და აგრეთვე ამ საქმის ვითარება, რომელსაც ის რაღაც გულგრილად ეკიდება. უნდა გადახდეს უსაცილოდ ივანოვს მასზედ დარჩენილი მუშების ფული დღევანდელი კურსით და სარგებლით. მე თქვენ გეტყვით ამის შეძლება არ ჰქონდეს მას!

პრესაში პოლემიკის წარმოება—უბრალო დროს დაკარგვათ მიგაჩნიათ ბ. ილიავ. მართალია საქმიანი მუშაკის გაცდენა ცოდვაა, როგორც სწერთ, მაგრამ ამის დაწერაზე თქვენც გაგეცინებოდათ. მიგიხვდით ამით, რაც გინდოდათ გეთქვათ, მუდმივი ლოთობისათვის თუ გაქვთ დრო წერისთვის კი რატომ არა? იქნებ არ გიყვართ წერა! აბა გადაათვალიერეთ თქვენი მოხსენებანი და პროექტები, რომლითაც თქვენ უწნელებდით და უბნელებთ თვალს ზოგიერთებს ძველად და ახლა, რკინის გზების სამმართველოში და დარწმუნდებით. მე ვიცი ჩემი წერილის საპასუხოთ ბევრი წერეთ, თქვენც და თქვენმა დამქაშებმაც, ფედერალისტი დავით გოცირიძეც კი დაიქირავეთ, რომელიც მთელი კვირა ეწვალა, (რა გამოვართვათ ნეტა ამ ვაჟბატონმა გასამრჯელო?) მაგრამ არაფერი გამოგივიდათ. მე კი ვფიქრობდი, რომ გოცირიძეს მეტი შეეძლო, მაგრამ ჩაგივარდათ კოვზი ნაცარში.

ბ-ნო ილია! მე შეგპირდით თქვენი პასუხის შემდეგ კიდევ დამატებით ფართო საზოგადოების გასაგებად და სათანადო მსჯავრის დასადებათ თქვენ საგმირო საქმეთა გამომჟღავნებას, ამიტომ, თუმც თქვენ დრო არა გაქვთ, მაგრამ მაინც იქნება შეიძლოთ ჩემი წერილების გადაკითხვა. მე ვეცდები დოკუმენტალურად დავადასტურო ჩემი ღია წერილებში წამოყენებული ბრალდებანი თქვენს წინააღმდეგ. დეე იცოდეს ყველამ, არის თუ რა ცილისწამება. ამ ბრალდებებში. მე ხელთ მაქვს თქვენი და თქვენი „ძმა ბიჭების“ ნაწერები და შემდეგ გამოვამჟღავნებ იმ თქვენ ბოროტმოქმედებას, რომელთა დამტკიცებას მოწმების ჩვენებით შევსძლებ. ამით რედაქციასაც არ შევავიწროებთ, და კომისიასაც გაუადვილდება კვლევა ძიება. მაშ, ბ. ივანოვო, ჯერ ეს ვიკმაროთ. შემდეგისთვის სხვა იქნება.

თქვენი კოწია მიქაშავიძე.

---

*) ოქმის პირი ჩვენ ხელთ არის.

რ ე დ.

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(30 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	43,200
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	3,600
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	42,650
ჩეკები —	41,700
დოლარები ეფექტ. —	9000
„ ჩეკები —	9200
ოსმ. ქაღ. ლირა	6050

მუშკოპის ფასები.

(30 აგვისტო)

პური გირ.—120 ათ. ნატეხი შაქარი—2.400 ათ. ფხვნილი შაქარი—1.850 ათ. ძროხის ხორცი—650. თუშური ყველი 1,500. საპონი „ტოლლე“—1,400 ბრინჯი—450 მაკარონი—600, ვერმიშელი—575. კარტოფილი—75. კომბოსტო—175. ბადრიჯანი—30 ათ. ცალი. პამიდორი 100 ათ. ქვა მარილი—180. კვერცხი 100 ც.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(30 აგვისტო).

პური 1 ხარ.—350, პური 2 ხარ.—175—200 ძროხის ხორცი 500—700 ცხვრის ხორცი—800—900.—1 მილ. ფქვილი 1 ხარ.—400. ნატეხი შაქარი—2,600 ათ., ფხვნილი შაქარი—2.100 ათ. საპონი „ტოლლე“ 1.600—1700 მარმარილოს საპონი—1.300—1400 ერბო 3000 კარაქი—2.500 ათ. მზესუმზირას ზეთი—1,500. კარტოფილი—100 კომბოსტო 200 პამიდორი—100—200. კვერცხები 10 ც.—850.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(30 აგვისტო)

ფხვნილი შაქარი. გაზის მილები ინგლისური თეთრი თუნუქი. გამომწვარი აგურები ფანჯრის მინები. ბოთლები. კაუსტიური სოდა. საპონი „მამალი“ ქაღალდი და კარტონები. ნახიჩევანის ქვა მარილი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(30 აგვისტო)

ფიჭვის ფიცრები და სვეტები. ნარმა. უმაღლესი ხარისხის ფქვილი. ცემენტი პორტლანდის. ქვა მარილი. ცეილონის ჩაი. ყუბანის ხორბალი. კარტონები №№ 60, 70 და 80 კალა. კართოფილი. ქერი. მზესუმზირას ზეთი.

ოფიციალური გარიგებანი.

(30 აგვისტო)

პორტლანდის ცემენტი—1,35 ჩერვ. ბოჭკა. ზემის მინები—3,0 ჩერვ ყუთი. გლინოზემი—0,4 ჩერვ. ფუთი წმინდა წონა.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

(30 აგვისტო).

ხორბლისა, პურის პროდუქტებისა და ფართლეულობის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა. დანარჩენ ბაზრებზე უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(30 აგვისტო)

ამ უკანასკნელ დროის განმავლობაში დამყარებული განწყობილება არ იცვლება. დიდი მოთხოვნილებაა ჩერვონცებზე და სხვა ვალიუტასთან შედარებით მას პირველი ადგილი უჭირავს.

ქრონიკა

— **ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე.** ქალ. აღმასკომმა, საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ახალგაზრდათა დღის, 2 სექტემბრის დღესასწაულის ჩასატარებლათ გადასცა ერთდროული დახმარების სახით 300 მილ. მან.

— **სამოსწავლო გადასახადი.** ქალ. აღმასკომმა დაავალა განათლების განყოფილებას აღძრას სათანადო შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რათა შემოღებულ იქნას სამოსწავლო გადასახადი შრომის სკოლებში პირველ 4 წლის კურსის ზევით.

— **ავადმყოფი ბავშვები.** ქალ. აღმასკომმა წინადადება მისცა განათ. განყოფილებას აღძრას შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა ავადმყოფი ბავშვები გადარიცხულ იქნენ კომისარიატთან არსებულ სპეციალურ ბავშვთა სახლში.

— **სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.** ა.—კ. შრ. სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა დადგენილება, რომლის ძალით ყველა დამქირავებელი ვალდებულია სამსახურიდან დასათხოვი მოსამსახურე გააფრთხილოს ორი კვირით ადრე დათხოვნამდე.

— **შრომის ორგანოთა დათვალიერება.** შრომის კომისრის მოადგილე ამხ. არჩილ მიქაძე ამ დღეებში მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში შრომის ორგანოთა დასათვალიერებლათ.

— **რედაქციებში და საგამომცემლო დაწესებულებებში მომუშავეთა რწმუნებულების კრება.** ოთხშაბათს, 20 აგვისტოს მუშათა სასახლეში შესდგა აღნიშნულ რწმუნებულების კრება. კრებას თავმჯდომარეობდა გიულმანი. კრებაზე გაკეთებულ იქნა მოხსენებები ყველა წარმომადგენლების მიერ ადგილობრივ მდგომარეობათა შესახებ, რის შემდეგ კრებამ დაადგინა მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა რედაქციებისა და გამომცემლობათა ადმინისტრაციები ასრულებდენ შრომის დაცვის კანონებს და ბეჭდითი მუშაკთა კავშირის დადგენილებებს.

— **დახმარება უმუშევრებს.** სოც. დაზღვევის სამმართველომ შეიმუშავა ახალი დადგენილება უმუშევართა დახმარების შესახებ.

— **დაზღვევის საპროცენტო ანარიცხები.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა მიიღოს გადამჭრელი ზომები დაზღვევის საპროცენტო ანარიცხების ასაკრებათ.

— **კვალიფიციურ მუშაკთა შესახებ.** ა. ბ. შრომის კომისარიატმა შეიმუშავა დადგენილება უმაღლეს კვალიფიკაციის მოსამსახურეთა ჯამაგირების რაოდენობის შესახებ.

დამატებითი შვებულებები. საქ. შრომის კომისარიატმა დაადგინა დამატებითი შვებულებების მიცემის დროს მუშებს უნდა მიეცეთ ჯამაგირი წინასწარ.

— **მოსავლიანობის ხარისხი,** დასავლეთ საქართველოში ცუდი ამინდების გამო მოსავლიანობის ხარისხის დაწესება გადაიდო შესაძლებელ სწორი ცნობების შეგროვებამდე.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** სასოფლო-სამეურნეო ფულადი გადასახადის შეტანის გასაადვილებლად საგადასახადო კომისიამ დაადგინა ფინანსთა სახ. კომისარიატთან დაარსოს სპეციალური კასა.

— **დაპატიმრება.** სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაპატიმრებულ იქნა მოქ. სერგო მაზნიაშვილი.

— **დაჯარიმება.** სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნა 1 ჩერვონცით სასტუმრო „დუშეთის“ პატრონი.

— **შავ ბირჟაზე.** შავ ბირჟაზე ვალიუტებით ვაჭრობისათვის კონფისკაციის წესით მოქ. გულიანცს ჩამოერთვა 120 მან. ოქროთი.

მუშათა ცხოვრება

ამხ. კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელში

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის გამგებლობაში მყოფი, ამხ. კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელი, ამ ჟამად ძალიან ცუდ პირობებში იმყოფება.

სასწავლებლის მოწაფეობა ბევრი კავშირის წევრი არ არის.

რა იმედები შეგვიძლიან ჩვენ ვიქონიოთ მას შემდეგ, რაც ყველაზე უფრო ამ სასწავლებლით დაინტერესებულმა, მელითონეთა კავშირმა, უარი განაცხადა მისი მოწაფეების კავშირის წევრად მიღებაზე?

მოწაფეობამ მიმართა კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირს და ერთხელ კიდევ მელითონეთა კავშირსაც, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა.

მელითონეთა კავშირი დაჟინებით აცნობს: „თუ საწევრო გადასახადს არ გადაიხდით, არ შეგიძლიათ იყოთ კავშირის წევრები“-ო!

სასწავლებელთან არის ახალგაზრდათა კომუჯრედი, რომელიც ორგანიზაციულად ჯერ კიდევ ჩვენი ამხ. ქუქის მიერ არის მოწყობილი და რომელშიაც უწინდელ 10 წევრის მაგივრად ახლა 120 წევრია.

მიუხედავად ყოველგვარ ცუდ მდგომარეობისა, კომუჯრედმა ახლო წარსულში მიიღო, გორის მაზრის, შინდისის რაიონის ორი სოფლის კულტშეფობას, სადაც კულტ-მუშაობისთვის გაგზავნილია ერთი ამხანაგი.

სოფლებს კომუჯრედმა თავის სახელით მიულოცა ერთი დროშა და ამასთანავე სისტემატიურად აგზავნის ის გაზეთებს და წიგნებს. ჩვენი დამოკიდებულება მათთან საუკეთესოა და დახმარებისათვისაც ყოველი ღონე იხმარება.

აქვეა აგრეთვე, 7 წევრისაგან შემდგარი „კომიაჩეიკა“.

ახალგაზრდა კომუნისტებისაგან შემდგარია 60 კაცისაგან „სპარტაკი“-ს ჯგუფი.

ახალი გამგის შრომით, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც დაინიშნა ამ სკოლაში, ბევრი რამ გაკეთდა.

ამ ჟამად მიდის სკოლის მთელი შენობის კაპიტალური შეკეთება.

მუშკორი მახხი.

რკინისგზის მე-6 უბნის მუშა-მოსამსახურეთა შორის

ა. წ. 22 აგვისტოს მოხდა ტფილისის დეპოს, სავაგონო პარკის, სალიანდაგო დარგის, მე 6 უბნის ცენტრალურ სახელოსნოების და ელექტრონულ სადგურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც 500 კაცი დაესწრო.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ხუციშვილი, მდივნათ ამხ ფილიპოვი.

ამხ. პონომარიოვმა მოხსენება გააკეთა ა.-კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების მუშაობის შესახებ.

კრებამ, მოისმინა რა მოხსენება, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ამხ. პონომარიოვის მოხსენება მიღებულ იქნას ცნობად. კრება აღნიშნავს, რომ სატრანსპორტო კოოპერაცია იმყოფება მძიმე ეკონომიურ პირობებში და სთხოვს დაინტერესებულ ორგანიზაციებს, ე. ი. რკ. გზ. სამმართველოს, ქალაქის აღმასკომს, პირველ რაიკომს და სხვ. გაუწიონ აღნიშნულ საზოგადოებას ყოველმხრივი დახმარება, რათა მას საშუალება მიეცეს თავის წევრებს მიაწოდოს საქონელი თვითღირებულების ფასებში. ამავე დროს კრება წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს ჩაეწერონ კოოპერატივში წევრებად, რათა ამ გზით გადიდებულ იქნას საზოგადოების კაპიტალი, რომელიც გამოყენებულ იქნება მუშების სასარგებლოდ.

დასასრულ კრებამ აირჩია 15 დელეგატი ა | კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების საუბნო კონფერენციაზე.

მუშკორი ა—ა.

თვალის ცენტრალური საავადმყოფო

(ჯანმრთელობის კომისარიატის საყურადღებოდ).

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს საავადმყოფოების რიგიანად მოწყობას და მაშინ მეტი საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ საქართველოს მშრომელთა მასსის ჯანმრთელობა უზრუნველყოფილია. რას წარმოადგენს ამ მხრივ ტფილისის „თვალის ცენტრალური საავადმყოფო?“.

აქ უკანასკნელად მდგომარეობა თვალსაჩინოდ უმჯობესდება. ჯერჯერობით არის 30 ავადმყოფის საწოლი, სადაც 21 დაკავებულია ავადმყოფთაგან. საავადმყოფოს აქვს კლინიკური განყოფილება. უკანასკნელში ლექტორად არის იმავე საავადმყოფოს მთავარი ექიმი—მუსხელიშვილი. გაუმჯობესებულია ავადმყოფთათვის საჭმელის მიწოდების საქმე,—კარგი იქნება მხოლოდ შავი პურის ნაცვლად იმავე ზომის თეთრი პური ეძლეოდეს ავადმყოფებს. სადილი კი დამაკმაყოფილებელია. ცოტა შაქარიც უნდა მოემატოს მათ, რადგან ექვსი მისხალი ჩვენის აზრით ნამეტანი ცოტაა. დაბრკოლებები იყო ჩასაცვამ და საწოლ ნივთების საკმაო რაოდენობით შეძენაში, მაგრამ თანდათანობით ესეც ეწყობა.

როგორც ვიცით, საავადმყოფოს ბედ-იღბალი დამოკიდებულია მის ტეხნიკურ მოწყობილობიდან და აგრეთვე ხელმძღვანელთა და მუშა-მოსამსახურეებისაგან. უკანასკნელების მხრით საავადმყოფო უზრუნველყოფილია, რადგან მას ყავს კარგი ექიმები და სრულიად ერთგული მუშა-მოსამსახურენი. ტეხნიკური მხარენი საავადმყოფოსი არაა სასურველი: 1) საავადმყოფო ყოველთვის სუსტი იყო საოპერაციო იარაღებით და 2) საავადმყოფოს არ აქვს, რაც მთავარია, ლაბორატორია. პირველი დეფექტის გამოსასწორებლად მიღებულია ზომები: ევროპაში გამგზავრებულ ექიმ მუსხელიშვილს აქვს დავალება ჯანმრთელობის კომისარიატისაგან შეიძინოს საავადმყოფოსათვის საჭირო, საოპერაციო იარაღები. საავადმყოფოში მუდამ კრიზისია ბამბის და ეს დაბრკოლებაც უნდა მოისპოს.

რაც შეეხება ლაბორატორიას, მისი უქონლობის მთავარი მიზეზია უბინაობა.

ამავე საავადმყოფოს შენობაში ცხოვრობენ კერძო პირები, რომელთაც უჭირავთ რამოდენიმე ოთახი. ეს ოთახები სრულებით გამოდგებიან ლაბორატორიისთვის ეს ოთახები აუცილებლად ლაბორატორიის მოსაწყობად უნდა ჩამოერთვას აღნიშნულ მდგმურებს; ამის შესახებ არა ერთხელ მიმართა ექიმმა მუსხელიშვილმა ჯანმრთელობის კომისარიატს, მაგრამ მას აქეთ უკვე წელიწად ნახევარია ლაბორატორიისათვის თითქმის ყოველივე მოწყობილობაა მზად, მხოლოდ არ მოხერხდა დღემდე აღნიშნულ ოთახების განთავისუფლება.

ჯანმრთელობის კომისარიატმა უკანასკნელად უნდა მიიღოს რეალური ზომები და ქალაქის აღმასკომის დახმარებით, რომ საავადმყოფოსთან მალე გაიხსნას ფრიად საჭირო ლაბორატორია. ეს არის აქაური მუშების უმთავრესი სურვილი და მოთხოვნილება.

მუშკორი ჩხმელი.

ტფილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება

22 მარიამობისთვეს შესდგა ტფილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც 300-მდე კაცი დაესწრო.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. თავდიშვილი, მდივნობდა ჯიქია.

სხვა საკითხთა შორის კრებამ მოისმინა ამხ. ჩხენკელის მოხსენება ა | კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების მუშაობის შესახებ.

ამხ. ჩხენკელის მოხსენების მიხედვით კრებამ ა | კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების მუშაობა საერთოთ დამაკმაყოფილებლად სცნო და გამოსთქვა სურვილი მისი მუშაობის გაფართოების შესახებ.

დასასრულ მოხდა დელეგატების არჩევნები ა | კ. ტრანსპორტელ კოოპერატორთა საუბნო კონფერენციაზე.

არჩეულ იქნენ: თ. ლომინაშვილი, ს. მოსიაშვილი, ნ. არაბიძე, ი. ალიხინი, დობორჯგინიძე, თევზაძე, გუკასოვი, ჯღარკავა, სადაგაშვილი ბაცანკალაშვილი და ქელეხსაშვილი.

მუშკორი ქ.

ოპერა მუშებისათვის

1923 წ. 17 აგვისტოს ცენტრალურ მუშათა კლუბში სახელმწიფო ოპერის მსახიობთა მიერ გაიმართა სათეატრო დარბაზში მეორე მორიგი წარმოდგენა. ამ საღამოს დაიდგა კლასიკური ოპერა „ფაუსტი“, რომელმაც მუშებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, ხალხი ოპერას ბლომად დაესწრო და ღირსეულად დააჯილდოვა აღმსრულებელნი.

ოპერა დაიდგა იმ მიზან-სცენებით, როგორც სახელმწიფო თეატრში, მხოლოდ გამოტოვებულ იქნა სცენები: „ვალპურგის ღამე“ და „ეკლესიასთან“, დროის სიგვიანისა გამო. პიანინო საკმარისად არ იყო მომართული, რის გამოც მუსიკალური ნაწყვეტები ზოგიერთ ადგილებში მსმენელს ეჩოთირებოდა.

აღსრულების მხრივ უნდა ითქვას, რომ მომღერალი იგონინი დასაშვები არც კი არის საოპერო სცენაზე, ან თვითონ როგორა ჰბედავს ასეთი პარტიის, როგორც არის „ფაუსტი“-ს აღსრულებას; არც ხმა, არც დიქცია, და არც მუსიკალური სცენა არ აქვს დამუშავებული, საცოდაობა იყო მისი „ფაუსტის“ მოსმენა. სამაგიეროდ კარგნი იყვნენ მაზოვეცკაია—მარგარიტას როლში, კრიჟანოვსკი—ვალენტინის და ბლაგობორაზოვი—მეფისტოფელის როლებში.

კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მელიქ-ფაშაევი ახალგაზრდა პიანინოს დამკვრელი. კარგი იქნებოდა, რომ მომავალში დაიდგას ოპერა ორკესტრით. შიგა და შიგ კი მიაწოდონ მუშათა აუდიტორიას ქართული ოპერებიც.

მუშკორი მელითონე.

სიკეთე სთესე, სიკეთესაც მოიმკი

კვირას, 2 სექტემბერს რკინისგზელთა ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის თეატრში „მუშტაიდი“ მეორე რაიონის რკინის გზის დამცველთა რაზმის კულტურულ-განმანათლებელ კომისიის ინიციატივით გაიმართება საპატივსაცემლო საღამო დამსახურებულ კაპელმეისტრის მიხეილ კვაჭანტირაძისა.

მ. კვაჭანტირაძე მოღვაწეობს მუშებთან ერთად 35 წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში ის აძლევდა მათ გონებრივ განვითარების საშვალებას. არა ერთხელ გაუწევია ამხ. კვაჭანტირაძეს დიდი დახმარება მუშა ხალხისათვის ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს; ის ამ დროს დადიოდა თავისი ორკესტრით იმ საღამოებზე, რომელიც იმართებოდა საქველმოქმედო მიზნით, რომ მით დახმარება აღმოეჩინა მშრომელ ხალხისათვის. და დღეს, როდესაც გაიმარჯვა მშრომელ ხალხის დასახულმა მიზანმა და ძალაუფლება მუშების და გლეხების ხელშია, ის ღირსი არის პატივისცემისა. ამისათვის კვირას ზემო აღნიშნულ თეატრში ნიშნად მისი პატივისცემისა იმართება საღამო ფრიად შინაარსიანი პროგრამით. იმედია თბილისის მშრომელი ხალხი გამოეხმაურება ამ პატარა წერილს, დაესწრება აღნიშნულ საღამოს, რითაც გაამხნევებს თავის ძველს მასწავლებელს ახალ იმედებით და დაუფასებს მის ღვაწლს წარსულში.

მუშკორი კინო.

— **საგამომცემლო კოოპერატივი.** ტფილისში დაარსდა საგამომცემლო კოოპერატივი „მწიგნობარი“, რომლის მიზანია სახელმძღვანელოების და სამეცნიერო წიგნების გამოცემა.

— **დაჭრა.** 28 აგვისტოს, მე-2 სამილიციო უბანში, არტილერიის ქ. № 16 მოქ. თედორე ლენკენომ თავის ბინაზე რევოლვერის ტყვიით დასჭრა მოქ. ნატალია სოლოვიოვისა. ლენკენო დააპატიმრეს.

— **თავის მოწამვლა.** აღბულაღის რაიონში სოფ. კონსტანტინოვკაში თავი მოიწამლა 19 წლის ქალმა ბარბარე ბარათოვის ასულმა.

— **წინადადება ყველა სახალხო კომისარიატებს.** საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა სახალხო კომისარიატებს—თავის დროზე წარმოადგინონ მათდამი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულებების ყოველთვიური ანგარიში.

— **შრომის ბირჟის შუამდგომლობა.** ტფილისის შრომის ბირჟამ შუამდგომლობა აღძრა შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა მიიღოს სათანადო ზომები აღნიშნულ შრომის ბირჟასთან სამილიციო სადარაჯოს გახსნის შესახებ.

— **სენაკის შრომის ინსპექცია.** სენაკის შრომის ინსპექციაში ივლისის განმავლობაში შემოვიდა სულ 127 მილ. 179 ათასი მან. 1 ივლისისათვის დარჩენილი იყო ნაშთი—24 მილ. 25,548 მ. დაიხარჯა—159 849.449 მან., 1 აგვისტოსათვის ინსპექციას დარჩა 1.325,108,000 მან.

— **საბავშვო სახლის გახსნა.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა კოჯორში არსებული მირზოევისეული აგარაკი გადასცეს სახალხო განათლების განყოფილებას საბავშვო სახლის გასახსნელათ.

— **7,000 მან. (ოქროთი) გამფლანგველების საქმე.** სატრანსპორტო ტრიბუნალმა გაარჩია ბათომის საბარგო სადგურის კასირის გ. ფრიდონიძის, ამავე სადგურის კანტორის მოხელე ესებუას და არტელის რწმუნებულის გენდზეხიძის საქმე, რომლებსაც ბრალდებოდათ 7,000 მან. (ოქროთი) გაფლანგვა. ტრიბუნალმა ფრიდონიძეს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, ესებუას—10 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი იზოლიაციით, გენზნიძეს 3 წლით დაპატიმრება. ამნისტიის ძალით ფრიდონიძეს სასჯელი შეეცვალა 10 წლ. დაპატიმრებით, დანარჩენ ორს სასჯელი შეუმცირდათ ერთი მესამედით.

— **უმუშევარ მასწავლებელთა წმენდა.** 30 აგვისტოს დაიწყო შრომის ბირჟის შენობაში უმუშევარ მასწავლებელთა წმენდა, რომელიც გაგრძელდება 3 დღეს. ის უმუშევარი მასწავლებლები, რომელნიც არ გამოცხადდებიან წმენდაზე, მექანიკურად გამოირიცხებიან შრომის ბირჟიდან.

პროვინციაში

წინანდლის რაიონი (თელავის მაზრა).

დახმარება საჰაერო ფლოტს.

წინანდლის რაიონში თელავის სამაზრო პარტკომის ინიციატივით იქნა დაწყებული საჰაერო ფლოტის კამპანიის ჩატარება 15 აგვისტოდან. კომპანია ჩატარდა ყველა სოფლებში და საკმაო თანხა მოგროვდა. წინანდლის სახალხო მამულის მუშა-მოსამსახურეებმა შესწირეს საჰაერო ფლოტს 50,000.000 მან. წინანდლის კახელ-მევენახეთა კოოპერატივმა 20.000000 მან. და წინანდლის „საეროს“ წევრებმა 30.000.000 მ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ს. წინანდალში ყოველ წელს იჭრებოდა თრიმლი, რომელიც მუდამ ხელში უვარდებოდა კულაკებს. წინანდალის № 2 კომ-იაჩეიკის წევრებმა სთხოვეს თელავის სამაზრო პარტკომს, რათა ეთხოვა სადაც ჯერ-არს, რომ ეს თრიმლი ხელ-საყრელ ფასებში გადაეცათ წინანდალის № 2 კომ-იაჩეიკის წევრებისთვის დასამუშავებლად, მიუხედავათ იმისა, რომ თრიმლის ნებართვა უკვე ჰქონდათ აღებული კულაკებს. მოიჯარადრეებს ჰქონდათ ეს თრიმლი აღებული 15 კაპ. ფუთი, მაგრამ უმაღლეს ორგანოს მიერ ეს ხელშეკრულება იქმნა გაუქმებული და მისი წარმოება დაეთმო გლეხობას 10 კაპ. ფუთი, თორმეტი მშრომელი გლეხი პარტიულ ამხანაგებთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულათ, ძმურად და სიმღერით შეუდგნენ თრიმლის დამუშავებას. თვითონ სჭრიდნენ, თვითონ ჰბეგვავდნენ და თვითონვე იყვნენ ბატონ-პატრონნი თავის ოფლით დამუშავებულ თრიმლსა. ამ მშრომელ გლეხობას არ ჰყავდა ბატონი და როდესაც ისინი შეუდგნენ თრიმლის დამუშავებას, მოიჯარადრე სპეკულიანტები შორიდან დასცინოდნენ და ამბობდენ „ესენი ვერ შესძლებენ ამ თრიმლის დამუშავებას და მას ყველასთვის გააფუჭებენო“ ასეთმა აგიტაციამ იქონია რამდენიმე შეუგნებელ გლეხზე გავლენა და ისინი გავიდენ კოლექტიურთ სამუშაოდან.

დღეს, როდესაც ამ გასულ მშრომელმა გლეხებმა დაინახეს, რომ დანარჩენების მიერ უკვე იქმნა დამზადებული თრიმლი უცხადებენ ზიზღს და კრულვას იმ პირებს, რომლებმაც ისინი შეიყვანეს შეცდომაში. წინანდლის თრიმლის მომუშავე მუშებმა, როდესაც დაინახეს, რომ მუშურ-გლეხურმა მთავრობამ გადასდგა ნაბიჯი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ, საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლათ, მათ შესწირეს 25.000.000 მან. და აგრეთვე კოლექტიურათ გამოიწერეს გაზეთები: „მიწის მუშა“ და „კომუნისტი“. ასეთი შედეგები მოუტანა მშრომელ გლეხობას მთავრობის მიერ მათზე გადაცემულმა თრიმლმა. დიდ მადლობას უძღვნიან წინანდლის თრიმლის მომუშავე გლეხობა დღევანდელ მუშურ-გლეხურ მთავრობას ასეთი ხელის მომართვისთვის.

აქაური.

სოფელი წითელმთა.

სოფ. წითელმთაში (გურია) ერთ წელზე მეტია რაც დაიწყო ადგილობრივ სკოლისათვის შენობის აგება, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ მცხოვრებთ სკოლის აგებაში დიდ დახმარებას უწევს როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ოზურ. სამაზ. მთავრობაც, შენობა ჯერაც არ დამთავრებულა, რის გამო მომავალ სამსწავლო წლიდან ბავშვების მეცადინეობა კვლავ შეფერხდება. სოფელს საკუთარი ძალით თავის დროზე არძალუძს დაასრულოს შენობის აგება, თუ მას არ დაეხმარეთ ყველა ის პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩვენი სოფლის წინსვლაში. საალმშენებლო კომიტეტი განსაკუთრებით მოუწოდებს ამ სოფლის შვილთ, რომლებიც ამჟამად სოფლის გარეთ ცხოვრობენ, თავიანთი წვლილის გაღებით დაგვეხმარონ სკოლისათვის შენობის ადრე აგებაში და მით ხელი შეუწყონ ამ პატარა სოფელს კულტურულ აღორძინებაში.

საალმშენებლო კომიტეტი სთხოვს ამ სოფლის შვილებს აიღონ თავის თავზე ინიციატივა შემოწირულების შეგროვებისა: ქ. ტფილისში—ალ. ერქომაიშვილს, ანდრო შილაკაძეს და ქ. ცისკარიძეს; ბათომში—ნ. ერქომაიშვილს, დ. გეგიაძეს, სოხუმში—სამსონ ვანიძეს.

შემოწირულებანი, როგორც ფულით, აგრეთვე ინვენტარით—მიიღება შემდეგ მისამართით: ოზურგეთი—წითელმთა, სკოლის საალმშენებლო კომიტეტს.

საალმშენებლო კომიტეტის წევრები: **იაკი ვანიძე, ანდრო გეგიაძე, სანდრო ვანიძე,**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია*)

უმუშევრობის დროს დახმარების და შეღავათების გაცემის შესახებ

1. ვის შეუძლია ისარგებლოს დახმარებით და შეღავათებით

უმუშევრობის დროს დახმარებით და შეღავათებით სარგებლობენ ის პირნი, რომლებმაც დაჰკარგეს სამუშაო ხელფასი შტატების შემცირების ან წარმოების დაწესებულების და მეურნეობის ლიკვიდაციით გამოწვეულ დათხოვნის გამო, რომელთაც არა აქვთ საცხოვრებლად არავითარი სალსარი, რაიმე შემოსავლის სახით, როგორიცაა—ვაჭრობა, წარმოება, მეურნეობა და სხვა შემდეგი კატეგორიის უმუშევარნი.

ა) კვალიფიციური მუშები და უმაღლეს კვალიფიკაციის გონებით მომუშავენი, რომელთაც მიღებული აქვთ სპეციალური განათლება, როგორც, ინჟენრები, აგრონომები, ექიმები, პედაგოგები და სხვა,—მათი სტაჟის—და მიუხედავად, თუ ისინი ჩაეწერენ შრომის ბირჟაში მუშაობის შეწყვეტის შემდეგ არა უგვიანეს 4 კვირისა.

შენიშვნა: შრომის ბაზრის მდგომარეობის და მიხედვით და ბირჟის კომიტეტის სოციალურ დაზღვევის რესპ. სამმართველოსთან შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს ან სრულიად არ იქნეს მიღებული მხედველობაში კვალიფიციური მუშების ცალკე ჯგუფების რეგისტრაციის ვადა.

ბ) არა კვალიფიციური მუშები, რომელნიც განუწყვეტლივ მუშაობენ დაქირავებით ერთი წლის განმავლობაში, და მოსამსახურენი, რომელთაც აქვთ სამი წლის განუწყვეტლივ მუშაობის სტაჟი, თუ ერთნიც და მეორენიც არიან გატარებულნი შრომის ბირჟის რეგისტრაციაში, მუშაობის შეწყვეტის დღიდან 4 კვირის განმავლობაში (იხ. ამ ნაწილის მე-2 შენიშვნა).

გ) მცირეწლოვანი მუშები და მოსამსახურენი, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა 16 წლიდან—სტაჟის და მიუხედავად, თუ ისინი ბირჟაში აღირიცხენ არა უგვიანეს 4 კვირისა მუშაობის შეწყვეტის შემდეგ.

დ) დაქირავებით მომუშავე მარტოხელი ქალები, რომელთაც ჰყავთ შესანახი შვილები 14 წლამდე—მუშაობის სტაჟის და მიუხედავად, თუ არიან აყვანილნი შრომის ბირჟის აღრიცხვაზე მუშაობის დატოვების შემდეგ არა უგვიანეს 4 კვირისა.

ე) ყველა მცირეწლოვანი 16 წლამდე, თუ მათ უმუშავნიათ შრომის ინსპექტორის ნებართვით და მოხსნილი იქმნენ სამუშაოდან წარმოების მავნებლობის გამო და სხვა აღირიცხენ შრომის ბირჟაში 4 კვირის განმავლობაში მუშაობიდან მოხსნის შემდეგ.

ვ) დემობილიზაციით გაშვებული წითელარმიელები, ან უვადო შვებულებით დათხოვნილნი, დაქირავებულ შრომის სტაჟის მიუხედავად, თუ ისინი წითელარმიაში შესვლამდე ეწეოდენ დაქირავებულ შრომას და დღიდან მობილიზაციისა, ან უვადო შვებულების მიღებისა 4 კვირის განმავლობაში აღირიცხენ შრომის ბირჟაზე.

ზ) მე-4 და მე-5 ჯგუფის შრომის ინვალიდები, დაქირავებულ შრომის სტაჟისდამიუხედავად, მათ რიცხვში ომის ინვალიდებიც, რომლებიც სამსახურში შესვლამდე ეწეოდენ დაქირავებულ შრომას, თუ ისინი 4 კვირის განმავლობაში დღიდან სამუშაოს დაკარგვისა ან ინვალიდათ ცნობისა გატარდენ შრომის ბირჟის რეგისტრაციაში.

შენიშვნა 1: იმ პირთათვის, რომელთაც დატოვეს სასწავლებელი მის დამთავრების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, და თანახმად ამ ინსტრუქციის 1-ლ მუხლისა, სარგებლობენ დახმარების მიღების უფლებით, ბირჟაზე აღრიცხვის ვადა ითვლება დღიდან მათ მიერ სასწავლებლის მიტოვებისა.

შენიშვნა 2: ავადმყოფობის გამო დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთათვის ბირჟაზე აღრიცხვის ვადა ითვლება დღიდან მათი სავსებით გაჯანსაღებისა.

2. დახმარების რაოდენობა

უმუშევრობის დროს წესდება დახმარებათა შემდეგი რაოდენობა:

ა) აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულების ნახევარი ეძლევათ.

1. კვალიფიციურ მუშებს, რომელნიც იღებდენ უკანასკნელ სამსახურის დროს სამუშაო ხელფასს სატარიფო ცხრილის მე-6 ე ან იმაზე უმაღლესი ხარისხით.

2. წითელარმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით ან უვადო შვებულებით დათხოვნილ და უმაღლეს კვალიფიკაციის სპეციალური ცოდნით აღჭურვილ გონების მუშაკთ (ინჟენერებს, აგრონომებს, ექიმებს, პედაგოგებს და სხვ.).

ბ) აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულების 1-მესამედი ეძლევა ყველა ამ ინსტრუქციის 1-ლ მუხლში აღნიშნულ დანარჩენ კატეგორიის უმუშევრებს.

შენიშვნა: კვალიფიციურ მუშებს, რომელთათვის ზოგიერთ ცალკე მეურნეობის დარგებში მიღებულია შრომის ხელფასი მე-6 ხარისხზე ქვევით, ეძლევათ დახმარება აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულების ნახევრის რაოდენობით, სოცდაზღვევის სამმართველოს ნებართვით, აღნიშნული დახმარება შეიძლება მიეცეთ მხოლოდ მათ, რომლებიც იღებენ ხელფასს არა ნაკლებ მე 4 ხარისხისა.

3. დღიური დახმარების რაოდენობათ ითვლება თვიურ კუთვნილ დახმარების მე-24-ი ნაწილი.

3. დახმარებათა გაცემის ხანგრძლივობა

4. დახმარება უმუშევართ ეძლევათ დღიური ანგარიშით, მხოლოდ უმუშევრობის გამო ფაქტიურ გაცდენილ სამუშაო დღეებში, იმ დღეების გამოკლებით, რომლებშიც დროებით სამუშაოზე გაგზავნის გამო მიღებული აქვთ კუთვნილი ჯილდო.

5. უმუშევართ დახმარება ეძლევათ დღიდან ბირჟაზე აღრიცხვისა, ხოლო არა ადრე იმ დღისა, როდემდისაც მიღებული აქვს უმუშევარს სალიკვიდაციო ან კომპენსაცია, უკანასკნელ სამსახურიდან დათხოვნის დროს. დახმარების გაცემა შეწყვეტილ უნდა იქნეს დღიდან უმუშევარის დამქირავებლის ხარჯზე გადასვლისა, ან და სამუშაოზე დადგომისა.

6. დახმარების გაცემის ხანგრძლივობა წესდება არა ნაკლებ 6 თვისა, ხოლო ცალკე შემთხვევებში დამზღვევ კომიტეტებს უფლება ეძლევათ გააგრძელონ აღნიშნული ვადა.

შენიშვნა. ექვსი თვის ვადა იწყება დღიდან დახმარების დანიშვნისა, ხოლო დროებით სამუშაოზე გაგზავნის გამო შეწყვეტილი დღეები არ შედის ნაჩვენებ 6 თვის ანგარიშში.

4. შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს ძირითადი და დამატებითი დახმარებები.

7. შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს უმუშევრები იღებენ უმუშევართა კუთვნილ ყოველგვარ დახმარებას, მიუხედავად იმ ვადისა, რომელიც ნაჩვენებია ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლში, შრომის უნარის სრულ აღდგენამდე ან ინვალიდად ცნობამდე.

8. ორსულ მშობიარე ქალებს, რომელთაც აქვთ უმუშევრობის დროს დახმარების მიღების უფლება, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნიან (მუხ. 2), ეძლევათ დახმარება კვალიფიციურ მუშებთან თანასწორად ექვსი კვირის განმავლობაში მშობიარობის წინ და ექვსი კვირის განმავლობაში—მშობიარობის შემდეგ, მიუხედავად იმისა, განვლო თუ არა ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლში ნაჩვენებ ვადამ.

9. დამატებითი დახმარების მიღების უფლება ბავშვის მოსავლელად აქვს როგორც თვით უმუშევარს, რომელიც იღებს დახმარებას, ისე უმუშევართა ცოლებს ყველა დაზღვეულებთან თანასწორად, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 183 მუხლისა.

10. დაზღვეულ უმუშევრებს ეძლევათ დასამარხი დახმარება მათ ხარჯზე მყოფ შრომის უნარმოკლებულ ოჯახის წევრებზედაც, ყველა დაზღვეულებთან საერთო წესით, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 184 მუხლისა.

11. მე-8, 9 და 10 მუხლებში ჩამოთვლილ პირთ აქვთ უფლება მიიღონ ყველა ამ მუხლებში. ნაჩვენები დახმარებები იმ შემთხვევაშიაც, როდესაც გადის უზრუნველყოფისათვის არსებულ ექვსი თვის ვადა (მუხ. 6).

5. დახმარებათა დანიშვნის და გაცემის წესი.

12. უმუშევრებს დახმარება ეძლევათ შრომის ბირჟასთან დამზღვევ კასების მიერ დაარსებულ პუნქტებიდან.

შენიშვნა. იმ ადგილებში, სადაც დამზღვევი კასები შრომის ბირჟასთან ახლოს იმყოფებიან, შესაძლებელია უმუშევართა დაზღვევის პუნქტები დარჩეს დამზღვევ კასებთან.

13. უმუშევართა მიერ დახმარების და შეღავათების მიღების უფლების გამორკვევას და მათ შესაფერ ჯგუფში ჩარიცხვას, რომლისდამიხედვით უმუშევარნი იღებენ დახმარებას, აწარმოებს ბირჟასთან დამზღვევი კასის მიერ დაარსებული განსაკუთრებული კომისია შემდეგი შემადგენლობით. 1—შრომის ბირჟიდან, 1—დამზღვევ კასიდან და 1—საკავშირო ორგანიზაციების გაერთიანებიდან.

14. უმუშევარნი, რომელთაც სურთ დახმარების მიღება, აძლევენ განცხადებას ამის შესახებ კომისიას შემდეგი საბუთების თანდართვით.

ა) უმუშევრობის წიგნაკი

ბ) საანგარიშო წიგნაკი ან მოწმობა უკანასკნელ სამუშაოდან, სადაც უნდა იყოს ნაჩვენები.

1) თანამდებობა და პროფესია.

2) დათხოვნის დღე.

3) როდემდის არის დაკმაყოფილებული უმუშევარი დათხოვნის დროს ჯამაგირით ან კომპენსაციით.

4) უკანასკნელ მუშაობის ხანგრძლივობა.

5) რომელ სატარიფო განაკვეთით იღებდა შრომის საფასურს.

გ) დაქირავებულ შრომის სტაჟის დამამტკიცებელი საბუთები.

დ) მოწმობა მილიციის ან შესაფერ ორგანიზაციისა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს აქვს თუ არა უმუშევარს საცხოვრებელი რაიმე სალსარი (წარმოება, მეურნეობა, ვაჭრობა და სხვ.)

ე) წითელ არმიიდან უვადო შვებულებაში დათხოვნილნი ან დემობილიზაციით გაშვებულნი ადგენენ ამის დამამტკიცებელ შესაფერ მოწმობას (სამხედრო უწყებიდან), ინვალიდები-კი—ინვალიდობის რომელ ჯგუფს ეკუთვნიან და მარტოხელი დედაკაცები-კი—მოწმობას მათი ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

15. დახმარების გაცემის შესახებ შეტანილი განცხადება კომისიის მიერ უნდა განხილული იქმნეს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან განცხადების შეტანისა და თუ ცნობილ იქნება დახმარების მიღების უფლება უმუშევარის მიერ, უკანასკნელს მიეცემა „უმუშევარის ფურცელი“, უმუშევრის ბილეთში კი უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევარს დანიშნული აქვს დახმარება.

შენიშვნა. დახმარება უმუშევარს ეძლევა დღიდან განცხადების შეტანისა, ამ ინსტრუქციის მე-5 ე მუხლის დაცვით.

16. უმუშევარი, რომელიც მიიღებს „უმუშევარის ფურცელს“, მოვალეა დაწესებულ დროზე იაროს შრომის ბირჟაში, რომელიც აღნიშნავს ფურცელზე, ცხადდება თუ არა უმუშევარი დანიშნულ დროზედ ან სამუშაოზე წასვლის უარს ხომ არ აცხადებს საპატიო მიზეზების უქონლათ. ასეთი უარის შემთხვევების შესახებ აღნიშნულ უნდა იქმნეს ფურცელში. „უმუშევარის ფურცელი“ ბირჟის შეუმოწმებლად ჰკარგავს ყოველგვარ ძალას. თუ უმუშევარი გაიგზავნა დროებით სამუშაოზე, ბირჟა ამის შესახებ ახდენს შესაფერ აღნიშვნას „უმუშევარის ფურცელში“ იმ დროის ჩვენებით, რომლის განმავლობაში უმუშევარი იყო დროებით სამუშაოზე.

17. დამზღვევ დახმარების მიღების შესახებ განცხადების შეტანის დროს უმუშევარი მოვალეა უჩვენოს თავისი სწორი მისამართი და შემოსავალთა რაოდენობა, თუკი ასეთი ჰქონდა მას უმუშევრობის დროს.

18. იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობების სისწორეში ეჭვი შეეპარება, დამზღვევი კასა „უმუშევარის ფურცლის“ მიღების დღიდან სამი დღის განმავლობაში მოვალეა გამოარკვიოს უმუშევარის მატერიალური მდგომარეობა, რომლის მიხედვით გადაწყდება დახმარების მიცემის საკითხი. თუ სამი დღის განმავლობაში ბირჟამ ეს არ მოახდინა, დახმარება უნდა გაცემული იქნეს ცნობების გამოურკვევლადაც.

19. დახმარება ეძლევათ უმუშევართ, სადაც ეს ტეხნიკურად მოსახერხებელია—თვეში ორჯერ, მხოლოდ ეს ვადა არ შეიძლება გადასცილდეს ერთ თვეს.

7. შემთხვევები და წესი, როდესაც უმუშევარს ერთმევა დახმარების და შეღავათის მიღების უფლება.

20. უმუშევარს ერთმევა დახმარების და შეღავათის მიღების უფლება შემდეგ შემთხვევებში.

ა) როდესაც უმუშევარი მოხსნილია ბირჟიდან დანიშნულ დროზე საპატიო მიზეზების უქონლად გამოუცხადებლობის გამო.

ბ) როდესაც საპატიო მიზეზების უქონლათ უმუშევარი უარს ამბობს სამუშაოზე წასვლაზე.

გ) როდესაც შეკრებილ ცნობებიდან აღმოჩნდება, რომ უმუშევარს აქვს საცხოვრებელი მუდმივი შემოსავალი.

დ) როდესაც გამოირკვევა უმუშევარის მიერ მოწვდილ ცნობების სიყალბე, რამაც გამოიწვია კომისიის მიერ შემცდარი დასკვნა.

შენიშვნა. ბირჟაზე გამოუცხადებლობის და სამუშაოზე უარის თქმის არა საპატიო მიზეზები ნაჩვენებია შრომის კომისარიატის სათანადო ინსტრუქციებში.

21. შრომის ბირჟა ან დახმარებათა გამცემი კომისია ამ ინსტრუქციის მე-2-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში ნაჩვენებ შემთხვევების გამო აღრიცხვიდან მოხსნილ უმუშევრების შესახებ მოვალენი არიან აცნობონ თავის დროზედ დამზღვევ კასას.

22. იმ უმუშევრების მატერიალური მდგომარეობის გამორკვევა, რომლებიც იღებენ ან თხოულობენ დახმარებას, ხდება დამზღვევ კასის აპარატის საშუალებით.

23. კომისიის მიერ დამზღვევ კასიდან დახმარების გაცემის უარის გასაჩივრება ხდება პროვინციაში—შრომის განყოფილებაში და ცენტრში—რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოში, რომელთა გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და მათი გასაჩივრება აღარ შეიძლება.

8. დამატებითი დებულებები.

24. ამ ინსტრუქციის 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ უმუშევართ უფლება აქვთ ისარგებლონ შეღავათებით, თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ წესდებისა.

25. თანამდებობის პირნი, რომელნიც გასცემენ ყალბ ცნობებს უმუშევართა მატერიალური მდგომარეობის, დაქირავებულ შრომის შესახებ და სხვ. (მუხ. 14), პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წინაშე, როგორც ბოროტ-მოქმედნი სამსახურის აღსრულების დროს, სისხლის სამართლის კოდექსის მე-116 მუხ. ძალით.

26 უმუშევარნი, რომლებიც იძლევიან დახმარების მიღების მიზნით წინასწარ ყალბ ცნობებს, პასუხს აგებენ სისხლის სამართლის კოდექსის მე-90-ე მუხლის ძალით.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

ს. ს. ს. რ. სოციალურ დაზღვევის სამმართველოს უფროსი **კ. ცომაია.**

ცენტრალურ შრომის ბირჟის გამგის მაგიერ **ჯულელი.**

---

*) სავალდებულოა ამ ინსტრუქციის ცხოვრებაში გატარება ა. წ. 15 სექტემბრიდან.

განცხადებები

საქართველოს ს. ს. რ. სასურსათო სახ. კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ ა. | წ. 26 აგვისტოსათვის ცენტროსაწყობის ეზოში (ელისაბედის ქ. № 138) დანიშნულია

სიტყვიერი ვაჭრობა

ცენტრო-საწყობის შენობების ხორბალის ჩაყრისათვის შესაფარდებელ სამუშაოს იჯარით გასაცემათ, და აგრეთვე ცენტროსაწყობის სახურავის შესაკეთებლათ და შესაღებავათ,

გადატანილია

პარასკევს, 31 აგვისტოსათვის, დილის 10 საათზე.

სამუშაოს იჯარით გაცემა შეიძლება რამოდენიმე პირზე ცალ ცალკე, მასალები ნაწილობრივ გამოყენებული უნდა იქნეს ცენტროსაწყობში შენახულ მასალებიდან.

დაწვრილებითი პირობების და სამუშაოს მიმოხილვის გაგება შეიძლება მეცადინოების საათებში სასურსათო სახალხო კომისარიატის მომარაგების განყოფილებაში (ევანგულოვის ქ., № 2).

საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატი. (1135—3—3)

ЦЕНТРАЛЬНАЯ КОНТОРА ПАРТИЙНО-СОВЕТСКОЙ ПРЕССЫ ГРУЗИИ

(бывш. Газтрест) Руставельский пр. № 26, доводит до сведения подписчиков, что ею

ОТКРЫТ прием подписки на

МОСКОВСКИЕ ГАЗЕТЫ:

На сентябрь месяц цены назначены в червонных рублях.

	Р.	Коп.
Известия Ц И К С. С. С. Р.	1	65
Правда	1	65
Беднота	1	30
Экономическая жизнь	1	65
Труд	1	65
Рабочая Москва	1	40
Гудок	1	40
Кооперативное Дело	1	20
Рабочая Москва с Крокодилом	1	75
Красная газета	1	40
Торгово-Промышленная газета	1	65
Накануне	1	75
ЖУРНАЛЫ		
Безбожник		90
Красная Нива	1	50
Огонек	1	50
Прожектор		90
Эхо		90
Всемирная Иллюстрация		90
Дрезина		90
Крестьянка		90
Работница		60

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დიათერმია

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—4

დაიკარგა პირადობის საქმე ანდრო ზოდელავას სახელზე. მიცემული მე-4 რაიონის კომკავშირისაგან ჩაითვალოს გაუქმებულად. (1141—1—1)

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული მუშათა და გლეხთა მილიციიდან № 10420, ელენა იოსების ასული გამყრელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1144—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული მე-10 ე სამილიციო რაიონის უფროსისაგან და შრომის ბირჟის წიგნაკი მიხაკო ივანეს ძე ქლენტის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1142—1—1

დაიკარგა პასპორტი მოცემული ახალ-ბაიაზეთში მირზადაიან მალაკიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1143—1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.